თებერვალი
24 1996 წ.

# კავკასიონი

The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი № 31 (325) ფასი 40 თეთრი

## ყოველ შაბათს: «არილი»

ლიტერატურული გაზეთი

«კავკასიონში»



მართლწესრიგი

## პროკურატურა დოკუმენტაციას «ამოწევს»

უკანასკნელ პერიოდში სამართალდამცავი და კონტროლის ორგანოების მიერ გამოვლინდა სამთავრობო აქტების საფუძველზე შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ალუმინის, სპილენძის, სილიკომანგანუმის, ხე-ტყისა და სხვა რესურსების საზღვარგარეთ უკანონოდ გატანის ფაქტები.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქმიანობაში ამ და სხვა დარღვევათა სრულად და ობიექტურად შეფასების მიზნით, პრეზიდენტის ბრძანების შესაბამისად, შეიქმნა სპეციალური კომისია საქართველოს გენერალური პროკურორის ჯ.ბაბილაშვილის (კომისის თავმჯდომარე) კონტროლის პალატის თავმჯდომარის რ.შავიშვილის, შინაგან საქმეთა მინისტრის კ. თარგამაძის, სახელმწიფო უშიშროების მინისტრის შ.კვირაიას, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ნ.ჩხობაძის, ფინანსთა მინისტრის დ.იაკობიძის, ეკონომიკის მინისტრის ვ.პაპავას და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ნ.ჯავახიშვილის შემადგენლობით.

22 თებერვალს რესპუბლიკის პროკურატურაში ჩატარდა აღნიშნული კომისიის სხდომა. გადაწყდა: შემოწმდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992-1995 წლების აქტების (დადგენილებები, განკარგულებები და ა.შ.) და წერილების კანონიერება. შემოწმებას განახორციელებს კონტროლის პალატა.

დაისახა სხვა ორგანიზაციული ღონისძიებები.

## საქართველო

## შევხვდეთ, სადაც გინდა...

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ვლადისლავ არძინბა მიიწვია აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაზე სასაუბროდ რესპუბლიკის ნებისმიერ ქალაქში.

## ვიმერის პოზიცია

აფხაზეთთან დაკავშირებით ბუნდესტაგის დელეგაციის ხელმძღვანელის ვილი ვიმერის დამოკიდებულება შემდეგნაირია: უნდა აღსდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მოხდეს აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნება და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი უსაფრთხოება. მან რუსეთის მიერ გატარებულ პოლიტიკას აფხაზეთში ორპირი უწოდა და აღნიშნა, რომ რუსეთს შეუძლია ამ კონფლიქტის მოგვარება, მაგრამ არ შეიძლება ერთდროულად იყო კონფლიქტის გამღვივებელიც და ჩამქრობიც.

იპრინდა

## ორმაგი თამაში?

გუშინ სააგენტოს კორესპონდენტი ესაუბრა ბუნდესტაგის დელეგაციის ხელმძღვანელს ვილი ვიმერს. კორესპონდენტის კითხვაზე იცოდა თუ არა მან, რომ დელეგაციის ერთ-ერთი წევრი შტერლინგი მიდიოდა აფხაზეთში, ვ.ვიმერმა უპასუხა, რომ ეს იყო თვითონ მისი ინიციატივა და ამასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობა საქმის კურსში იყო.

იპრინდა



## არძინბას უცნობი „ინიციატივა"

ვლადისლავ არძინბა, ჩანს, თავის ხელში იღებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების ინიციატივას. ყოველ შემთხვევაში სოხუმმა, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „არსებული რეალიებიდან გამომდინარე, წარმოადგინა საკითხის დარეგულირების ახალი გეგმა". ქართული საზოგადოებისთვის ამ წინადადებათა აზრი, ჯერჯერობით, უცნობია. ვლადისლავ არძინბა მიიჩნევს, რომ საქართველომ უნდა გაითვალისწინოს აფხაზეთის წინადადებები და გააცნობიეროს, რომ იგი შესაძლო დათმობათა მაქსიმუმია.

BGI

## ვითარება სამაჩაბლოში

22 თებერვალს ღამით ქ. ცხინვალში შეიარაღებული შეტაკება მოხდა არსებული ხელისუფლების მომხრეებსა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის. წინასწარი მონაცემებით შეტაკების დროს დაიჭრა 10 და დაილუპა 3 ადამიანი. გუშინ კი ცხინვალში მუშაობა დაიწყო სამხრეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესიამ.

ნავთობი

## ნავთობის ტრანზიტთან დაკავშირებით

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის თავმჯდომარემ გიორგი ჩანტურიამ განაცხადა, რომ ამერიკული ფირმა „შევრონ ოვერსიზ" დიდ ინტერესს იჩენს თავის შელფიდან ამოღებული ადრეული ნავთობის ტრანსპორტირების პროექტის მიმართ. პროექტით განსაზღვრულია აზერბაიჯანის ნავთობის საბადოებიდან ყოველწლიურად 5 მილიონი ტონა ნავთობის მოპოვება 7 წლის განმავლობაში. 27 თებერვალს დაგეგმილია „შევრონ ოვერსიზ" ექსპერტების საქართველოში ჩამოსვლა, რათა მათ განსაზღვრონ აღნიშნულ პროექტში მათი მონაწილეობის შესაძლებლობა და შეისწავლონ ნავთობსადენის მარშრუტი. წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე 9 მარტიდან 13 მარტამდე თბილისში ჩამოვა „შევრონ ოვერსიზ" ხელმძღვანელობა.

\+ + +

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, რომლის რეგიონალური წარმომადგენლობა არსებობს უკრაინაში, საქართველოში და სომხეთში, მიიღო გადაწყვეტილება ჩაერთოს საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ნავთობსადენის მშენებლობის პროექტის შემუშავებაში.

იპრინდა

ნომერშია

პრესმერიდიანი

## აფხაზეთის თემა რუსულ გაზეთებში.
## ჩეჩნეთის ომის სანავთობო კოზირი

იხილეთ მე-3 გვ.

## რა ჯდება სეპარატისტთა უსაფრთხოება?

რუსეთის გენშტაბის მაღალმა თანამდებობის პირმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა: კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის შესაცვლელად აუცილებელია გაეროს უშიშროების საბჭოს თანხმობა. ამას გარდა, ასევე საჭირო იქნება ასიგნაციების გაზრდა სამშვიდობო ძალების შესანახად. მისივე თქმით, 9 თვის განმავლობაში „ცისფერი ჩაფხუტების" კონფლიქტის ზონაში ყოფნა რუსეთის მთავრობას 40 მილიარდი დაუჯდა.

ნომერშია

## ლამაზი ქალი მანონ ფონ გერკანი



იხილეთ მე 6 გვ.

S.O.S.

## ვის დავუჯეროთ?

თბილისის ეკოლოგიური ცენტრის შეტყობინება, რომ ფეკალური მასები არაგვში ჩაედინება, არ შეეფერება სინამდვილეს. ეს უარყოფა საქართველოს ტელევიზიას მიაწოდა დუშეთის ადგილობრივმა ადმინისტრაციამ. ამავე დროს, რესპუბლიკის ეკოლოგიური პოლიციის უფროსმა ომარ ფოფხაძემ პრესკონფერენციაზე დაადასტურა მდინარე არაგვში ფეკალური მასების ჩადინების ფაქტი.

## საპროტესტო აქციები აფხაზეთის საკითხზე

22 თებერვალს სოფელ რუხში, აფხაზთა მიერ ტყვედაყვანილ ქართველთა ახლობლებმა მოაწყვეს პიკეტი და გადაკეტეს გალი-ზუგდიდის საავტომობილო ტრასა. აქციის მონაწილეთა განცხადებით მოძრაობა არ აღსდგება, სანამ საქართველოს ხელისუფლება გადამჭრელ ზომებს არ მიიღებს ტყვეების დასაბრუნებლად.

* * * *

26-29 თებერვალს ქ. მოსკოვში, რუსეთში ქართული საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილი აქვთ საპროტესტო აქციის მოწყობა რუსეთის სათათბიროს წინ. აქცია მიმართულია ვ. არძინბას რეჟიმის მხარდამჭერი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ აქციის ხელმძღვანელი არისტოტელ მოსკოვის ქართული ლიგის ხელმძღვანელი.

პრესკონფერენცია

# აღდგომა და ხვალეო...

## საგადასახადო სამსახურის მუშაობა გამკაცრდება

**სახელმწიფო საგადასახადო სამსახური არსებობის მანძილზე, შეიძლება ითქვას, პირველად დადგა რეალური ბიუჯეტის შევსების წინაშე. როგორც ამ სამსახურის უფროსმა დავით სალარიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აქამდე რეალური ბიუჯეტი არ არსებობდა და გადასახადის გადახდა სახელმწიფოებრივი ზრუნვის ობიექტი იყო...**

1994 წელს, როცა საგადასახადო სამსახურის შესახებ კანონმდებლობა ამუშავდა, ინსპექციამ ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოიღო 40 მილიონი დოლარის ადეკვატური შემოსავალი. 1995 წელს — 150 მილიონი დოლარის შესაბამისი თანხა. წელს დაგეგმილია 360 მილიონი დოლარის ადეკვატური საგადასახადო შემოსავლის ამოღება, რაც, ბუნებრივია, ამ სამსახურს დიდი სიძნელეების წინაშე აყენებს, მაგრამ ცვლილებები, რომელიც მოხდა საგადასახადო პოლიტიკაში და რომელსაც მიეძღვნა პრესკონფერენცია, ბატონ დავით სალარიძეს იმედს აძლევს, რომ რესპუბლიკის ბიუჯეტი წელს მაინც შეივსება.

### გაძლიერდება ადგილობრივი ბიუჯეტები

ახალი ფორმულირებით, გაიმიჯნა ტერიტორიალური (ადგილობრივი) და ცენტრალური (რესპუბლიკური) ბიუჯეტების ფუნქციები — ამოღებული თანხის დიდი ნაწილი რჩება ტერიტორიალურ ბიუჯეტს, ნაწილი ირიცხება ცენტრალურ ბიუჯეტში.

უფრო კონკრეტულად:

საქართველოს ტერიტორიაზე ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის 50 პროცენტი რჩება ტერიტორიალურ ბიუჯეტს, 50 პროცენტი მიდის ცენტრალურში (წინათ გადასახადის 100 პროცენტი რჩებოდა ადგილობრივ ბიუჯეტს).

წარმოებულ პროდუქციაზე დამატებითი ღირებულების გადასახადიდან 30 პროცენტი რჩება ადგილზე. 70 ირიცხება ცენტრალურ ბიუჯეტში (წინათ 10 პროცენტი რჩებოდა ადგილზე, 90 პროცენტი მიდიოდა რესპუბლიკურ ბიუჯეტში).

მოგების გადასახადიდან ორივე ბიუჯეტში ირიცხება 50-50 პროცენტი, მიწის გადასახადიდან — 50-50 პროცენტი.

ყველა სხვა გადასახადები, როგორიცაა — შემოსავლები ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, გარემოზე ზემოქმედების, საწარმოთა და ფიზიკურ პირთა ქონების, ვალუტის პუნქტებიდან ფიქსირებული და სხვა გადასახადების, აგრეთვე სახელმწიფო ბაჟის 100 პროცენტი ირიცხება ტერიტორიალურ ბიუჯეტებში.

ეს იმას ნიშნავს, რომ საგადასახადო სამსახური დეცენტრალიზაციისკენ მიდის. ადგილობრივი, ანუ ტერიტორიალური ბიუჯეტების გაძლიერება საშუალებას მისცემს ყველა რაიონს — თვითონ მოუაროს თავის თანხას, განსაზღვროს, რომელი მიმართულებით მიმართოს იგი რომ ნაკლებპრობლემური გახადოს მოსახლეობის ყოფა.

იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული ტერიტორიალური ბიუჯეტის შემოსავალი გადააჭარბებს 100 პროცენტს, გეგმის ზევით ამოღებული თანხების 80 პროცენტი კვლავ ადგილობრივ ბიუჯეტს რჩება, დარჩენილი 20 პროცენტი იყოფა სამხარეო და ცენტრალურ ბიუჯეტებს შორის.

### ვალდებულებანი თუ ქაღალდზე არ დარჩა...

პრესკონფერენციაზე ბატონმა დავით სალარიძემ ისაუბრა იმ ფირმებსა და ორგანიზაციებზე, რომლებიც წინა წელს გათავისუფლებულნი იყვნენ გადასახადებისაგან. მათი დიდი ნაწილი მიეკუთვნება იყო საქართველოს საპატრიარქოს, სპორტულ ფედერაციებს, თეატრსა და კულტურის სფეროს სხვა ორგანიზაციებს, რომელთაც პრეზიდენტის ბრძანებულებით მოეხსნათ გადასახადები. საგულისხმოა, რომ ამ ფირმებს შემოჰქონდათ ლუდი, თამბაქო, ალკოჰოლიანი სასმელები და სხვა აქციზური საქონელი, საიდანაც სოლიდური თანხის ამოღება იყო შესაძლე-

იხილეთ მე-3 გვ.

პარლამენტი

# პარლამენტი ზრუნავს ქალებზე

**გუშინ საქართველოს პარლამენტის დეპუტატებმა 8 მარტი სამუშაო დღედ გამოაცხადეს. ეს კანონმდებელთა ქალებზე ზრუნვის კიდევ ერთი დადასტურებაა. როგორც მოგეხსენებათ, ქართველებს უქმე დღეებში ძალიან უყვართ ტრაპეზობა, რაც ხშირად ხმაში შეჯიბრში გადაიზრდება ხოლმე. აქედან გამომდინარე, ქალებს დასვენების ნაცვლად სამზარეულოში ტრიალი და გვიან ღამემდე სანთლის შუქზე ცივი წყლით ჭურჭლის რეცხვა თუ შერჩებათ, მეუღლის ხვრინვის ფონზე.**

„კავკასიონი"

ახალი საზღვარგარეთი

# «შეჩერებულია რუსეთის დაშლა»

**გუშინ რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი „კონსტიტუციის და ტრადიციის შესაბამისად" საანგარიშო მოხსენებით წარსდგა სახელმწიფო სათათბიროს ზედა პალატის წევრების წინაშე. ელცინმა გააანალიზა ბოლო 5 წლის განმავლობაში ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია, ყურადღება გაამახვილა იმ პრობლემებზე, რომლებიც განსაკუთრებული სიმწვავით დგას რუსეთის საზოგადოებრიობის წინაშე.**

გაგრძელება მე—3 გვ.

# მდგომარეობა ჩეჩნეთში

**ბოლო მონაცემებით, ჩეჩნეთში რუსეთის ფედერალური ძალების პოზიციები 21-ჯერ დაიცხრილა. მათ შორის, გროზნოში — 14-ჯერ. ჩეჩნეთის მთავრობის ვიცეპრემიერმა აბდულ ბუგაევმა განაცხადა, რომ გუშინ, დღის პირველ ნახევარში გროზნოში სიმშვიდე იყო. რაიმე მცდელობა კი დეპორტაციის დღესთან დაკავშირებით ანტისამთავრობო მიტინგის ჩატარებისა არ ყოფილა. სიტუაციას აკონტროლებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარები.**

# ინგუშები გლოვობენ და ითხოვენ

**გუშინ ინგუშეთმა აღნიშნა ეროვნული გლოვის დღე — ინგუშეთის დეპორტაციის 52-ე წლისთავი. გაიმართა მიტინგი, რომლის მონაწილეებმაც მიმართვა გაუგზავნეს რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს. მათი მოთხოვნები ასეთია: 1 ივლისამდე იძულებით გადასახლებული ინგუშები დაბრუნდნენ ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებში; ინგუშეთის საზღვრები განისაზღვროს 1944 წლისთვის არსებულ ფარგლებში; ანაზღაურდეს დეპორტაციის დროს მიყენებული მატერიალური და მორალური ზარალი; ამოქმედდეს რუსეთის ფედერაციის კანონი რეპრესირებულთა რეაბილიტაციის შესახებ, შეწყდეს ომი ჩეჩნეთში და კონფლიქტი მოლაპარაკებების გზით მოგვარდეს.**

# სიტუაცია დაიძაბა

გუშინ ინგუშეთის რესპუბლიკის ვიცეპრეზიდენტმა ბორის აგაპოვმა სააგენტო ინტერფაქსს შეატყობინა, რომ წინა დღით, რუსეთის ფედერალურმა ჯარებმა ბლოკირება გაუკეთეს ინგუშეთის იმ სოფლებს, რომლებიც ჩეჩნეთის მახლობლად მდებარეობენ. ისინი ვარაუდობდნენ, რომ სოფლებში 21 თებერვლიდან ჩეჩენი მებრძოლები იმყოფებოდნენ. სროლების შედეგად დაიღუპა სამი და დაიჭრა ოთხი ადამიანი. აგაპოვის თქმით, რუსებმა იარაღი გამოიყენეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც უცნობმა პირებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს.

საქართველო

# კანონშემოქმედებითი ციებ-ცხელება

გუშინ გაიმართა საქართველოს პარლამენტის მორიგი პლენარული სხდომა, სადაც უნდა განხილულიყო კანონპროექტი „სასოფლო-სამეურნეო მიწებზე კერძო საკუთრების შესახებ". აღნიშნული დოკუმენტის მიღების წინააღმდეგ წავიდა რამდენიმე დეპუტატი, მათ შორის, ედპ-ს საპარლამენტო ფრაქცია, რომელმაც ჯერ ვერ მოასწრო კანონპროექტის გაცნობა. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ამ საღამოს ელოდება კონკრეტულად კანონპროექტთან დაკავშირებით პარლამენტის სხდომის შედეგებს. ჟვანიას თქმით, კანონპროექტის მიღება აუცილებელია პირველი მოსმენით მაინც, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო დაკარგავს ხელსაყრელ კრედიტს და კრედიტის გამოყოფის საკითხი გადაიდება. დებატების შემდეგ პარლამენტარებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რათა აღნიშნული საკითხი საღამოს სხდომაზე განიხილონ. კანონპროექტის გარშემო ცხარე დებატები საღამოს სხდომაზეც გაგრძელდა. ოპოზიციური დეპუტატების აზრით, მიწის კოდექსის ასეთი სახით მიღება უამრავ პრობლემას შექმნის, ბევრი კი, საერთოდ, მიწაზე კერძო საკუთრების წინააღმდეგ გამოვიდა. საბოლოოდ, სხდომაზე კანონპროექტი მიწის შესახებ პირველი წაკითხვით მაინც იქნა მიღებული.

\+ + +

23 თებერვლის სხდომაზე პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ", დამატებების შეტანით. დამოკიდებულება ბანკსა და კლიენტს შორის უნდა დარეგულირდეს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და ფულადი გზავნილის დაგვიანების შემთხვევაში ბანკმა უნდა გადაიხადოს გადასარიცხი თანხის 0,5 პროცენტი გადავადებულ დღეებზე. სხდომაზე, აგრეთვე, განიხილეს საკითხი „საქართველოსა და უცხოელი მოქალაქეების მიერ საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში გადასახადის გადახდის შესახებ".

იფრინდა

გამოხმაურება

# კანონპროექტს იწუნებენ

საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივმა განიხილა კანონპროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" და ამასთან დაკავშირებით ღია წერილი გაუგზავნა საქართველოს პარლამენტს. წერილში აღნიშნულია, რომ დოკუმენტი მომზადებულია არასრულფასოვნად, არ ითვალისწინებს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას და მისი წარმოდგენილი სახით მიღება გამოიწვევს უფრო უარყოფით შედეგებს, ვიდრე 1992 წელს გატარებულმა მიწის რეფორმამ გამოიღო. კანონპროექტის განხილვისას ჩამოყალიბდა აზრი, რომ რეფორმით დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მფლობელს უნდა დაუკანონდეს მუდმივ სარგებლობაში, მემკვიდრეობით გასხვისების უფლების გარეშე, ხოლო ყიდვა-გაყიდვის უფლება დაშვებული უნდა იყოს მხოლოდ საადგილმამულო მიწებზე. წერილს ხელს აწერს 66 თანამშრომელი.

იფრინდა

სიახლე

# ახალი 100-დოლარიანები — მარტის ბოლოდან

აშშ ფედერალური სარეზერვო სამსახური ახალ ასდოლარიან კუპიურებს გამოუშვებს მარტის ბოლოდან, — განაცხადა საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო განყოფილების უფროსმა დავით გელეგაშვილმა. მისი თქმით, საქართველო საკმაო ოდენობით შემოიტანს ახალ კუპიურებს და გადაცვლის მათ კომერციული ბანკების მეშვეობით. ძველი კუპიურები, 1927 წელს გამოშვებულებიც კი, კვლავ რჩება მიმოქცევაში. დაწესდება მინიმალური პროცენტი გადაცვლისთვის, რათა ანაზღაურდეს სატრანსპორტო ხარჯები.

BGI

რეგიონი

# გერმანელები შიდა ქართლში

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელმა საქართველოში დიტერ ბოდენმა პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას გააცნო ბუნდესტაგის დელეგაციის ცხინვალსა და ვორში ვიზიტის შედეგები. გერმანული პარლამენტარები შეხვდნენ სამხრეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ლუდვიგ ჩიბიროვს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გაბარაევს. ოსურმა მხარემ არ მისცა ქართულ მხარეს შეხვედრაში მონაწილეობის უფლება. დიტერ ბოდენის თქმით, რეგიონში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა და მძიმე კრიმინოგენული ვითარების მიუხედავად, არსებობს მოლაპარაკების წარმოების საშუალება.

BGI

დღესასწაული

# აჭარაში აღინიშნა სამშობლოს დამცველის დღე

გუშინ აჭარაში აღინიშნა სამშობლოს დამცველის დღე. თავისუფლების მოედანზე საზეიმო მარშით ჩაიარეს რუსეთის მე-12 სამხედრო ბაზის მოსამსახურეებმა. მათ შეუერთდნენ აჭარის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. კოლონა გაემართა დიდების ობელისკისკენ, სადაც მივიდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე, ადამიანის უფლებების დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე კავსაძე, მე-12 სამხედრო ბაზის გენერალი ალექსანდრე ნოვიკოვი.

BGI

პრესკონფერენცია

# აღდგომა და ხვალეო...

მეორე გვერდიდან

ბელი. რეალურად, საგადასახადოს კაპიკი არ ამოუღია იმის გამო, რომ ისინი შეღავათიანი ორგანიზაციის სტატუსით სარგებლობდნენ.

დღეს, შეცვლილი საგადასახადო პოლიტიკის შესაბამისად, ყველა ორგანიზაციას მოეხსნა შეღავათები. გამონაკლისია მხოლოდ საპატრიარქო, რომელსაც შეღავათი გაეწევა მხოლოდ იმ პროდუქციის შემოტანაზე, რაც მისი საქმიანობის სფეროს არ სცილდება.

საგადასახადო სისტემაში ცვლილებაა იმ კუთხითაც, რომ დღემდე თბილისის და რიგი ქალაქების ტერიტორიაზე მოქმედებდა ფიქსირებული გადასახადი, რომელსაც დასაბეგრი ობიექტები იხდიდნენ მხოლოდ დაკავებული ფართის მიხედვით. ამჯერად, თუ ობიექტს უქირავს 20 კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობი, იხდის ყველა გადასახადს.

სიახლეა ნავთობპროდუქტების შემოტანაზე გადასახადის გადახდის მხრივაც — თუ ადრე ნავთობპროდუქტის შემომტანნი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლისას იხდიდნენ ფიქსირებულ ნატურალურ გადასახადს (10 პროცენტს), ბენზინის რეალიზაციას ახდენდა ნავთობკონცერნი და იგი ასწორებდა ანგარიშს საგადასახადო ინსპექციასთან, ახლა ყველა შემომტანი ღირებულების 15 პროცენტს ფულადი სახით იხდის (ფულადი გადასახადი აითვლება საერთაშორისო ფასებიდან).

ახალი კანონმდებლობით, ცვლილებები შეეხო არასაბიუჯეტო გადასახადებშიც. საპენსიო ფონდის გადასახადმა 37 პროცენტიდან 29 პროცენტამდე იკლო, დასაქმების ფონდში გადასახადმა — 3 პროცენტიდან 1 პროცენტამდე. ჯანმრთელობის ფონდში გადასახადი 3 პროცენტია; რაც შეეხება საგზაო ფონდს, აქ გადასახადების ამოღება მოხდება სხვადასხვა გრადაციით.

### თუ ხარისხი გაუმჯობესდება, აქციზი თურმე მას ვერაფერს დააკლებს (?!)

საგადასახადო სამსახური მუშაობის გამკაცრებას აპირებს. ბუნებრივია, ეს ერთ-ერთი გზაა ბიუჯეტის მაქსიმალურად შესავსებად, მაგრამ მას, ალბათ, მხარს უნდა უმაგრებდნენ სხვა სამსახურებიც. მიღებული უნდა იქნეს დამხმარე კანონი, რომ საგადასახადო სამსახური დღემდე არსებული პრობლემების წინაშე აღარ დადგეს.

ბატონმა დავით სალარიძემ აღნიშნა, რომ გასულ წელს მათ სამსახურს ამოსაღები დარჩა 45 მილიონი დოლარის ადეკვატური თანხა, იმ მიზეზით, რომ წარმოებებმა ვერ შეძლეს გადახდა.

— წელს ამოქმედდება კანონი გაკოტრების შესახებ და ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც ფულად გადასახადებს ვერ გადაიხდიან, ქონებით აგებენ პასუხს — განაცხადა მან.

სხვა საინტერესო საკითხებთან ერთად პრესკონფერენციაზე საუბარი იყო სააქციზო მარკების შემოღებაზე, რომლითაც უნდა მოწესრიგდეს აქციზური პროდუქციის შემოტანა რესპუბლიკის გარედან. აქვე ხაზგასმით ითქვა, რომ მაღალია სამამულო აქციზურ პროდუქციაზე აქციზის პროცენტები.

როგორც საქართველოს ლუდისა და თამბაქოს საწარმოების ხელმძღვანელები აღნიშნავენ, მაღალი აქციზი წელში წყვეტს წარმოებას და რადგან ამის გამო მათ პროდუქციაზე ფასი იმატებს, ბაზარზე იმპორტულ პროდუქციას კონკურენციას ვერ უწევენ. ჯერჯერობით ეს საკითხიც გადაუწყვეტელია. ლუდისა და თამბაქოს მეწარმეებს კარგა ხანს მოუწევთ არაკონკურენტუნარიანნი იყვნენ საკუთარი ქვეყნის ბაზარზე. უფრო მაღალ ინსტანციებში კი მიიჩნევენ, რომ თუ ისინი ხარისხიან პროდუციას გამოუშვებენ, შეძლებენ ცნობილი ფირმების დაჩოქებასაც კი... (?!)

### ნუ იყიდით 400 დოლარიან კოსტუმს უცხოეთში...

ინტერესი გამოიწვია კითხვამ, რომელიც ეხებოდა 300 ლარზე მეტი ღირებულების პროდუქციის შემოტანაზე დაწესებულ საბაჟო გადასახადს.

საგადასახადო სამსახურის უფროსმა დელიკატურად აარიდა თავი ამ კითხვას იმ მოტივით, რომ საგადასახადო სამსახური მხოლოდ აღმასრულებელი ორგანოა და ასეთი საკითხები მას არ ეხება. მან აქვე „გაამხილა“ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის პოზიციაც — თუ კაცს უცხოეთში მგზავრობა და იქიდან 300 ლარზე მეტი ღირებულების პროდუქციის, თუნდაც ერთი კოსტუმის, შემოტანა შეუძლია 6 ლარის ოდენობის საშუალო ხელფასის პირობებში, რატომ უნდა იყოს რესპუბლიკის ბიუჯეტი ღარიბი? იცხოვრეთ ისე, რისი შესაძლებლობაც გაქვთ, ვერ იყიდით, ნუ შეეპოტინებით — „დაგვმოძღვრეს“ თურმე მისიის წარმომადგენლებმა.

ვერაფერს იტყვი, პრესკონფერენციაზე აღნიშნული ყველა პრობლემა, რომელიც ჩვენთვის მართლა პრობლემას წარმოადგენს, საბაზრო ეკონომიკის რკინისებური ლოგიკაა, რომელსაც ვერსად გავექცევით, მაგრამ რამდენად შევძლებთ საგადასახადო სისტემაში ამგვარი ცვლილებების შეტანით რესპუბლიკის ბიუჯეტის შევსებას და ხალხის მდგომარეობის ოდნავ მაინც გაუმჯობესებას, ხვალინდელი დღე გვიჩვენებს.

მაია ტორაძე

ახალი საზღვარგარეთი

# «შეჩერებულია რუსეთის დაშლა»

მეორე გვერდიდან

ბორის ელცინმა აღნიშნა, რომ 1991 წელს რუსეთი, სისტემის რღვევის გამო, ჩიხში აღმოჩნდა. ქვეყანა გაკოტრების, ეკონომიკური კატასტროფის პირას იყო მისული. დაიწყო რთული, მაგრამ აუცილებელი ეკონომიკური რეფორმები. უკვე გავლილია ეკონომიკის ლიბერალიზაციის, ფინანსური კრიზისის დაძლევის ეტაპები. რუსეთი ერთმნიშვნელოვნად ადგას საბაზრო ეკონომიკის გზას. მართალია, ყველაფერი ეს ძალზე ძვირი უჯდება ქვეყანას, მოსახლეობას, მაგრამ გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და აუცილებლობას წარმოადგენს.

პრეზიდენტმა სიამაყით ისაუბრა რუსეთისა და მისი ხელისუფლების დემოკრატიულობაზე, იმაზე, „რისი გაკეთებაც მათ შეძლეს“. შეჩერებულია რუსეთის დაშლა, აღკვეთილია ქაოსი, თავიდანაა აცილებული სამოქალაქო ომი, მიღებულია დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველს წარმოადგენს; პირველად ქვეყნის ისტორიაში, ზეწოლისა და განადგურების გარეშე დამარცხებულია პოლიტიკური მოწინააღმდეგეები, ცივილიზებული გზით შესაძლებელი გახდა საპარლამენტო და სამთავრობო კრიზისის გადაჭრა, ქვეყანაში დაგროვდა კაპიტალი...

ჩეჩნეთის კონფლიქტთან დაკავშირებით ელცინმა მოკლე ექსკურსი გააკეთა, გაიხსენა რამდენიმე „მსხვილი მოვლენა“, რომლებიც, მისი აზრით, ნათლად გამოკვეთავს პრობლემის ხასიათს: რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციურმა სასამართლომ სამართლიანად ჩათვალა ქვეყნის პრეზიდენტის გადაწყვეტილება — აღადგინოს კონსტიტუციური წესრიგი ჩეჩნეთის რესპუბლიკაში; ხელი მოეწერა სამხედრო საკითხების პაკეტს ჩეჩნეთის კონფლიქტის ორივე მხარეს შორის. გასული წლის 17 დეკემბერს აირჩა ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეთაური, და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები. ჩეჩენმა მშვიდობიანმა მოსახლეობამ ცალსახად განაცხადა, რომ სურთ მშვიდობა, ნორმალური ცხოვრება. ამიტომ დუდაევის მომხრეებს აღარ დარჩათ არანაირი შანსი, მათმა ელიტამ გაქელა მიღწეული სამშვიდობო შეთანხმება. მაგრამ მასშტაბური შეიარაღებული წინააღმდეგობის თავი არ აქვთ და აშკარა ტერორიზმის ტაქტიკაზე გადავიდნენ. ჩეჩნეთის მოსახლეობას საფუძვლიანად ეშინია იმის, რომ ხვალ თუ ზეგ ფედერალური ძალები დატოვებენ რესპუბლიკის საზღვრებს. ხალხს, ამავე დროს, „ბოევიკებისაც“ ეშინია და ღიად ვერ გამოთქვამს პროტესტს. ყველაფერ ამის გამო, ელცინი, როგორც თავად თქვა, იძულებულია, კიდევ ერთხელ გაიმეოროს: „სახელმწიფოებრივი იძულების ძალა მიმართულია იმ ბანდიტების მიმართ, რომლებიც დიდი რაოდენობით იარაღს ფლობენ. ფედერალური ძალები ეხმარებიან ჩეჩნეთის კანონიერ ხელისუფლებას, იცავენ მშვიდობიან მცხოვრებლებს. ჩვენ მზად ვართ მოლაპარაკებებისთვის. მაგრამ არ გვინდა საქმე გვქონდეს ბანდიტებთან, მითუმეტეს ჩეჩნეთის ლეგიტიმური მთავრობის გვერდის ავლით. ჩვენ მზად ვართ კომპრომისზე ჩეჩნეთის სტატუსის შესახებაც რუსეთის შემადგენლობაში...

ამ საკითხის განხილვის ბოლოს ელცინმა აღნიშნა, რომ მას საზოგადოებრივმა და სახელმწიფო კომისიებმა წარუდგინეს წინადადებები, რომლის საფუძველზე შემუშავდება გადაწყვეტილებათა კომპლექსი ჩეჩნეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების შესახებ...

## მსოფლიო

### ხავიერ სოლანა ვაშინგტონში

ნატოს გენერალური მდივანი ხავიერ სოლანა ხუთშაბათს ვაშინგტონში ჩავიდა აშშ თავდაცვის მდივან უილიამ პერისთან მოლაპარაკების გასამართად. ორივემ მოწონებით აღნიშნა, რომ ბოსნიელ სერბთა ლიდერებმა გადაწყვიტეს ნატოსთან თანამშრომლობის აღდგენა. გასული კვირის საგანგებო სამიტზე რომში აშშ-მ გააფრთხილა ბოსნიელი სერბები, რომ სანქციები არ მოიხსნება კონტაქტების საბოლოო აღდგენამდე. სოლანას აზრით, ნატოს სამშვიდობო მოქმედებებმა ყოფილ იუგოსლავიაში მიაღწია გადამწყვეტ საფეხურს. იგი ვარაუდობს, რომ წლის ბოლომდე კონფლიქტის მოწესრიგება დასასრულს მიაღწევს. შეხვედრის მონაწილე ორივე მხარე აბსოლუტურად ეთანხმება დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების პირობებს.

### ტაივანის პრეზიდენტმა პრესკონფერენცია გამართა

მსხვილი საწვრთნელი სამხედრო მოქმედებები, რომლებსაც ჩინეთი ტაივანის ტერიტორიის მახლობლად აწარმოებს, ტაივანის სამართლიან შეშფოთებას იწვევს. გუშინ ტაივანის პრეზიდენტმა ლიი თენ პუიმ მოაწყო პრესკონფერენცია, რომელზეც განიხილებოდა ეს და სხვა საკითხები. დარბაზი სავსე იყო სხვადასხვა ქვეყნების ჟურნალისტებით, რომლებიც კითხვას კითხვაზე აძლევდნენ პრეზიდენტს. ტაივანის პრეზიდენტმა რამდენჯერმე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტაივანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელსაც აქვს თავისი უფლებები მსოფლიო დიპლომატიურ ურთიერთობებში ღირსეული მონაწილეობისა. მან თქვა, რომ ტაივანს ბევრ ქვეყანასთან უკვე აქვს დიპლომატიური ურთიერთობა, ბევრთანაც ეს ურთიერთობა ჩამოყალიბების პროცესშია. მან ასევე ისაუბრა ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურაზე, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე, რომელიც ამ გაზაფხულზე ჩატარდება. ამჟამინდელ პრეზიდენტს ამ არჩევნებში გამარჯვების რეალური შანსი აქვს.

პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ მომავალი ოთხი წლის პოლიტიკურ და დემოკრატიულ პროცესებს ჭეშმარიტად დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალ 21-ე საუკუნეში შესასვლელად.

### თურქეთი და საბერძნეთი — ომის საშიშროების წინაშე

თურქეთმა საბერძნეთიდან გამოიწვია მისი ელჩი, ვინაიდან ურთიეთრობა ორ ქვეყანას შორის სულ უფრო მეტად უარესდება. საბერძნეთში ანტითურქული მოძრაობა ძლიერდება. კონფლიქტის ძირითადი მიზეზია ეგეოსის ზღვაში მდებარე დაუსახლებელი პატარა კუნძული. დებატების დროს — ვის ეკუთვნის კუნძული, თურქეთს თუ საბერძნეთს? — საბერძნეთის პრემიერმინისტრმა კოსტას სამიტისმა განაცხადა, რომ საკითხი განხილულ უნდა იქნეს ევროსაბჭოს მიერ. გასულ თვეს ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის სულ უფრო იძაბებოდა, აშშ პროექტით გათვალისწინებული კომპრომისის მიღებამდე. მაგრამ, როგორც დამკვირვებლები აცხადებენ, დაძაბულობის ნამდვილი მიზეზი მდიდარი მინერალური საბადოს გამოყენების უფლებისთვის ბრძოლაა.

თუ უთანხმოება 1997 წლამდე გაგრძელდა, ორ ქვეყანას შორის სერიოზული ომი გაჩაღდება.

### კოლი აჯამებს რუსეთში ვოიაჟს

მოსკოვის შეხვედრებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე გერმანიის კანცლერმა ჰელმუტ კოლმა დაადასტურა, რომ არ ივიწყებს სხვის სიკეთეს მთელი დასავლეთის სახელით მან აღიარა: „ჩვენ ვიცნობთ ელცინს, როგორც ადამიანს, რომელმაც თავი საიმედო პარტნიორად წარმოაჩინა და წვრილმან დეტალებამდე შეასრულა ყველა შეთანხმება“. კოლმა მაგალითად მოიყვანა რუსეთის ჯარების გერმანიიდან გაყვანა, რომელიც გორბაჩოვთან იყო შეთანხმებული და სურვილის შემთხვევაში შეიძლებოდა საბაბის მოძებნა მის არშესასრულებლად.

რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბრისას, კოლმა აღნიშნა, რომ ის წინასწარმეტყველი არ არის: „ბევრმა მოსკოველმა არ იცის რა მოხდება და მე საიდან უნდა ვიცოდე?“ — გულწრფელად გაიკვირვა კანცლერმა. მიუხედავად ამისა, კოლს მიაჩნია, რომ გერმანული პოლიტიკა და საიმედობა სინონიმები უნდა იყოს და ამ საკითხის რუსეთ-გერმანიის ურთიერთობებთან მიმართებაში იგი ოპტიმისტია. ასე რომ, რუსეთში პოლიტიკურ ძალთა ნებისმიერი განლაგების მიუხედავად გერმანიას განზრახული აქვს შეინარჩუნოს მჭიდრო კონტაქტები „აღმოსავლეთის ყველაზე ძლიერ და მთავარ მეზობელთან“. სტუმარმა აღიარა, რომ სურს მიაღწიოს ორ ქვეყანას შორის 1910 წლისთავის არსებული ურთიერთობების დონეს.

# აფხაზეთის თემა რუსულ გაზეთებში

## რუსი სამხედრო პირის აზრი

საააგენტო ინტერფაქსის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა გამოთქვა აზრი, რომ რუსეთის „ცისფერი ჩაფხუტებისთვის" ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მანდატის გაგრძელება მიზანშეუწონელია, „ვინაიდან თბილისმა და სოხუმმა აქამდე ვერ შეიმუშავეს ერთიანი შეხედულება რეგიონში სამშვიდობო ძალების ამოცანების თაობაზე".

მან, აგრეთვე, გამოთქვა შეშფოთება კონფლიქტში რუსეთის სამშვიდობო ძალების შესაძლო ჩათრევის შესახებ. მისი თქმით, ქართული მხარე დაჟინებით მოითხოვს რუსული ქვედანაყოფებისთვის „სამხედრო-პოლიციური ფუნქციების" მინიჭებას:

„კერძოდ, კომენდატურებმა, რომელთა შექმნასაც მოითხოვს თბილისი აფხაზეთში, არა მხოლოდ ხელი უნდა შეუწყონ ლტოლვილების დაბრუნებას, არამედ აფხაზეთის შეიარაღებული ძალებიც უნდა განაიარაღონ. ამასთანავე, რუსეთის სამშვიდობო ძალებს მოქმედება მოუწევთ მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, რაც რეგიონში დამატებითი ქვედანაყოფების შეყვანას მოითხოვს" — აღნიშნავს სამხედრო პირი.

ინფორმაციის მიხედვით, „ინკოგნიტო" სამხედრო პირის აზრით, თუ 19 აპრილამდე, როდესაც იწურება აფხაზეთში სამშვიდობო ძალების ყოფნის ვადა, მხარეები ვერ შეთანხმდებიან [illegible] ძალზე რთული კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში, მაშინ „რუსეთის ქვედანაყოფებმა უნდა დატოვონ რეგიონი".

მისი აზრით, აფხაზეთში უნდა დარჩეს მხოლოდ გუდაუთაში დისლოცირებული 345-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკი.

## აფხაზი ხელისუფალის აზრი

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანი წარმომადგენლის მოსაზრებაზე ერთგვარ პასუხს წარმოადგენდა „აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის" ლეონიდ ლაკერბაიას განცხადება (21 თებერვალი, სააგენტო ინტერფაქსი) იმის თაობაზე, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან სამშვიდობო ძალების გაყვანის შემთხვევაში აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებს „დამოუკიდებლად შეუძლიათ კონტროლის ქვეშ აიყვანონ საზღვარი საქართველოსთან მდინარე ენგურზე". „კვლავ ცდილობენ თბილისის პირობების მიხედვით ჩვენს შეყვანას საქართველოს შემადგენლობაში" — ხაზი გაუსვა ლაკერბაიამ. მან, აგრეთვე, გამოთქვა აზრი, რომ გრაჩოვი არ არის „უფლებამოსილი" გადაწყვიტოს სამშვიდობო ძალების გაყვანის საკითხი:

„არსებობს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი, ფედერაციის საბჭო, სახელმწიფო სათათბირო და თუ რუსეთის ხელისუფლება მიიჩნევს, რომ სამშვიდობო ძალები უნდა გავიდნენ, ეს მათი სრული უფლებაა".

## პოლიტოლოგის აზრი

განცხადებები სამშვიდობო ძალების შესაძლო გაყვანის შესახებ თაა, მკვეთრ ნეგატიურ რეაქციას იწვევს, ვისაც, უნდა ვთქვათ, „პროაფხაზური პოზიცია" უკავია. [illegible] 20 თებერვლის „ნეზავისიმაია გაზეთაში" გამოქვეყნებული პოლიტოლოგ გიორგი ნიკოლაევის პუბლიკაცია „სეპარატიზმი და ინფორმაციული ხმაური" (ქვესათაური — აფხაზეთის ჩეჩნეთთან შედარება ყველა თვალსაზრისით არამართლზომიერია).

დასაწყისშივე ავტორი „კონფლიქტის ეთნოპოლიტიკურ ომად გადაქცევაში" ბრალს მთლიანად თბილისს სდებს. შემდეგ ქართველი და რუსი პოლიტიკოსები, აგრეთვე, პრესა, დადანაშაულებულია იმაში, რომ 1994 წლის დეკემბერში „რუსეთ-აფხაზეთის საზღვრის ჩაკეტვის შემდეგ პერიოდულად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ აფხაზეთში არსებობს ჩეჩენი მებრძოლების მომზადების თუ დასამალი ბაზები, ხოლო აფხაზები დუდაევის მხარეს იბრძვიან". ავტორის აზრით, ვერც ერთმა მსგავსმა ინფორმაციამ ვერ ჰპოვა „გონივრული" დადასტურება".

„ამავე დროს, თანახმად სრულიად სანდო ქართული წყაროებისა, რომლებმაც ანონიმებად დარჩენა ისურვეს, გასული წლის ზაფხულში და შემოდგომაზე საქართველოს, ჩეჩნეთის და ინგუშეთის ტერიტორიების გადაკვეთის ადგილზე, ჯეირახის ხეობაში არაერთხელ შეიმჩნეოდა საქართველოს რეგულარული არმიის მეთაურთა მხრიდან დუდაევის წარმომადგენლებისთვის იარაღის მიყიდვა. 1995 წლის ოქტომბრის დასაწყისში ჰქონდა [illegible], რომლის შედეგადაც სასაზღვრო რაზმმა მიიღო რამდენიმე ყუმბარმტყორცნი და დაახლოებით 20 ათასამდე საბრძოლო მასალა".

პოლიტოლოგის აზრით, ეროვნული თვითგამორკვევისთვის დუდაევის მომხრეებსა და აფხაზებს პრინციპულად განსხვავებული მიდგომა აქვთ („სოხუმი დიდი ხანია ისწრაფვოდა არა შეზღუდული სუვერენიტეტისკენ, არამედ თავისი კუთვნილების გადაფასებისკენ, რუსეთის ფედერაციასთან უფრო მჭიდრო კავშირისა და მასთან გაერთიანებისკენაც კი").

ავტორის კიდევ ერთი მოსაზრება — „აფხაზეთის თემას, ჩეჩნეთის ომთან ერთად, აქტიურად გამოიყენებენ ბორის ელცინის მოწინააღმდეგენი წინასაარჩევნო კამპანიის დროს". ამ კუთხით ყურადღებას იქცევს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზ.ჟვანიას განცხადება („კრასნაია ზვეზდა", — „სად დევს აფხაზეთის გასაღები?" — ავტორი ვ.დენისოვი) იმის შესახებ, რომ აფხაზეთის კონფლიქტის უსწრაფესი მოგვარება შეიძლება ბორის ელცინისთვის „კოზირად" იქცეს წინასაარჩევნო კამპანიის დროს". როგორც აღნიშნულია, ეს განცხადება ჟვანიამ გააკეთა დსთ-ს ქვეყნების საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საბჭოს მუშაობის შედეგების შეჯამებისას, როდესაც მიღებული იქნა ერთადერთი პოლიტიკური დადგენილება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ.

## ჟურნალისტები მდგომარეობას აფიქსირებენ

სტატიაში „აფხაზეთი დაჟინებით ითხოვს თანასწორუფლებიანობას" („სეგოდნია", 21.02, ავტორი — ნატალია გოროდეცკაია), ფაქტობრივად, მხოლოდ კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში შექმნილი სიტუაციაა აღწერილი. აღნიშნულია, რომ „მანდარინის რესპუბლიკა" კვლავ მოითხოვს საქართველოსთან თანასწორუფლებიან საწყისებზე თანამშრომლობას და „კონფედერაციულ სახელმწიფოში ცხოვრებაზე ოცნებობს", საქართველოს პრეზიდენტი კი აფხაზთა ლიდერის წინადადებას მიუღებლად მიიჩნევს. ქართული მხარისთვის კარგ კოზირად მიაჩნია გოროდეცკაიას 19 აპრილს მანდატის ვადის გასვლასთან დაკავშირებით რუსეთის სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონიდან გაყვანის შესაძლებლობა.

* * *

ამასობაში ვლადისლავ არძინბამ კვლავ გამოთქვა მზადყოფნა, შეხვდეს საქართველოს პრეზიდენტს ნეიტრალურ ტერიტორიაზე. ოთხშაბათს სოხუმში გამართულ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა: „შესაძლოა, როდისმე მოვიდეს დრო, როცა ჩვენ შევხვდებით სოხუმში და თბილისში, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ კონფლიქტის მონაწილე ორი მხარე ვართ, სასურველი იქნებოდა, შეხვედრა სადმე ნეიტრალურ ტერიტორიაზე შემდგარიყო" (ინტერფაქსი).

სააგენტო ინტერფაქსმა გაავრცელა, აგრეთვე, ინფორმაცია რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი პრიმაკოვის შვეიცარიელ კოლეგა ფლავიო კოტისთან შეხვედრის თაობაზე. საქართველოში შექმნილ სიტუაციაზე საუბრისას ფ.კოტიმ აღნიშნა, რომ „შვეიცარია არ იშურებს ძალისხმევას მდგომარეობის ნორმალიზაციისთვის არა მხოლოდ სამხრეთ ოსეთში, სადაც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისია იმყოფება, არამედ — აფხაზეთშიც".




# ჩეჩნეთის ომის სანავთობო კოზირი

## (გაზეთი „ვეკ", 16 თებერვალი, ავტორი ა.ჩიჩკინი)

წერილის ავტორი ეყრდნობა საერთაშორისო სანავთობო და ენერგეტიკული სააგენტოების შეფასებებს, რომლის თანახმადაც, 2005 წლის შემდეგ კასპიის რეგიონი ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებისთვის ნავთობის ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელი გახდება. ირანული, ერაყული და „ნატოსეული" წყაროების მიხედვით, აშშ-ს და ნატოს განზრახული აქვთ „უსაფრთხოების გარანტია" მიანიჭონ აზერბაიჯანს, ყაზახეთს და საქართველოს, მაგრამ არა რუსეთს.

„უცნაურმა ომმა ჩეჩნეთში, — წერს ავტორი — საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ალმაათამ, ბაქომ, დასავლეთის ნავთობკომპანიებმა, საქართველოს ხელისუფლებამ და თურქეთმა „შეთქმულება" მოაწყეს ნავთობის ჩრდილოეთ კავკასიის გზით ტრანსპორტირების მარშრუტის წინააღმდეგ". ა.ჩიჩკინი მკითხველის ყურადღებას იმ ფაქტზე მიაპყრობს, რომ ფინანსური დანახარჯები („სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან ჯეიხანამდე ნავთობსადენის მშენებლობის ხარჯები, წინასწარი მონაცემებით, 1,2 მილიარდ დოლარად არის შეფასებული") სულაც არ აღელვებს მათ, ვინც „დაინტერესებულია ჩეჩნეთში უვადო კონფლიქტით და შესაბამისად იმით, რომ კასპიის ნავთობტრანზიტი არ ერგოს რუსეთს".

ნახსენებია ისიც, რომ 1995 წლის ნოემბრამდე, — გუდერმესისა და ყიზლარის მოვლენებამდე — მადრიდში ნატოსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას. მასში აღნიშნულია, რომ ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებს შეუძლიათ გამოიყენონ კოლექტიური ღონისძიებები, მათ შორის სამხედრო ხასიათის, ექსპორტიორი ქვეყნებიდან და რეგიონებიდან ნავთობის სტაბილური მიწოდების შესანარჩუნებლად:

„ასე რომ, ჩეჩნეთის გადაქცევა ბოსნიის ან ქურთისტანის ანალოგად უზრუნველყოფს „მადრიდის ღონისძიებების რეალიზაციას", — წერს ა.ჩიჩკინი.

სტატიაში აღნიშნულია, რომ უკეთესი მდგომარეობა არც ტრანზიტის სამხრეთ ფლანგზე — ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზეა. 1994 წლის ზაფხულიდან რუსეთმა აქ ტანკერების გატარება შეზღუდა. „განსაკუთრებით მკაცრი სანქციების ქვეშ მოყვნენ რუსეთის ტანკერები მათი ვითომდა „დიდი ავარიულობის გამო".

„ამის შედეგად რეალური სატრანზიტო მარშრუტი იქნება საქართველო-თურქეთი".

ბრძოლა კასპიის ნავთობის ტრანზიტისთვის გამართლებულია. რუსეთი ამით ვარაუდობს 3-5 მილიარდ, ხოლო საქართველო და თურქეთი 1-1,5 მილიარდ დოლარის შემოსავალს ყოველწლიურად, თუ აზერბაიჯანისა და ყაზახეთის სექტორებში მოპოვებული ნავთობი ექსპორტირებულ იქნება რუსეთის ტერიტორიით, ხოლო თუ ჩეჩნეთის ომის გამო და ტექნოლოგიური მიზეზებით ნავთობის ტრანზიტი რუსეთის ტერიტორიაზე შეუძლებელი შეიქმნა, მაშინ საქართველოს და თურქეთის სატრანზიტო შემოსავლები, როგორც მინიმუმი, ორჯერ გაიზრდება".

ინეზა მაკალათია

«კავკასიონის» ლიტერატურული გაზეთი

# არილი

24 თებერვალი, 1996 წ.

## ირინე ბაქანიძე



დავიბადე თბილისში, ვიზრდებოდი მწერლის ოჯახში, ლიტერატურულ ატმოსფეროში, პოეტების, პროზაიკოსების, მთარგმნელების გარემოცვაში. ამიტომ ყოველთვის მიყვარდა ლიტერატურა, მხატვრული ტექსტი. ენა, სიტყვა, განსაკუთრებით პოეზია და კიდევ უფრო განსაკუთრებით — ქართული ხალხური ლექსი. სხვადასხვა დროს ვსწავლობდი თბილისის რამდენიმე საშუალო სკოლაში, ერთი სასწავლო წელი გურიაში, მამაჩემის საგაზრდილოში, სოფლის სკოლაშიც გავატარე. 1982-1985 წლებში ვსწავლობდი თბილისის ი.ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში, ამიტომაც დროდადრო, თავშესაქცევად ახლაც ვხატავ ფანქრით თუ ზეთის საღებავებით, უმთავრესად პორტრეტებს. 1993 წელს ჟურნალ ,,ცისკარში'', შემდეგ კი ალმანახ ,,ნობათში'' გამოვაქვეყნე მოთხრობები, რომლებიც შარშან წიგნად გამოიცა. დავწერე რომანი, რომლის საბოლოო დახვეწა-დამუშავება ჯერ არ დამიმთავრებია. მკითხველს ვთავაზობ ამ რომანის ერთ-ერთ ნაწყვეტს.

პროზა

IV

V **ანდრო ბუაჩიძე**

## ძნელი გზა



,,ბურჯისტანელი ქალი ვარ...''

VII **მაჰმადიან მესხთა ფოლკლორი**

საკვირაო საკითხავი

**ედმუნდ კრისპინი**

## ,,სიკვდილი და დეიდა ფენსი''



VIII

## გივი ალხაზიშვილი



უახლოეს ხანში გამომცემლობა ,,მერანი'' დასტამბავს ჩემი ლექსების ახალ კრებულს — ,,სინათლე წვეთში''. ლექსები, ,,არილის'' მკითხველს რომ ვთავაზობ, ამ წიგნში იბეჭდება პირველად.

* * *

რაღაც ფეთქავს თებერვლის ჰაერში,
რაღაც ფაჩუნობს,
როგორც ნაყოფი დედის მუცელში.
ის მოდის ჩუმად.
მწვანე ბალახის ნაბიჯებით მოიპარება,
მოდის, მოდის სიყვარულის გამღვიძებელი.



### 1. სიჩუმის ოთახი

ლამპის შუქი თრთის მის სუნთქვაზე და მე ვხვდები იგი აქ არის, ყველაზე უფრო ღრმა და ბებერი საოცრება — ჩემი სიჩუმე. იგი ოთახში იმალება განდევნილი ქალაქის ქუჩებიდან, მრავალსართულიანი სახლების ეზოებიდან და მყვირალა ოთახებიდან გაძევებული.

იგი აქ არის, მისი სუნთქვა ალსავსეა ამოუთქმელ სიტყვათა სულით და იმ სიტყვათა ნამცეცები ერთდროულად თრთიან ჩემში და ჰაერშიც და გულმოდგინედ რაღაცას ქსოვენ, ოდესღაც ხილულს, თითქოს გაგონილს, უხმო ბგერებში ჩამალულ განცდებს...

ყოველივე, რაც სიჩუმემ შეისრუტა. დაიმახსოვრა და რაც დუმილის გარსმა შთანთქა, თითქოს თანდათან იღვიძებს ჩემში პირველყოფილ მთრთოლვარებით და სიჩუმის სული ცოცხლდება ჩემს არსებაში და მე, თანდათან, მოაზროვნე მდუმარებად გარდასახული, ვგრძნობ სიჩუმის ძალადობას და შემკრთალი ვაღებ სარკმელს, რათა ოთახში შემოვუშვა სიცოცხლის ხმები.

### 2. სარკმელი

მე არ ვიცი ვინ მენატრება, მაგრამ ისე მენატრება, რომ მუდამ ვეძებ და სახლიდან გაქცევას ვცდილობ, სივრცეებში მომწყურდა ფრენა და უცნობ გზებზე ხეტიალი უმისამართოდ.

მე არ ვიცი ვინ მენატრება, მაგრამ ჰაერი თითქოს მისი სურნელებით არის ალსავსე და გაზაფხულის მოყვავილე ბაღს უნებლიეთ მივყავარ სადღაც, მწვანე ბურუსში, სადაც წარსული გასუსულა და, მერამდენედ, ბალახივით ჩუმად ამოდის.

* * *

ძილიც სანატრელი გახდა... ალარც ის მოდის, რომ სიზმრების ნისლში გამხვიოს და წამიყვანოს ამ სახლიდან, ამ ქალაქიდან, ამ ქვეყნიდან, დედამიწიდან — ჩემს სამშობლოში.

პოეზია

III

## თამაზ ჩაჩავა

თემა

# ქართველები და რუსები...



მიწებს ჰყიდიან, სახლებს ჰყიდიან,
სვამენ, ლოთობენ...
გადაშენების
გზაზე დამდგარა ჩემი სოფელი!
გული კი მაინც მისკენ მიიწევს.

ისიკავა ტაკუბოკუ, (1886-1911)



### ეს უზარმაზარი გამოსახულება ტაძარს ტვირთივით ჰკიდია

„პოკლონნაია გორაზე“ წმინდა გიორგის ტაძრის სილუეტი კარგა ხანია ტელეეკრანიდან მატყვევებდა ნერლის ცნობილ ტაძართან მსგავსებით. ნერლის განმარტოებული, სხივივით ნათელი ტაძარი, რომელიც თითქოსდა ანგელოზებს დარჩათ მე-12 საუკუნეში დედამიწაზე, თავის საიდუმლო ნიშნებს გადმომცემდა, როცა მის გვერდით ალმოჩნდებოდი ვლადიმირისკენ მიმავალ გზაზე. ნერლისთან ბოლო შეხვედრის შემდეგ 20 წელი ისე სწრაფად გადაეხვია სიცოცხლის საპირისპირო ღერძზე და ისეთი თვალშეუვალი ბურუსით გადაიფარა ყოველივე უძვირფასესი, რომ ნერლიც იმ ბურუსში მესახებოდა და ამიტომ იყო, რომ მაისის ერთ მზიან დღეს წმინდა გიორგის ტაძრისკენ სწრაფად ავყევი კუტუზოვის პროსპექტს. ტაძარი შორიდან კიდევ უფრო ლამაზი მეჩვენა, ვიდრე ტელეეკრანით აციალებული. გავიფიქრე — ნუთუ ჯოჯოხეთურ ჩვენებასავით მიმქრალმა საბჭოთა ეპოქამ მაინც დატოვა ერთი ნაგებობა, რომელიც შეიძლება ჩემთვის საყვარელი გახდეს-მეთქი და ნაბიჯებს ვუმატე. ავიარე ტაძრის შემაღლებული კიბეები და ავხედე ტაძარს. იმ წუთს ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მისი თაღიდან არყის ჯვარი დამეცა თავზე. ჩემსკენ მოქცეული ტაძრის კედელი მთლიანად უშველებელ ლითონის ხატს უჭირავს, რომელიც კედლის სიმაღლის 1/3-ზე მეტს იკავებს. მისი სისქე 1,5 მეტრზე მეტი უნდა იყოს. ეს უზარმაზარი გამოსახულება ტაძარს ტვირთივით ჰკიდია, ზეცისკენ ლინებას რომ არ აჰყვეს.

არც სხვა კედლები დაეტოვებინათ ობლად და ყოველ მათგანზე ასეთივე სიდიდისა და სიმძიმის გამოსახულებანი ეკრათ. ყოველი კედლის მთელ სიგრძეზე ჩატანებული ფანჯრების ოვალური არშია, რომელიც მოულოდნელ ნათელს ჰფენს ეკლესიის ინტერიერს და სახიამოვნო ორიგინალობას ანიჭებს, მნიშვნელოვნად კარგავს ეფექტს, რადგან თვით ტაძარში, მართალია, ძვირად უგემოვნოდ შეხრულებული რკინის პანოებია, მაგრამ ასევე უადგილოდ თავისი გრანდიოზული მასშტაბებით.

II VI

# ქართველები და რუსები...



პირველი გვერდიდან

## უსაზღვრო ველებითა და მასშტაბებით

შესაძლოა, ეს რკინის პანოები რომელიმე ახალ პროტესტანტულ ეკლესიას მოხდენოდა, სადაც სულიერება, ლოცვა და წინათგრძნობა რაციონალური გონიერებით არის ჩანაცვლებული. მართლმადიდებლური ეკლესიის არქიტექტონიკა ლოცვის მადლითაა ნაკარნახევი და მასზე დბჯიდებულმა ამ უშველებელმა „ყურებმა", ფორმათა შეუსაბამობამ, უკანასკნელი საუკუნეების რუსებზე ჩამაფიქრა. ფორმის შეგრძნების უკმარობას ნ.ბერდიაევი რუსეთის უსაზღვრო ველებითა და სივრცეებით ხსნის, სადაც შეუძლებელია არა მხოლოდ რაიმე ფორმის, არამედ საზღვრის პოვნაც კი. რუსი თავისი პერანგივით გახსნილ ფართო სულის სივრცეებში საუკუნეების განმავლობაში ლეთარგიულად არის ჩაძირული. მისთვის ევროპელისთვის დამახასიათებელი ინტენსიური მოღვაწეობა, წესრიგი, სტრუქტურიზაცია, ანალიზი — უცხოა. მისი ფართო და არააგრესიული სულისთვის მიუღებელია გერმანული პედანტობა, სკრუპულოზური ყურადღება, როცა ყოველ საგანს საუკუნოდ მიჩენილი ადგილი აქვს. მარადიული წესრიგი წვრილმანებით დაკავებულ მეშჩანებს აყალიბებს.

რაც შეეხება მის ღრმა ადამიანურ თვისებებს იმ ქართველებისთვის, რომლებიც ადამიანის ზნეობრივ მხარეს უპირველეს ყურადღებას აქცევენ, იგი ძალზე ახლობელი უნდა იყოს. მათი ხასიათი მკვეთრად განსხვავდება მრავალი ჩვენი გეოგრაფიული მეზობლისგან, რომელთა ცბიერი, ვაჭრული, მუდმივ სიცრუეზე, მოგებაზე ორიენტირებული ფსიქიკა, ესოდენ დამთრგუნველია. საბჭოთა ეპოქამ ჩვენში არასწორი შეხედულება ჩამოაყალიბა რუსებზე, რადგან იმპერიული ერი ყოველთვის მიუღებელია და მათ ადამიანურ მხარეს აღარ ჩავძიებივართ.

ერთი მხრივ — გულითადობა, მეორე მხრივ — სისასტიკე რუსი მორჩილია (смиренный), გულმართალი, უშუალო, გულუბრყვილო, უბრალო, პატიოსანი. სლავის გვერდით თითქოს ორაზროვნებისგან ისვენებ. მაგრამ რუსი მუდამ აჭარბებს, რადგან მისი სულის პოლარულ პოლუსებს შორის თითქოსდა არავითარი დანაყოფი არ არსებობს და ქანქარა მხოლოდ მწვერვალებს ეხება — ღმერთის თავდავიწყებულ სიყვარულსა და მისპირისპირე სრულ ათეიზმს; თავაუღებელ მონობასა და ანარქიას; კაცივით გამძლე ვაჟკაცობას და ქალურ უნებისყოფობას; უაღრეს გულითადობასა და სისასტიკეს; ანტისახელმწიფოებრივ განწყობასა და ერთდროულად ბიუროკრატიზირებული სახელმწიფოს აღიარებას. და მხოლოდ ღმერთისადმი რწმენა ამთავსებს ხოლმე ამ [illegible] უფსკრულებს. თუმცა, ყოველთვის რჩება ამ ერის უდიდესი ნაწილი, ისევე უბრალო, უშუალო, მომთმენი, მცირედით კმაყოფილი, როგორც ეს ესენინმა გამოხატა ერთ-ერთ თავის ლექსში:

Но и все ж, теснимый и гонимый,
Я смотря с улыбкой на зарю
На земле, мне близкой и любимой,
Эту жизнь за все благодарю.

მუშტივით შეკრული, ნებისყოფიანი, აგრესიული გერმანელის გვერდით რუსი ქალურად რბილი გეჩვენება, ქართველის გვერდით — გადამეტებით უბრალო, არარაინდული, არაარისტოკრატული.

ქართველი დაბადებითვე რაინდია. ევროპულმა კეთილშობილებამ და პიროვნულმა დამოუკიდებლობამ კი თავისი განვითარება რაინდულ ეპოქაში ჰპოვა. რუსეთს ამდაგვარი პერიოდი ისტორიაში არ ჰქონია.

## მოხეტიალე სალოსი

წარმოუდგენელია, დონ კიხოტი შუბით ხელში რუსეთის სტეპებში და არა იმიტომ, რომ ქარის წისქვილი არ არის — რუსეთი მოხეტიალე ბერს, სალოსს, ეკუთვნოდა. მკერდზე ჯვრითა და ხელში კვერთხით — იგი უფრო მაღალ მიზნებს ისახავდა. სულიერება მორჩილებისა და ამქვეყნიური რეალობის უარყოფის გარეშე შეუძლებელია. ასე ღვთისძიებით და არა შუბის ძგერებით ყალიბდებოდა მორჩილი, ღვთისმოყვარე წმინდა რუსეთი.

რუსი შეუდარებელია თავისი მორჩილების უნარით — უპირველესი ქრისტიანული ღირსებით, რადგან მორჩილება სხვა ყველა ქრისტიანული ღირსების საწყისთა საწყისია. მორჩილს (смиренный) აღარ აყრუებს სიამაყის ძახილი (უპირველესი სატანური ღირსება), რისხვის დამანგრეველი მოწოლა, დიდების პარადი, ავხორცობის ხორხოცი, შურისა და მტრობის ჩურჩული, მუცელღორობა და ა.შ.

მორჩილება სულიერად პროდუქტიულია, როცა იგი რელიგიურობით არის განპირობებული, მაგრამ როცა საბჭოთა პერიოდში იგი გაუთვითცნობიერებელ სოციალურ მორჩილებად იქცა და როცა ხალხმა გონებაშეზღუდული ათეისტური მთავრობის დანერგილი გარყვნილება სულიერი ცხოვრების კატეხიზმოდ აქცია, დეგრადაციის მარაო გაუგონრად ფართოდ გაიშალა.

რუსი ერის ზნეობრივი განადგურება მისი ფიზიკური განადგურებით დაიწყო. კომუნისტურმა ექსპერიმენტმა 100 მილიონი რუსის სიცოცხლე შეიწირა და თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაპოლეონის ომების მსხვერპლის შედეგს საფრანგეთი ორი საუკუნის შემდეგაც განიცდის, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ — რა დღეშია დღეს რუსეთი.

## წმინდა რუსეთი დაინგრა

პატიოსანი სლავი დღეს ავხორცობით, ალკოჰოლიზმით, უმეცრებით გარყვნილ ქურდულ-ავაზაკურ ქვედა ფენასა და ზნეობრივად გადაგვარებულ, არანაკლებ უმეცარ, მმართველ ელიტას შორის აღმოჩნდა.

წმინდა, ღვთისმოყვარე რუსეთი დაინგრა და ეს ათეისტური რადიოაქტივობით შეპყრობილი ნანგრევები მთელი მსოფლიოსთვის უაღრესად სახიფათოა, რადგან აქ გაჩაღებული აღვირახსნილობის ვაკხანალია, სამოქალაქო ომისა თუ „მშვიდობიანი" ცხოვრების სახით, ახალი ზღვარგადასულობით შეიძლება დაგვირგვინდეს ატომის ყუმბარების თამაშით; მით უმეტეს, რომ რუსეთში კიდევ ერთ საინტერესო მეცამეოცეობას ჰქონდა ადგილი. მართლმადიდებელ წმინდა მამათა ზებუნებრივი ქმნილებები, ღვთაებრივი სამყაროს წვდომისკენ, დაფუძნებულია ადამიანის შინაგანი არსის უზუსტეს ანალიზზე. ამ ინტროსპექციით, სატანური ვნებებითა და ზრახვებით შეპყრობილ ადამიანს ასკეტური ცხოვრებით შეუძლია მოიცილოს ცხოველური მისწრაფებანი და დედამიწაზე სულიერად შეუერთდეს იმქვეყნიურ არახორციელ არსებებს (ანგელოზებს) და სხეულიც განწმინდოს, გაალვთაებრიოს (обожествить). ვნებებითა და ზრახვებით შეპყრობილი ადამიანი არაფერია, რადგან იგი სატანითაა დატყვევებული; წმინდანიც არაფერია, რადგან იგი ამქვეყნიურს აღარც ეკუთვნის. წმინდა მამათა გენიალური ქმნილებები, მართლაც, ხიდია ნივთიერ და არანივთიერ სამყაროებს შორის, მაგრამ რელიგიადამხობილ რუსეთში ასკეტური სწავლება გაქრა და, როგორც გაფრენილი მტრედისგან ფრთა, ისე დარჩა პოსტულატი — რომ ადამიანი არაფერია. სოციალური ასპექტით კი ეს ნიშნავს, რომ ადამიანს არავითარი უფლებები არა აქვს. აი, ეს არის რუსეთის რეალობის ქვაკუთხედი დღესაც.

ამავე დროს, დასავლეთის ცივილიზაცია უფრო ზედაპირულ ფენომენებს სწავლობდა: გონებას, გონიერებას, რაციონალურს. იგი ადამიანში ხედავდა ღვთაებრივი გეგმის განხორციელებას. აღორძინება, განმანათლებლები უმღერდნენ ადამიანის ღირსებებს, მის უფლებებსა და შესატყვის ცივილიზაციას ქმნიდნენ — სულიერად ზედაპირულს, მაგრამ კულტურულს, რაციონალურს, ადამიანის უფლებების აღიარებით, ქმნიდნენ სახელმწიფოს ადამიანისთვის, მაგრამ, რა თქმა უნდა, თავისი არაადამიანური ასპექტებით, რადგან სრულყოფილი ამქვეყნად არაფერია. და ასე შეიქმნა ორი ცივილიზაცია — არაღვთისმაძიებელი ევროპა, გაღმერთებული ადამიანით და ღვთისმაძიებელი რუსეთი, უღმერთოდ შეგინებული ადამიანით.

## Никогда не знаешь, чего он выкинет

ევროპელის ხასიათი, ჩვეულებრივ, ქანდაკებასავით მკვეთრადაა გამოკვეთილი, მოსკოვში კი ძნელია გაითვალისწინოთ, რა შეიძლება მოიმოქმედოს ამა თუ იმ ადამიანმა, როგორც ერთმა მეგობარმა მითხრა — никогда не знаешь, чего он выкинет.

არაიშვიათად ტაქტი და სიყვარული შეუღლებულია ზიზღთან და შოვინიზმთან. ან, სრულიად მოულოდნელი, ანარქიამდე მიყვანილი თავისუფლების სიყვარული ყმურ პირმოთნეობასა და ქალურ ლაციცს ემეზობლება. ან სამართლიანობაზე, ჭეშმარიტებაზე განუწყვეტელი აპელაცია უნამუსო უსამართლობითა და გაიძვერობით გვირგვინდება. ამიტომ ძალზე ძნელია ერთხაზოვანი აზრის შექმნა რუსული საზოგადოების შესახებ. მისთვის თვალის გასწორება ისევე შეუძლებელია, როგორც არაფოკუსირებული ტელევიზორისთვის.

და მიუხედავად ამისა, უნდა ვაღიარო, რომ ეს გულუბრყვილო, გულითადი, რბილი სლავური ხასიათი ჩემთვის უფრო ახლობელია, ვიდრე ევროპელი — რაციონალური, ჭადრაკის დაფას მიმსგავსებული გონებით, რომლის კოკა-კოლას წარწერით მოთოკილი გული ზომიერად იკუმშება.

სახელმწიფო სტრუქტურა რუსეთში გერმანელებმა ჩამოაყალიბეს და რუსი ხალხის ბოლო საუკუნეების ისტორია ამ სახელმწიფოსგან გათავისუფლების ისტორიაა. ციხის თარგზე მოჭრილი სახელმწიფო კოლოსის სიმძიმე რუსული მიწისთვისაც აუტანელი იყო და თითქოს მისი წიაღიდან ამოხეთქა ანარქისტულმა მოძრაობამ. ამ ყველაზე მორჩილმა ხალხმა პირველი ანარქისტული დროშა ააფრიალა. თავდახრილ რუსს უკვე თავისუფლება არ აკმაყოფილებს, მას რაღაც მეტი — ზეთავისუფლება, უფორმო თავისუფლება სჭირდება.

ერთდროულად, რაც ასე საოცარია, რუსს, როგორც ილიას ცხელი მზის ქვეშ გაწოლილ მინდორს, თავისსავე თავში ჩაძირული სიზმრების ხედვა უფრო აკმაყოფილებს, მისი ქალურად ამღვრეული, მშვენიერი ბუნებისთვის შინაგანი გაურკვევლობა იგივე ნეტარებაა, ამიტომ იგი გარეგან ფესტებს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. ეს კი, არაიშვიათად, მას წარმოადგენს, როგორც უკულტუროს, უხეშს და არასაკმარისად დახვეწილს.

მკვეთრი ინდივიდუალიზმის არარსებობა ხშირად მას გარემოსგან მთლიანად დამოკიდებულს ხდის და ძალზე უმნიშვნელო ადგილს უტოვებს შინაგანი კეთების, შინაგანი შემოქმედების, შინაგანი სრულყოფის იმპულსებისთვის.

აკურატული ევროპელისთვის ეს წინააღმდეგობრივი, პოლარული რუსული სული, ერთდროულად აპათიური და ამავე დროს, ნაპირების წამლეკი, უცხო და გაუგებარია. აი, თუნდაც გერმანელი, მისი სიცოცხლე, ცხადად წარმოდგენილი ყოველდღიური მოქმედებაა, როცა კილოგრამ-მეტრებშია გამოანგარიშებული ყოველი მოძრაობა, როცა წლიდან წლამდე ცნობილია, რომ ოთხშაბათს ორი კათხა ლუდი უნდა დალიოს ბერტასთან და კვირა დღეს კი — ნერდთან. რა დროს ოთხშაბათი და კვირაა ივანესთვის; რუსული ცხარე ვოლგასავით უნდა მოედინებოდეს და მაშინ დაეწაფება, როცა სულს ესიამოვნება. ეს კი, მისი თქმით, ყოველთვის სასიამოვნოა.

რუსულ მეოცნებე, პასიურ ხასიათს ყოველთვის სჭირდება საყრდენი. დაღვრილ წყალსაც რაიმე ჭურჭელი სჭირდება, ფორმა რომ შეიძინოს. გერმანელების მიერ გაშალაშინებულ სახელმწიფოებრივ ყაზარმას რუსი მოხერხებულად მოერგო. აქაც მან ყველას გადააჭარბა ბიუროკრატიზმითა და თავისთვის სარგებლის პოვნით. სახელმწიფომ მის ცნობიერებაში ღმერთი შეცვალა და რუსულმა ბიუროკრატიზმმა ზებუნებრივ მასშტაბებს მიაღწია. და ასე შექმნა ამ ანტისახელმწიფოებრივმა ერმა გაუგონარი ბიუროკრატიული მანქანა ჯერ კიდევ კომუნისტებამდე.

დღეს კი უკვე ამორფულ მასად ქცეული ხალხი, თავდახრილი, იმ გაელვებას ელის, რომელიც მას გაანაყოფიერებს, აზრს შთაუნერგავს და ზღვარდადებულ არსებად აქცევს.

დასასრული მე-6 გვ.



24 ... 1996 წ.





# გივი ალხაზიშვილი

* * *

ყველაფერი, რაც თანდათან
გამოვიგონე,
ჩემში განაგრძობს არსებობას...

ყოველივე, რაც ჩემში ხდება,
სრულებითაც არ ნიშნავს, რომ
მე ცოცხალი ვარ.

თუ არ გაირღვა ერთფეროვან რიტმის ჯებირი
თუ სიჩუმეში გულისცემა ისევ მომესმა,
როგორც ფიქრის ნაბიჯების ხმა,
ასე ხომ დიდხანს გამიგრძელდება
მარტოობის ხაკანში კვდომა.

მე და ფიქრი ერთად ვბერდებით,
ერთად დავეძებთ სინათლის წვეთებს —
ძველ სიტყვებში რომ მიმალულან.

ძარღვებიც კი ნათდებიან
იმ სიტყვების გაფიქრებისას,
ბაგეებსაც ერიდებათ მათი წარმოთქმა
და იმდაგვარი სინანული ჩნდება თვალებში,
რომ ცოდვილი არსებაც კი
წამიერად ხატს ემსგავსება.

ყოველივე, რაც ჩემში ხდება,
სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მე ცოცხალი ვარ.

სხვაგანაა, სხვაგანაა ნამდვილი სიცოცხლე.

\+ + +

მხოლოდ სინანული, დიახ, სინანული,
გულის განათება ნაღვლიან სინათლით...
თვალის გაბრწყინებას, — ადრე მინავლულის,
შენ, უსასრულობავ, სინანულს გიმადლი.

მხოლოდ სინანული — შორი ციაგივით,
ვვამს თუ გაანათებს დაბინდულს,
მიდის გაზაფხული, მიდის, ძია, გივი,
გიცვლის არა მხოლოდ ჰაბიტუსს.

ცრემლს მალავ, ბავშვივით არ იტირო,
ცრემლი ზრდის სიტყვის სტალაქტიდს,
ცივია დროის ხელი გრანიტივით,
სიტყვაა ცრემლში რომ მალავდი.

## ტრიპტიქი

### 1. უცნობი

არ ვიცი ჩვენი დროის ნამდვილი სახელი...
არ ვიცი ჩვენი დრო მართლა თუ არსებობს.
არ ვიცნობ არცერთ ახლობელს,
მითუმეტეს არ ვიცნობ უცნობს,
ის უცნობი მე ვარ, მე ვარ, მე ვარ...

### 2. ჩაბრუნებული მზერა

უნებლივ შორისდებულმა
ჩააქრო სივრცე
და თვალმა საკუთარ სიღრმეში ჩაიხედა.

### 3. მხატვრის თვალები

დარბაზში თვალები დაძვრებიან:
თაფლისფერი, მომწვანო, შავი
და ცისფერი თვალები.

დარბაზის ჰაერს თვალები აფერადებენ
და ისინი დაძვრებიან კედლებზე,
გარდაცვლილი მხატვრის ტილოებზე
და უფრო ხშირად ერთმანეთის სულში.

კალიებივით დახტიან
სიტყვის ნამცეცები



და უაზროდ აღრეულ
ბგერათა შორის
იმარჯვებს ზ-ანი:
და ზუზუნებს, ზუზუნებს,
ზუზუნებს,
ზრიალებს, ზრიალებს, ზრიალებს,
ზოგჯერ კი ზმუის და იზმორება
დარბაზი.

სად წავიდნენ გარდაცვლილი
მხატვრის თვალები?!

მოშრიალე კაბები ბადებენ
ხელოვნურ ნიავს
და თვალებით გაფერადებული ჰაერი
თანდათან ივსება მოდარბაზეთა ნაირგვარი სუნით.
სურათები იშმუშნებიან,
რადგან ზოგიერთის დაჟინებული მზერა
ზეთის სალებავივით ეღდაბნება ტილოს
და ლაქებად აჩნდება მოჭათქათე კედელს.

შამპანური კოცნის ალისფერ ტუჩებს
და მერამდენედ ახსენებს ტუჩების პატრონს,
რომ დღესაც იგივე განმეორდება
რომელიღაც სახელოსნოში.

ვიღაც რაღაცას ამბობს
მხატვრის მდიდარ შემოქმედებაზე
და მე ვხედავ, როგორ კვდებიან სიტყვები
მთქმელის ბაგესთან
და მსმენელთა ყურებთან,
დარბაზის ჰაერში კვდებიან სიტყვები
და ჰაერი, მკვდარი სიტყვებით დამძიმებული,
ფანჯრისკენ მიიწევს
და იმ სივრცეში გაღწევას ლამობს
სადაც ცხოვრობენ გარდაცვლილი მხატვრის თვალები.

* * *

სხივია მზისა ჩუმად რომ მღერის
და მოყვითალო ბალახის ღერი
ბალს უნაზესი შუქით ანათებს,
უჩუმრად, მაგრამ გასულან დღენი,
გვწერენ ფოთლების ჭკვიან ბარათებს.

ვხედავ ფოთლებზე ხასხასა შხეფებს,
მზეს, უდიადეს მხატვართა მეფეს,
ალუბექდია ჩვენი წუთები,
წარსულის ფერებს თვალები კრეფენ
და გული მიგრძნობს, კვლავ მომწყურდები.

რა ძვირფასია, რაც ნატვრად დარჩა,
გულს რომ ანათებს და სხვაგან არ ჩანს,
უტლანქეს ყოფას რომ მიფაქიზებს,
რა ძვირფასია, რაც ნატვრად დარჩა
და ღიმილივით მოჩანს ბაგეზე.

* * *

ჩემი თვალებიდან გაღწეული დარდი
ღრუბელივით მიდის სადღაც
და მეც კვალდაკვალ მივდევ ჩრდილივით.

ალბათ, ოდესმე დასრულდება
ჩვენი მსვლელობა
და მე — ჩემივე ტკივილის მორჩილს,
სხვა სიცოცხლე მომენატრება.

* * *

დავუბრუნდები ცარიელ ფურცელს, —
შენზე იდუმალს და უფრო სანდოს
რომ მოთმინება შვილივით ვზარდო
და არ ვიფიქრო არსობის პურზე.

დავუბრუნდები ღამეულ გვირაბს,
რომელიც ალბათ გამიყვანს დღეში,
რომ შენი მკერდით ავსილი პეშვი
მზედ მოვაჩვენო ღრუბლიან კვირას.

დავუბრუნდები წარსულის ნანგრევს,
რადგანაც ისევ გრძელდება ნგრევა,
ის, ვინც მიყვარდა, თანდათან ქრება
და ვეგუები, რომ უნდა გაქრეს.

## ექო

ალსავსე ვარ სინათლის წვეთებით,
როგორც კაჟი ნაპერწკლებით და ცეცხლის სუნით.

ღამის წყვდიადში ჩემი სიტყვები
ფოსფორივით იწყებენ ნათებას,
როცა დაღლილ სულს
უხილავის სუნთქვა აცოცხლებს,
როცა სიყვარულს მაგნიტივით იზიდავს სული.

მე ვარ წარსულის ნაღვლიანი ექო —
საუკუნეებს ადევნებული;
მე ვიცი, რომელმა ზარმა გამოსცა ჩემი ხმა,
მახსოვს, მახსოვს ვისი ექო ვარ.

* * *

დასრულდა წიგნი, ბოლო ფურცელი,
როგორც შეხვედრა უკანასკნელი,
არის ალსავსე მარად უცვლელი
სინანულით და მწარე დასკვნებით.

არის სიცივე გაუცხოების
და ხმა, ყალბად რომ განაზებულა
და არის ეჭვი, თითქოს ცხოვრება,
ჩვენი ცხოვრება არც არსებულა.

ჩემივე ნებით წავალ ზამთართან
და დაწყევლილი ვრჩები წყეულად,
გაოგნებული ვფიქრობ: დამთავრდა,
რაც არასოდეს არ დაწყებულა.

* * *

მე აქ დავრჩები, მაგრამ ვაი ასეთ დარჩენას,
კვლავ სიმარტოვე გამოჩნდება ბოლო იმედად,
მან არაერთხელ უაზრობას გადამარჩინა
და ერთფეროვან დღეებისთვის არ გამიმეტა.

მე აქ დავრჩები, მაგრამ სული შენით ავსილი
და უფაქიზეს სიმარტოვის უსაზღვროებით,
გამინათდება, რომ განდევნოს ჩემგან ავსული
და უნებლიეთ შენთან ვიყო ფიქრში დროებით.

მე ისევ ვცოდავ და ცოდვებით უფალს ვარისხებ,
სურვილს წამლეკავს, სამწუხაროდ, ვერ დავეხსენი,
როდესაც გნატრობ, თითქოს ჩემში ჰყვავის ნატვრის ხე
და თითქოს ჩემი ძარღვებია ნატვრის ფესვები.

## თვალებით საუბარი

უცნობის მზერა
ისეთივე ნატვრას ასხივებს,
როგორსაც შენი მრუში თვალები.
გრძნობ უნებლიე სიახლოვის ბედნიერებას,
ამჩნევ მის ღიმილს —
ყვავილივით რომ იშლება მარჯნის ბაგეზე.

რასაც თვალები ამბობენ ახლა
სიტყვით არ ითქმის.

* * *

მე დავბრუნდები მშობლიურ სახლში,
დავხუჭავ თვალს და მალულად წავალ...
ჩუმად გავაღებ დარაბებს დახშულს
და ჯვრიან დოქში ვიპოვი წამალს.

მე გამახსენებს ძაფივით სხივი,
რომ უცხო ხალხში ვცხოვრობდი დიდხანს,
იქ, პირობითად მეძახდნენ გივის,
სინამდვილეში უძველეს თიხას.

სიუცხოვეში გავლილი წლები
გაიფანტება ზმანების მსგავსად,
მშობლიურ სახლში გათბება ძვლები
და იმ სახლიდან არ წავალ არსად.

* * *

შემიყვარდება სიჩუმე მკაცრი,
შეგუებული სამყარო სახლის,
გავთბები ისევ წარსულის ნაცრით
და წარსულისკენ თვალების დახრით.

ჰერბარიუმი ჩარჩოდან მიმზერს,
თითქოს ის წლები ჩარჩოში მიზის,
ვფიქრობ სიკვდილზე — უძლეველ ჰიმნზე,
ვით დასასრულზე ამაო მიზნის.

ეხება ფანჯრებს და ფანჯრის რაფას
საოცრად გრილი თითები წვიმის
და ჩემში ვიღაც, თითქოს, სულს ლაფავს
და განწირული ქალივით წივის.

გრძელდება ჩუმი ლოდინი ფურცლის,
ის ძველებურად, ერთგულად მელის
და ჩემი ფიქრი მარადჟამს ურცხვი —
ფურცელზე ტოვებს ნაკვალევს მელნის.

თვალში უეცრად არეკლილ სარკაზმს —
სკამი, მაგიდა, კარადაც უფრთხის,
თვალს ვერ ვუსწორებ ძველებურ სარკეს
უაზროდ მჭვრეტელს იგივე კუთხის.

აქ, ფიქრი, მხოლოდ ფიქრი თუ დადის
დახცინის ხმეულს, ფურცელს და ოთახს
და უნებლიეთ შობილი დარდი —
ჩემს გაწამებულ ძარღვებში შფოთავს.





**ირინე ბაქანიძე**

# მიიღეთ და ჭამეთ...

...დედაა, რაა ეს, დამებუგოს ლამის კისერი! ვაიმე, შეხედე, ამ ნაჭერს შეხედე ერთი... რა მეშველება, ეს მინდოდა ეხლა მე? ნახე, ნახე, ცეცხლივით არის... ეს ჭამი მომიწიე, სიცოცხლე, დავასველო. ჰოოდა, ჩემო კარგო, ეგრეე... კაია, მაწონი ვჭამე — წნევას აგდებსო. რას ვამბობდი? ჰო, ჭკრაც ვერ მოვსულვარ-მეთქი აზრზე, გეუბნებოდი და მართლა არა მჯერა, ბოლომდე კი ვერ გამიაზრებია — ვსიო, მორჩაო, ეს ვსიომორჩა კი ვერ გამიაზრებია... ვაიმე, დედიკო, რომ დამარტყამს თავში, ლამის გავრეკო რა, ლამის მივანგრიო ყველაფერი. ძილში ვკვნესი, ხო იცი. ცუდად ვარ, გენაცვალე, ძალიან ცუდად. რომ იცოდე რა ენერგია დავხარჯე ამ ამბებზე. ძილიც აღარა მაქვს ნორმალური. მამლები ყივიან, დილაბინდია, რომ ვიძინებ, ისეთი ძილი გამიხდა, ისეთი დამპალი ძილი... აი, ვწვები და სულ ამეებზე ვფიქრობ ხოლმე. თუ — ყავას რომ ვსვამ ბევრს, მაგიტომ... არა, კაცო, გუშინ ერთი ჭიქა დავლიე, მაგალითად... ოთხ საათზე... ხუთზე... არა... ჰო. მაგრამ სხვა დროს რატომ მიტყდება ძილი, წამალი მაინც დავლიო რამე... იქნებ, არაფერს რომ არ ვაკეთებ, იმიტომ. იქნებ, რომ მემუშავა, ასე არ ვიყო, იქნებ, ჰა? მომხედე აქეთ. ვერაფერს ვშვები, აი. საქმე მაქვს. სახლი მაქვს დასალაგებელი და ვერ ვალაგებ. რას დავემსგავსე, თუ ხედავ? სახეზე შემომხედე. ან ტანი ნახე, მკერდი როგორ მქონდა და ეხლა რას მიგავს, ხო ხედავ: სულ მაგის ბრალია, სულ... შემომხედე, ხომ მაქვს ნაოჭები? არა, დაიფიცე, აი, შენს ახალგაზრდა გულზე ხელი დაიდე და ისე. აბა ასე? ეე, როგორ მალაპარაკებს. ოღონდ კი არ მითხრას. მექნება, აბა რა იქნება, ცუდად ვიქნები, რა გგონია, მთელი ცხოვრება ვნერვიულობ, კიდევ როგორ ვარ ნორმალური... არადა, გული მიგრძნობდა, ხო იცი შენ?.. აბა, წინათგრძნობა რომ მაქვს, არ მიმიწევდა გული და მორჩა. ის ჩემი ჩოლახა მეზობელი, ის ხოფერია ხათუნა კარებთან რომ შემხვდა და შემომხედა, აი, შემომხედა თუ არა, ეგრევე ჩამცეცხლა ტვინში, ისე რომ, ეგრევე... ლელამ — გელანდებაო, ირმას ამბები კიდე ხო იცი — არაო. ისეთი კარგი გულის ქალი ჩანსო; გახსოვს, ჩემს ნანუკას კამფეტი რომ მისცაო... გაჩე, ირმა, გაჩე, ნუ შემშალე აქვე-მეთქი. კაი გულისაო... მამა უცხონდა — კაი გულის... გათვალული ამბავი იყო, ხომ ვიცი მე. დაგვინახა თუ არა, შემოგვხედა თუ არა, მაშინვე ვიგრძენი. ხოფერია ხათუნას ეხუმრები შენ? უწუ-წუ-წუ-წუ, და ჩემ კაცს, ჩემ მოპირდაპირედ, რა უთხრა, თუ იცი?.. არაა ეგ სალაპარაკო... გეუბნები, ეგრევე მოვწვი რაღაც... ჩავდივართ კიბეზე და ვაიმე, დედიკო, რას მამთქნარებს! იქით ლელას აუტყდა მთქნარება. დედაა, რა იყო ეს, დაგვეხა ლამის პირი. გაგვთვალა, ვგრძნობ — გაგვთვალა, არ მინდა წასვლა, რა ვქნა — მივდივარ. არაფერიც არ იქნებაო, — ლელამ, — მკითხავმა ხომ მითხრა, კარგი გზა გექნება და კარგი ყველაფერიო. ეგ ვინა-მეთქი. ჟანამაო. აბა, ჟანა-მეთქი. ლერმონტოვის ამოსახვევში რომ ჟანააო. ეგ ვინ მიგდია, მაგის მჯეროდეს-მეთქი... მე ერთი ვიცი. შენ თუ არ იცი, მე ხომ ნახოდკა ვარ. მე ხომ ინტუიცია მაქვს ისეთი, რომ... მე ხომ... შენ ხომ არ იცი ჯერ, რა ნატურაცა ვარ; გველი ვარ, გენაცვალე, გველი და ტყუპები ერთად და ეგრევე ვგრძნობ ეგეთ რაღაცეებს, აი, დამჩხვლიტავს ფინთად გული და... ეეე, მე რომ ჩემი ავტობიოგრაფია მოგიყვე, იმდენი იყო ეგეთი ამბავი, სად მოვთვალო, ლიწინ-ლიწინი გაუდით სულ... გეუბნები, ეგრევე ვიგრძენი რაღაც, რა ეგრევე — დილიდანვე, აი, რომ დარეკა და მეც მოვდივარო, გამომიცხადა... მერე, კიბეზე რომ ის ძაღლი ვნახეთ... რა ვიცი, გაუბედურებული ძაღლი ეგდო ერთი; მერე, ეზოში რომ გამოვქიცვართ და ვხედავ — გდიან, ერთიც არ აკლია, ყველა სახეზეა... ყრიან ასე, ან საქმე არა აქვთ, ან რამე... მაგათი არ ჩანდა, ჩემი ჩანდა მარტო... ნახევარი უბანი პურს ყიდდა, იცოდა ვინმემ? ერთი წელია, თემო პურს ყიდდა, აბა, თუ იცოდა ვინმემ... რატო თან... აი, კაცს რომ ბოში პირი ექნება... ვისა? ვისა და ირმასა. როგორ არ ვეხვეწე, როგორი სულის სიმწარით არ ვემუდარე — შენი ჭირიმე, ირმა, შენ გენაცვალე, არ დაალო პირი, არ გამაშტერო არსად-მეთქი. ვინ გისმენს... არავინაც არაფერი არ იცისო. ვინ არ იცოდა? პეტრემ არ იცოდა. პავლემ არ იცოდა და იმან კიდე — ტარაკუა ხოფერია ხათუნამ არ იცოდა? ყველამაც ყველაფერი იცოდა, მაგრამ ეგრეა. საქმე საქმეზე რომ მიდგება და სიტუაცია გამწვავდება. ცოტა სხვანაირად უნდა იცხოვროო, დაო. მე მაგას ვიფიქრებდი, პურს რომ გავყიდდი? მაგრამ ეგრეა... ხალხის ტაკატუკს და ხოფერია ლიყიანს თუ ვუსმინე... ნუ გეშინია, მოვაკეტინე. ხომ მოვუკუპრე პირი... ხომ... აი, შენ... ცოტა კიდე და ვარჭობდი... შვიდ საათზე, გამთენიისას... არა, არ ვწუწუნებ, მე ხომ ნახოდკა ვარ, მე ხომ... მოიცა, მოვუკიდო. ნახე, რას ვეწევი, ანდროს კაპიკს ვერ ვხედავ...

რას ვამბობდი? ჰო, ნახოდკა ვარ-მეთქი, გეუბნებოდი, და ვარ კიდევაც. რა გაცინებს? რომ გამახსენდება, კი არა მჯერა... ეს შენ იყავი-მეთქი? — ჩემს თავს ვეკითხები. ეე. სად არ მიძინია, რომ იცოდე, თივის ზვინებში, ათასი დარტყმულის სახლში, პერონზე, აი, ასე, ჩავიდებდი ლაჯებში ამ ჩემს ჩანთებს და მივწვებოდი რეტიანი ქათამივით. ეს მატარებლები როდის გაჩერდებოდა, კაცმა არ იცოდა, აბა როგორ, ხან სად ჩაგჭედავდა, ხან სად... ამ მთავრობასაც მოუფრიკინდებოდა უცებ, გვარდიას და ტელევიზორის ხალხს დაგასევდა, მილიციისთვისაც შენ უნდა გეჭმია, იქითაც ყველა შენზე ჩალიჩობდა; მაგრამ მე არ გავჭედილვარ არსად. არც მე, არც ჩემი სასტავი არ გამიჭედია არსად. არა, ბიჭო, მაგათ გადავავლევინებდი თავზე! ირმას კითხე, სხვასთან რატომ არ დადიოდა, გიას კითხე, იმას... იმიტომ, რომ ზოგ-ზოგებივით არ გავლორებულვარ, ჩემი ნორმა ყოველთვის ვიცოდი... თხუთმეტი პური მიმაქვს, გენაცვალეთ, დამიმტკიცეთ — რისთვის მიმაქვს, ოჯახი მაქვს დიდი, წვრილფეხი მყავს, სოფელ იმის მკვიდრი ვარ... ასე, აბა როგორ, ზოგ-ზოგებივით ტონა პური კი არ მიმქონდა. არა, ბატონო: წყნარად. პატიოსნად ავიღებდი თხუთმეტ პურს. სიტუაციას დავპრობავდი, გადავხედ-გადმოვხედავდი; ნორმალური იყო და — ოცს წავიღებდი, ოცდაათს წავიღებდი, ზამთარში ხომ. ვაბზე, ორმოცდაათზე მეტიც წამილია. ამ ხიხრიკია გაზაფხულმა ჩამჭედა (შმონები მიდიოდა მაგარი), თორემ იცი, რას მიმქონდა?... ეე, რა სიტუაციებში არ ვყოფილვარ, რომ იცოდე, რანაირ მოჭერილში არ ვყოფილვარ და — დაუკვირდი — მაინც ვერ გამჭყლიტეს, ვერ გამჭყლიტეს რა... არა, შემოგევლე! სიტყვაზე... როდის იყო, კოდაზე რომ ავედით? გაზაფხულის ბოლოს, ჰო? არა, ზაფხულში — ირმა დადიოდა უკვე... აი, ტონა — ორასორმოცდაათი პური მიგვქონდა ხუთ კაცს; მომხედე აქეთ, მარაბდასთან ვდგავართ და ნაცნობი ძაღლი მოდის, ერთი არი, კურკა, იმისი დოსტი და — ჰარიქა, თავს უშველეთ, გვარდია ამოვიდაო. ირმა იყო უკვე, გითხარი, ჰო? და ვაიმე, არაო, — ივნისში ხდება ეს ამბავი და — ვაიმე, მეშინია, მეშინიაო. ერთი ცოლ-ქმარი და მაგათი რძალი იყვნენ კიდევ, არ იცნობ შენ, — ეგენიც, ირმასავით, ცხვრები, დაიწყეს, ამ შუაღამისას სად წავიდეთო. თქვენ ნუ გეშინიათ, თქვენ მე მომყევით-მეთქი. გავდივართ გასასვლელისკენ და გვარდია იჩითება. ეს პურები ვისიაო. ჩვენებია და მარაბდაში ჩავდივართ-მეთქი. არაო, თქვენა სადახლოში მიდიხართო. აი, თუ არა-მეთქი — დავავლე ჩანთას ხელი და მოვისროლე ძირს. ჰა, მოდიხართ თუ არა-მეთქი, სასტავს ვეკითხები. ვაიმეო. — ირმა ატყდა ისევ. — რამე შარში არ გაგვხვიო, ამათ არ შეგვატაკო ეხლაო. შენ ნუ გეშინია, ირმა-მეთქი, ესენი ვინ მიგდიან, მაგათი შემეშინდეს-მეთქი, მე შავოსი არ შემშინებია, გენაცვალე, ჰოპსტოპზე დავაყენე, ამათი შემეშინდება-მეთქი? ნუ გეშინია, ირმა, გაიარე ამაყად, ამ ოთხ სირს მე მოვუვლი-მეთქი... გამოვედი და ჩამოვეხირხლე კიბეზე ამ ჩემი პურებიანად, აქეთ ესენი ჩამოხვავდნენ. გვარდიელები გვიყურებენ ზემოდან, არ ჯერათ, რომ წავალ... ტრიალი მინდორია, გოგო, აი, ღამე! — თითს ვერ მიიტან თვალთან. ქალო, დაიკარგებითო, — მეძახიან, — თქვი, რომ გასაყიდად მიგაქვს და მორჩაო. არა-მეთქი, — დავადექი ამ ლიანდაგს ბაქოს რუსივით და მივდივარ, ეს ოთხი კუკლიაც მომყვება უკან. კოდა აქვეა-მეთქი, — ვფიქრობ, — ავალ, სიტუაციას დავიჭერ, სამხედროებში გავუშვებ, ან არადა, მაღაზიას ჩავაბარებ პურს-მეთქი. რა აქვე, ცხრა კილომეტრი ყოფილა იქამდე და, დედაა, რა ჟიმჟიმით მივდიოდი იმ მოკუპრულ ღამეს, რას მივდიოდი, რას მივათრევდი ამ ჩემს ჩანთებს, რა დაწყვეტაზე მქონდა მკლავები: ფეხები, კოჭები, სულ ეგრე. ქვებზე ნარახუნები... ეგეთი, რომ იტყვიან — ამოყარტლული მივდიოდი სულ ზევით და ზევით, რაღაც შუქისკენ: შორს, კოდაზე იდგა ის შუქი და ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ — ცერად მიდიოდა სულ... ირმა მოფარცქვალებდა ჩემს უკან, ეგეთი გამოჭერილი კაბით, ამსიმაღლე საბრინა კაბლუკებით. — ვინ იყიდის და ვინ იყიდის ამ ჩვენს აჭლანულ პურებსაო. ძაან მახინჯი პური გვქონდა, მართალია, სულ მიტეხილ-მოტეხილი და გაუბედურებული. არა, ბიჭო, არ იყიდდნენ. ძალიან ძვირფასადაც იყიდეს, ეგრევე მოაგროვეს ფული სამხედროებმა. აქეთ მაღადეც და მაღადეც გვიძახეს. ჰო, კაიპივებიც ჩაგვირტყეს... არა, ზარალი ვნახეთ მაინც, ერთი ჩანთა დაგვეკარგა-მეთქი, არ გითხარი? მე რომ მოვისროლე პირველად მატარებლიდან, ის დაგვრჩა, იმ ჩარჩუხანაში დაგვავიწყდა... მერე, გზაზე. სიმინდებში რომ მივდიოდით, იქ დაგვავიწყდა თუ რაა... უფრო — გზაზე, შესვენებისას. შეიძლება გდია ეხლაც იმ სიმინდებში ბოზი ქალივით. ასე, ჩემო კარგო, მე რომ არა, ტელევიზორში იფარცქვალებდა ქალბატონი. ვინ ქალბატონი? ეს ქალბატონი... აი, ეგრე ვიყავი გადადებული მაგაზე, მაგაზე და მაგის ორ-ორ ნაბიჭვარზე. არაფერია, ღმერთი ხომ ხედავს, ღმერთმა ხომ იცის, ალალი და უსაყვედურო იყოს ყველაფერი... აი, თუ გულით არ ვამბობდე, იმდენი ღმერთის მადლი ჩემზე. არა უშავს რა, ხომ ვიფრინე ყველა, ვინც რომ დაქალად მეტენებოდა — ერთის ამაღობით... კაროჩე, აღარ მინდა ლაპ... კი; აღარც გახსენება მინდა. მივქარე. ბატონო, ვღიარებ — მივქარე. ეგეთი ბანძები რომ ავკრიფე. ეგენი არ იყვნენ?.. კარგი, არ მინდა... მორჩა, რა სადახლო, რის სადახლო, მორჩა-მეთქი. და ძალიანაც კარგი, აქ ავეყუდები ისევ სადმე, აქ გავყიდი. არადა, როგორ მესიკვდილება, რომ იცოდე, როგორ... მივალ ქარხანაში, პურს გამოვიტან, გავყიდი, ისევ მივალ, ისევ გამოვიტან, გავყიდი... რაღაც უბედურ კაპიკებს გავაკეთებ და... ჰა? კი, ბატონო, იქნებ მოგებაც იყოს, რა ვიცი... მომხედე აქეთ: იქით უკეთესია, იქით ესე კი არაა, იქეთ იცი, რა კარგია? იქეთ კუპონებზე ნაყიდ პურს ფულზე უშვებ. ელექტრიჩკაზეც რა — ასი კუპონი გეხარჯება მარტო. არა, იქეთ ჭობია. ორი ათასი მინიმუმი გრჩება. ცოტაა, დაო? ისეც: ფული არ გინდა და — რამეზე გადაცვლი პურს: ლობიოზე გადაცვლი, ვაშლზე გადაცვლი, ბალზე გადაცვლი... ეგრევე გიცვლიან თათრები. ერთხელჯერ იყო, ოთხ პურში ტომარა მწვანე ლობიო მომცეს. ის ატამი რამდენში გავცვალე? არ მახსოვს... გეუბნები, კარგია-მეთქი იქეთ. აი, ახე, ფეხქვეშ ქონდა ჩემს ოჯახს ხილი და მაწროვი ამოდებული. არა, კარგად ვიყავი: ავდგებოდი, პურს გამოვიტანდი, ჩემებურად მივკრავ-მოვკრავდი ხელს აქაურობას, სახლს დავაპარიაო...



24 თებერვალი, 1996 წ.



კებდი, დავჭდებოდი მატარებელზე (ჰა? მერე რა, დენი არ იქნებოდა და — ავტობუსზე, წუთდაწუთ გადიან ავტობუსები) და ჰაიდა... ეხლა რა, ეხლა ხადლა წავალ. აბა, წადიო, — ფიოლია მექაჩება, — აბა, წადიო! გეყოფა შენს ნებაზე ტრაშუნი, წახვალ და ყოფას გიტირებ, წახვალ რომელია, დაგახურავ თავზედ!.. აბა რა ვქნა, შენ შემოგევლე-მეთქი. აქ დადექი. აქ ქენი რამეო. აქ რა, საჭმლის ფულიც რომ გამოდის მარტო, რა გინდა, ცოტ-ცოტაობით პატარძალი დაართსულო-მეთქი? გამიშვი, გამაზრდევინე ეს ჩემი აზიზი ბავშვი და დამაბანინე ხელი-მეთქი. აბა-ბაბა-ბა, არაო, ან ეგა, ანდა ბუდკაში დაჭე სადმეო. რა ვქნა ეხლა-მეთქი, დავჭდე და იმაებს ვუყურო, როდის ჩუპა-ჩუპსი გავყიდო და როდის კაპიკები წავუმატო-მეთქი? გაიგე რა, არ გამოდის არაფერი, გინდა გამჭერი, არ გამოდის, ვა, არაფერი-მეთქი. კაი რა, მამაძაღლი... მერე კიდო, ერთ ადგილზე როგორ ვიმუშავო. ეხლა გაკვირვებას ვარ, რომ მახსენდება, ფაბრიკაში ვმუშაობდი-მეთქი: ეხლა მაგის თავი მაქვს. «ОТ ЗВОНКА ДО ЗВОНКА ვიმუშავო და იქით კიდე ტაბელები ვატრიალო? აი, როგორ გეტყობა, რომ არ გიმუშავია: ძველად იყო ეგრე. კარადასავით რაღაცა იყო და იქ ტაბელი უნდა გადაგებრუნებინა. არ იზამდი და — ვირივითაც რომ გემუშავა მთელი დღე. არ გეთვლებოდა... რა ვიცი, იქნება ჯობდა კიდეც ის დრო; იცოდი, რაღაცას გამორჩებოდი.

ისე, რამე რომ იყოს, იმუშავებ რეჟიმის ქვეშ? ჰო არა? მეც ესე, შანსი არ არი, ერთ ადგილას ვერ ვიმუშავებ, დამიჯერე — ვერ ავიტან. აუ, ვერ შევძლებ, რა... და ეს კიდე, ბუდკაშიო, მეუბნება, გესმის შენ — ბუდკაშიო!.. ოი, რომ იცოდე, რა გამწარებული ვარ, რა გასაქანს ვეძებ, ერთი რომ ავიწყვიტო, ერთი რომ... სად ვერ წავალ? მოიცა რა, ეგრე გავალ და გამოვალ, როგორც დაგიბარებია, სულ ცალ ფეხზე არ მკიდია ანდრო ფიოლია? მე შენ გეტყვი... მე თვითონ არა მაქვს მაგის თავი, შემოგევლე, მე თვითონ არა მაქვს მაგის ჯანი. ასეთი მოთხრილი ნერვებით, ასეთი დაგლეჯილი სად წავიდე, როგორ წავიდე... არაფერი არ მინდა, მარტო — მოვმჯობინდე ერთი, გონს მოვიდე, ეს ორმოცი ჩავათავო და... ჰა? ოცდახუთი დღე... მალე უძახე შენ, ნახევარი სიცოცხლე გავათავე მაგ ოცდახუთ დღეში. ამას წინებზე, ხო იცი, მომელანდა... ერთიც ვნახოთ და, მაია. მაიაო — ვიღაც მეძახის. მოვტრიალდი და, გამარჯობაო — ეგა დგას, — როგორა ხარო. აი, ეგრე გადავესვენე. ისეც წარამარა მესიზმრება ხოლმე. გუშლამ იყო, არა? არა, გუშინწინებში დამესიზმრა: სადღაც ვიყავით და — რა არის-მეთქი — სადღაც ვიდექით, ეგეთ მოტიტვლებულ ადგილზე და — რა არი, გოგო, რატო ქენი ეგ-მეთქი, ვეკითხებოდი. ეს კიდე წუწუნებდა რაღაცას. ჰო, მითხარი ეხლა-მეთქი, რა მოხდა-მეთქი. ეს ისევ... მე ძილი ვიცი, მე ძილი შევიჩვიე, უუ, ისე ვუტირე ყოფა, რაც მომეპრიანება, იმას დავისიზმრებ: დაძინების წინ წავიფიქრებ რაღაცას, რაღაცას წავიოცნებებ და ეგრევე დამესიზმრება, რაც მინდა... მაგრამ ზოგჯერ მოდის ეს და ხან ესეც არაა, ვიღაც სხვაა, ადამიანიც არაა, ხეა ან ქვაა, ან სულაც წერტილია და ის წერტილი კიდე — ეგაა... მორევივით ტრიალებს რაღაც და მიგათრევს სადღაც, სულ სიღრმეში და სიღრმეში და იქ კიდე ის წერტილია და იმ წერტილში კიდე, იცი — ეგა ზის... გიყურებს ასე და... ოო, ღმერთო! გიჟივით იღვიძებ და მერე აღარ იცი, რა ქნა. ვინ იტირო, ეგ იტირო, შენი ბედი იტირო თუ... არ ვიცი — რა... ეხლა იქიდან დავიწყოთ, ნუ, კაროჩე, იქიდან დავიწყოთ. ნუ, აბსურდია, ჰო? СПЛОШНОЙ აბსურდი. ეხლა იქიდან დავიწყოთ, რა გამოდის აქედან, რაღაც აზრი ხომ უნდა იყოს, ისე ხომ არ შეიძლება... ამაზე ვამბობ, ამ ამბებზე... არა, მე, უბრალოდ, მაინტერესებს, გესმის — აზრი არის, არ არის... ეე, შენ სულ სხვას ამბობ, სულ... კარგი, აღარ გინდა. იმ დღეს ხომ გავსკდი ტირილით. წუხელ ღამითაც. პროსტა, მთელი ღამე ვტიროდი. დღეს დილით... არა, ეს ცხოვრება მაგარი ნაგავია, რა... ვაიმე. დედა, არა. თოკი უნდა ვიშოვო, თავი... შენ, მეიდანზე რომ ქალი უბერავდა ცხვირში. კიდე უბერავს ნეტა? კი, კარგად მკითხაობს; ათასს იღებდა, მე რომ ვიყავი. ეხლა რამდენს აიღებს, როგორ გგონია, სამი ათასს? უუფ! ისე ვამბობ, თითქოს ეგრევე მილაგია ფულები. არა, ლოცვად უნდა წავიდე; აი, მოვრჩები თუ არა, უნდა წავიდე, წელიწადია ჩემს სალოცავში არ ვყოფილვარ, ანდროსაც ვერ დავწერე პირჯვარი, გამომყვეს, ასე მარტოკინა სად წავიდე... წავიდე, ჩემს წმინდა გიორგის სანთელი დავუნთო; რასაც ყოველთვის ვთხოვდი, ისა ვთხოვო: ჩემო წმინდა გიორგი, ჯერ ყველას გაუმარჯვე და მერე უკვე მე-მეთქი. ამას ვთხოვდი ყოველთვის და ამიტომაც მაძლევდა. აქნობამდის ასე იყო და ეხლაც ასე იქნება. არა, ბიჭო, ეხლა...

... ასე, ჩემო დაო და მეგობარო, წამოვედი მე КОНЦАМИ. ყველას ღმერთმა გაგიმარჯოთ, ვისაც როგორ გაგეხარდებათ, მე კიდე — მორჩა... რა გზები, რის გზები, მორჩა-მეთქი! მე ეხლა ძილი და სიმშვიდე მინდა მარტო, კი, კი, ძილი, ძილი, ძილი და სიმშვიდე მინდა მარტო... ჰო, ეგ ეხლა და მერე ვნახოთ...





# ძნელი გზა

ახალი წიგნები

ქართულ პროზაში ხშირად მხატვრული ატმოსფეროს უჩვეულობა ჩვეულებრივ ყოფით რეალობას ჩქმალავდა. ადამიანი, პერსონაჟი, გმირი თავისი დარდითა და სატკივრით, ფაქტობრივად, ყოფითი ვითარების მიღმა იხილებოდა. ცხოვრების ამ მოჩვენებით, ხელოვნურ ჭალში მუდამ არსებობდა ერთგვარი გაპარტივების და მოვლენათა შელამაზების საფრთხე.

ამგვარი გამოცდილება იოლი გზის აღნიშნებელია და დღესაც ინარჩუნებს ძალას.

ახალგაზრდა მწერალმა ირინე ბაქანიძემ უარი თქვა ამ გამოცდილების გაზიარებაზე. მისი ნაწარმოებები ყოფითი ცხოვრების ფრაგმენტებია. ყოფითი რეალობის გათვალისწინება კლასიკური გამომსახველობითი ხერხების ფლობას მოითხოვს. მწერალს უნდა ჰქონდეს თხრობითი რიტმის, დეტალის, კომპოზიციის გრძნობა და მრავალი სხვა რამ, რაც პროზის ტექნიკურ არსენალს შეავსებს.

არსებობდა სხვა ცდუნებაც.

ახალგაზრდა მწერალი შეთხზავდა აზროვნების პრეტენზიით შთაგონებულ ბუნდოვან ოპუსს, რომელსაც, რაღა თქმა უნდა, ვერავინ ვერ გაიგებდა ,,რთული მხატვრული აზროვნების'' გამო და ავს ავანგარდული პროზის კორიფეთა ტრადიციის გამგრძელებლად ჩათვლიდა. ირინე ბაქანიძემ ეს გზაც უარყო, ვინაიდან მან იცოდა რა უნდა ეთქვა, მას ჰქონდა გამოცდილება, ჰქონდა სათქმელი, რომელიც შესატყვის ყალიბს მოითხოვდა.

ირინე ბაქანიძის ორი მოთხრობა ,,ნათელო, ნათელო ჩემო'' და ,,ისევ სარჩოლაზედ'' ზოგადი სტრუქტურით წააგავს ერთმანეთს. ამ მოთხრობების პერსონაჟები — ნინო, მარიამი და სხვები ჩვეულებრივი ადამიანები არიან. უფრო სწორად, მათი ჩვეულებრიობა იმაში გამოიხატება, რომ ისინი ჩვენი ცხოვრების ყველაზე ნიშანდობლივ, ყველაზე ნაცნობ ატმოსფეროში ცხოვრობენ. ეს ატმოსფერო ჩვენი უჩვეულო დღევანდელობაა, რომელშიც მოულოდნელად აღმოვჩნდით. შუქჩამქრალი მასივები და პროსპექტები, უცხოური ნაწარმით გადაჭედილი ჯიხურები, ტყვიების ზუზუნი ჩაბნელებულ ქუჩებში, არსებობისთვის ბრძოლა, აუტანელი სიღარიბე და სიდუხჭირე. ამგვარი ყოფითი რეალიები ქმნის ირინე ბაქანიძის ნაწარმოებების არა მხოლოდ ფონს, არამედ ლაიტმოტივსაც. ნინოს და მარიამის უკიდურესი მდგომარეობაც ამ დამთრგუნველი სინამდვილით არის გამოწვეული. მართალია, მათ აქვთ თავიანთი ბედისწერა, თავიანთი წარსული, რომელიც მკაცრია და ულმობელი, მაგრამ დღევანდელობა ათგზის უფრო დაუნდობელი გამოდგა. სწორედ დღევანდელობის ჭრილში ხატავს მწერალი თავის პერსონაჟებს. დღევანდელი ყოფა მათი ცხოვრების კვინტესენციაა. ყოფითი აქსესუარის ასე თამამად, ასე ჭარბად შეტანა პროზაში, სამოქმედო სიტუაციის ასეთი დამიწება ქართული პროზისთვის უჩვეულოც კია. ადამიანები, რომელთა წრეშიც და გარემოცვაშიც ნინო და მარიამი ექცევიან, თვითონვე არიან შემზარავი ყოფითობის განუყრელი ატრიბუტები. ეს პერსონაჟები იმ შხამიან სოკოებს წააგავნან, რომლებიც ნესტისგან დამპალ, დუხჭირ ნიადაგზე ამოიცენდნენ. ახლადშექმნილ სიტუაციაში მათ თავიანთი მგლური ყნოსვით და ინსტინქტებით მაცდურ სინამდვილეზე აიღეს გეში. ყიდვა-გაყიდვა, ,,თურქეთში წანწალი'', ათასგვარი ხრიკები, ფულის შოვნის ათასნაირი ვარიანტები — ყოველივე ეს ზედმიწევნით ზუსტად მოერგო მათ ვიწრო თვალსაწიერს, მოხვეჭის უბადრუკი ჟინით ატანილ ანგარებიან და ვერაგ ბუნებას.




ირინე ბაქანიძე ხატავს ადამიანთა ახალ ერთობას, შემზარავ სოციალურ დანალექს, უთვისტომოების, ლოთი დედაკაცების და მამაკაცების, მეძავების, ნარკომანების, წვრილმანი ვაჭრუკანების ნაირფეროვან კლანს. ეს ადამიანები ერთმანეთისთვის მატერიალური მოხვეჭის და ხორციელი ვნებების დაკმაყოფილების საშუალებები არიან. მწერალმა ძალზე ახლოს მიიტანა ობიექტივი ამ ადამიანებთან, მსხვილი პლანით აღბეჭდა და დოკუმენტური სიზუსტით დააფიქსირა მათი მეტყველება, მათი სახეები, მათი მონოტონური დიალოგები. ამ დიალოგებში ერთმანეთს ერწყმის ღრმა მოწყენილობა, ცინიზმი, გაუცნობიერებელი ბოღმა, უაზრობა. პერსონაჟთა ჟარგონული მეტყველება ხელშესახებად გადმოგვცემს ცხოვრების ყოფით სიბრტყეს, ყოფით ატმოსფეროს. ეს არის წყვეტილი, უაზრო საუბრები არაფერზე და არაფრისთვის. ამ გალიმათიას მხატვრული თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ძალზე მკაფიოდ აღბეჭდავს პერსონაჟების ფსიქიკას, მათ გახევებულ ინტელექტს, სულბერწობას, ვიწრო პირუტყვულ ინტერესებს და მოთხოვნილებებს.

ოღონდ აქ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი — ირინე ბაქანიძეს პიროვნების სოციალური განასერი კი არ აინტერესებს, არამედ მისი ფსიქოლოგიური და ზნეობრივი მხარე იზიდავს. მართალია, მწერალმა თავისი დაკვირვების საგნად ერთი სოციალური მდგომარეობის გამომხატველი კლანი აქცია, მაგრამ ცხადია, რომ ამ კლანში ფეხმოკიდებული მერკანტილიზმი, ფულის კულტი, ცინიზმი და პიროვნების უპატიოსნებლობა მთელი გარემომცველი საზოგადოების სენია. უბრალოდ, ამ სოციალურ საფეხურზე შეუნიღბავად ჩანს ეს სენი.

ირინე ბაქანიძის მოთხრობების მთავარი გმირების — ნინოს და მარიამის ხვედრი ერთნაირია. ისინი ვერაფრით ვერ მოერგნენ სასტიკ გარემოს, რომელშიც სხვები ბუნებრივად გრძნობენ თავს. მათი შინაგანი დრამა მძაფრია და შემზარავი — უხეშად გათელილი პიროვნული ღირსების ხაჯზე ცდილობენ ლუკმაპურის მოპოვებას და ფიზიკური არსებობის შენარჩუნებას. ამ დამთრგუნველი გაბრძოლების ჟამს მათში კიდევ ერთხელ იელვებს მუდმივი ზნეობრივი სიმაღლის რწმენა, იელვებს, მაგრამ უნუგეშოდ. და აქ მწერალი ოსტატურად უსადაგებს ერთმანეთს ყოფითსა და ამაღლებულს. თუმცა რა ამაღლებულზეა ლაპარაკი, მათი რელიგიურობა ისეთსავე მიწიერ ელფერს ატარებს, როგორც მათივე მთელი დანარჩენი ცხოვრება. ორივე პერსონაჟის ცხოვრებაში ჩანს ეკლესია, მაგრამ ეს მხოლოდ უბადრუკი გარემოდან თავდაღწევის დაუოკებელი სურვილია. ნინო და მარიამი მორალურ საყრდენს რომ ვერსად პოვებენ, მძაფრი პროტესტის გრძნობა ეუფლებათ სინამდვილის მიმართ. ამ პროტესტის გამოხატულება ძალზე უმწეოა და უსუსური: ნინო თავის ვაჟთან დაყიდარაბით იოხებს გულს, რაც კი ხელში მოხვდება, ყველაფერს ლეწავს და ამტვრევს. მარიამის პროტესტის ფორმა კი უფრო გაბედულია — ქურდობას ცდის, მაგრამ მარცხდება.

საერთოდ, ამ ორი პერსონაჟის წარმოჩენა, მათი ხასიათის ხატვა ერთ არსებით მომენტზე მიგვანიშნებს — მწერლისთვის უმთავრესია მორალური ასპექტი, ზნეობრივი ხედვის წერტილი და ყოველი მარჯვედ მოხმობილი ყოფითი რეალია — ჟარგონული მეტყველება იქნება

დასასრული მე-6 გვერდზე

მე 5 გვერდიდან

# ძნელი გზა

ეს, თუ ურბანისტული ლანდშაფტის აღწერა, ამ ხედვის წერტილით არის ნაკარნახევი, ამ მორალურ ასპექტს ექვემდებარება. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია. თავისთავად, ამგვარი მორალური ასპექტის ხარისხი, მისი მეტნაკლებობა, მწერლის პიროვნებისეულ სიმწიფეზე ან უმწიფარობაზე მეტყველებს და გარდა ამისა, ამ ასპექტის მოთხრობაში შეტანა ერთგვარ მხატვრულ წესრიგს, მხატვრულ კანონზომიერებას მოითხოვს. არც ერთი დეტალი არ უნდა იყოს ზედმეტი, თვითმიზნური, ზნეობრივი ხედვის, მორალური ასპექტის მიღმა გატანილი.

ირინე ბაქანიძემ ყოველივე ეს იცის. ეს ცოდნა შეიძლება ცნობიერია და იქნებ არაცნობიერიც კია, მაგრამ ფაქტია, რომ არის. მწერალმა იმიტომ წარმოაჩინა მსხვილი პლანით ყოფითი აქსესუარი და მის წიაღში წარმოშობილი ადამიანები, რომ მკაფიო ფონი შეექმნა. შექმნილ ფონზე შთამბეჭდავი ბუნებრიობით უნდა გამოკვეთილიყო ნინოს და მარიამის სილუეტები. ამ ორი პერსონაჟისადმი ირინე ბაქანიძე თანაგრძნობით არის გამსჭვალული. მორალურ-ზნეობრივი ასპექტიც სწორედ ყველაზე კონკრეტულად თანაგრძნობის ნიშნით იჩენს თავს. ამგვარი თანაგრძნობა ზოგიერთ მწერალთან წინა პლანზეა გამოტანილი და იოლი შესამჩნევია, ზოგთან კი უკუფენილია და დაფარული. ირინე ბაქანიძე ფაქიზი შტრიხებით, პლასტიკური ხატებით, ლირიკული ტონალობის დეტალებით ამხელს ამ პერსონაჟებისადმი დამოკიდებულებას: ,,შვილის სქელი, ნაქსოვი სვიტერი მოიგდო მხრებზე და აივანზე გავიდა. უკვე შებინდებულიყო. თვალი გაადევნა კანტიკუნტად ჩამოვლილ მანქანებს, რკინის ვეება ციცინათელებივით რომ აშუქებენ თავისთავს. შორიდანვე რომ გამცნობდნენ, რომ სწორედ აქეთკენ, ამ ბნელეთისკენ გამოიკვლევდნენ გზას''. ან ვთქვათ, უმწეობის და უსუსურების გამომხატველი ასეთი პასაჟი: ,,გული აუფრიალდა. ნელა აიარა კიბე და შევიდა წინკარში. აქ ფეხსაცმელები გაიხადა, კუთხეში მიყარა. საწვიმარი იქვე მიაგდო. მარცხენა ფეხის თითებზე წინდა დასველებოდა და ვიდრე სამზარეულოში მიგდებულ ფლოსტებამდე მივიდოდა, ძალლის ნაკვალევის მსგავსი ხამთითა ანაბეჭდები დატოვა იატაკზე''.

ეს ფაქიზი თანაგრძნობა სულაც არ მიჯნავს ამ პერსონაჟებს დანარჩენი პერსონაჟებისგან. თითქოს ორმხრივია მწერლის მისწრაფება, ერთი მხრივ, რამდენადმე აამაღლოს ეს ორი ქალი და, მეორე მხრივ, ქვედაზიდოს ისინი, დანარჩენ პერსონაჟებს გაუთანაბროს. დეტალებში მინიშნებულ მწერლისეულ თანაგრძნობას ისიც ამძაფრებს, რომ ნინოც და მარიამიც მკაცრი ყოფითობის მსხვერპლნი არიან.

ირინე ბაქანიძის მოთხრობებში უჩვეულო და უცნაური არაფერი ხდება. ჩვენს ყოფას მიჩვეული ადამიანისთვის არც აღწერილი სიტუაციაა უჩვეულო. უჩვეულოა ნინოს და მარიამის შინაგანი მდგომარეობა, მათი მღელვარება, მათი მეტამორფოზა. უჩვეულოა თვითონ ნინოს და მარიამის არსებობა ,,მგლების ხროვაში''. მათი მეტამორფოზა კი უფრო იმპულსური ხასიათისაა. ეს არის მოთმინებადაკარგული ადამიანის წყვეტება, ამბოხი საკუთარი ბედის და ხვედრის წინააღმდეგ და საბოლოოდ მასთანვე შერიგება.

მწერალი არაორაზროვნად მიანიშნებს, რომ ამ ინდივიდების ზნეობრივი სამყარო ძალზე რთულია — მათ არ ძალუძთ ნიღბების მორგება. მათ არ ძალუძთ გახდნენ ისეთები, როგორებიც სხვები არიან და ამიტომ უფრო მკაცრად ისჯებიან.

ყოფითობის მუხტი ყველაზე მძაფრად ირინე ბაქანიძისეულ დიალოგებში იგრძნობა. ამ დიალოგებს თავისი ინტონაციური ჟღერადობა აქვს — წყვეტილი და ნერვიული. როდესაც პერსონაჟთა დიალოგი წყდება და ვრცელი თხრობითი პასაჟი იწყება, რამდენადმე მაღლდება ინტონაცია და ეგზალტაციური ზეაწეულობის ხაშიშროება იქმნება. თუმცა მწერალი აქაც აგნებს ზუსტ სიტყვებს, ზუსტ ეპითეტებს და ცარიელი მონაკვეთის ამოსავსებად გამიზნული ენობრივი ხლართის მაგივრად ჩვენს წინაშე დრამატული ნერვით აღბეჭდილი ფრაგმენტი წარმოჩნდება.

ეგზალტაციის საფრთხეს ყველაზე მეტად მესამე ნაწარმოები ქმნიდა. ,,ოდეს ღმერთები ნადიმობდნენ'' — ასე ჰქვია ამ მოთხრობას. ეს მოთხრობა ინტროსპექტული პროზის ნიმუშია, ბავშვობის გახსენებაა, თვითრეფლექსიაა. ყოველივე ამასთან ერთად, აქ თხრობა ერთგვარი პოეტური საბურველით არის მოსილი. არაერთი ნაწარმოები შექმნილა ბავშვობის თემაზე, რეგისტრი ხშირად ნაცნობია, ტონალობა მდორე, მრავალგზის განმეორებული, აქა-იქ წახნაგებშემოცვეთილი, პოეტიზირებული. მაგრამ ხომ არსებობს შედევრებიც — დიკენსის რომანები, ტოლსტოის ,,ბავშვობა'', ჩეხოვის ,,ტრამალი'', თომას ვულფის ,,დაკარგული ბიჭი'', დილან თომასის ,,ვის წაიყვანდი შენთან ერთად...'' კითხულობ ირინე ბაქანიძის მოთხრობას და ეჭვი გიპყრობს — რისთვის დაიწერა? რა უნდა მოხდეს? ნუთუ ერთხელ მაინც არ იჩენს თავს მწერლის დამატული პიროვნებისეული შტრიხი?

და მართლაც, მოთხრობის შუა ნაწილში ეჭვი იფანტება, არამცთუ იფანტება, ერთი ეპიზოდის გამოისობით ყველაფერი სხვაგვარ იერს იძენს. ნაწარმოებს გამსჭვალავს უკიდურესად ცივი დინება. ბავშვობის ტკბილი სიზმრების შემდეგ ირკვევა, რომ მშობლებს დედის საშოშივე სურდათ ნაყოფის მოსპობა და საცსეზით აბსურდული შემთხვევითობა რომ არა, ეს ჩანაფიქრი უეჭველად აღსრულდებოდა. ესე იგი ბავშვობისეული ფერადოვანი სამყარო აბსურდული შემთხვევითობის ბირმშოა და ასეთივე აბსურდულია თვითონაც. ეს ერთი მკვეთრი პასაჟი ყველაფერს კუთვნილ ადგილს მიუჩენს და მწერალი ინარჩუნებს ჩვეულ წონასწორობას.

ეს წონასწორობა მწერლის ოსტატობაზე მეტყველებს...

ჩვენ ხშირად გვიწევს იმ ახალგაზრდა მწერლებზე საუბარი, რომლებმაც თავიანთი პირველი ნაწარმოებები გამოაქვეყნეს. ,,დაიბეჭდა ახალგაზრდა მწერლის პირველი წიგნი'', ,,შედგა დებიუტი''. ეს და სხვა ამგვარი ფრაზები შელავათიანი დამოკიდებულებისკენ გვიბიძგებს. ერთი მხრივ, ამგვარი დამოკიდებულებისთვის, რა თქმა უნდა, არსებობს საფუძველი, მაგრამ ხხვა მხრივ, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ პირველი წიგნი რიგითი კალმოსნის კი არ უნდა იყოს, არამედ მწერლის. რას ნიშნავს ეს?

ჩემი აზრით, ავტორი უნდა გვესაუბრებოდეს იმაზე, რაც მისი პიროვნებისეული გამოცდილების განუყოფელ ნაწილად იქცა. ავტორი უნდა იყოს ის ადამიანი, ვინც ცხოვრების ჩვეულებრივი ზედაპირის მიღმა ,,რაღაც უჩვეულო'' შენიშნა და ამის გამო აფორიაქებული ეძებს თავისი მღელვარების გამზიარებელს. თუ მწერალს ამგვარი ჟინი არ ამოძრავებს, ის, ალბათ, არც უნდა იღებდეს კალამს ხელში. ამ ჟინის მოჩვენებითად წარმოჩენა კი მუდამ მარცხისთვის არის განწირული.

ირინე ბაქანიძის პროზა მწერლის გამოცდილებით არის ნაკარნახევი და ჩვენ ამ გამოცდილებას ვეზიარეთ.

**ანდრო ბუაჩიძე**

# ქართველები და რუსები



მე—2 გვერდიდან

### კეკელა და მარო

ქართული ბუნების ხიდიადე მის ხალხურ სიმღერებში იხსნება, რომლის წინაშე მსოფლიოს ნებისმიერი კულტურული ერის ფოლკლორი სასაცილო პრიმიტივიზმია. აი, თუნდაც, ეს ქუჩაში სასტვენი გერმანული „მაინე“ ან „დაინე ლიბე“, ჩვენი „კეკელა და მაროს“ ადეკვატი, გერმანული ფოლკლორის მწვერვალია. ამ ფოლკლორზე გაიზარდნენ ბახი, ბეთჰოვენი, შუმანი, შუბერტი, ალბათ, მოცარტი და ა.შ.

აი, ასე, საქართველოში უდიდესი სულიერი მემკვიდრეობაა, მცირე გონება და კიდევ უფრო მცირე კულტურა. ამ ცოტა ხნის წინ ქართველმა საესტრადო მომღერალმა თავმომწონედ განაცხადა, რომ ოსტაპ ბენდერი ყოველ ქართველში ცოცხლობს, კინოში მისი როლის შემსრულებლის დარად. ცოტა უფრო ადრე, ქართველ ინტელიგენციასთან ინტერვიუში ერთმა მსახიობმა გაიხსენა, რომ ბიძამისი დღე და ღამე დუქანში იყო და ქეიფობდა, თან დასძინა, რა შესანიშნავი იყო ესო. ახლაც ბევრი დუქანი გაიხსნა თბილისში და რაა ამაში ცუდიო? აი, ამ „ინტელიგენციის“ გასაგონად უნდა ითქვას, რომ თუ საქართველოში წინა პლანზე არ წამოიწიეს მაღალი ზნეობის ინტელექტუალებმა, კულტურის ჭეშმარიტმა შემოქმედებმა, ღრმა და განათლებულმა სამღვდელოებამ, ქართველები ნახევარ საუკუნეში დაკარგავენ იმ მშვენიერ ქვეყანას, რომელსაც საქართველო ჰქვია, არა ომებისა და კატაკლიზმების შედეგად, არამედ სრულიად ბუნებრივად. მცირე ერთა გამოცდის უმკაცრესი 21-ე საუკუნე არ აპატიებს არავის ხულიგნებისა და ქურდების მონოლას პოლიტიკაში, გონების გაუფასურებას, კულტურის პროვინციალიზმს, რელიგიის რომანტიულ რიტუალიზაციას და ზნეობის ნაცვლად, დარდიმანდობას. უნდა გაიგონ, რომ მოჩვენებითი სულიერი სიმაღლე მოჩვენებითი სამშობლოს ამარა დარჩება.

### ღვთისმშობლის კალთას მოხერხებულად ამოფარებულნი

მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე რაინდულ ერს კი, სხვა თუ არა, სამშობლო მაინც უნდა ჰქონდეს, მით უმეტეს, როცა შინაგანად ესოდენ კეთილი და ბავშურად უშუალოა.

რა თქმა უნდა, რუსთაველის რაინდულმა პოემამ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ქართველებზე, მაგრამ თვით პოემის მთელი რაინდული პალიტრა უკვე ნაკარნახევი იყო ქართული გარემოთი და ავტორის ქართველობით. ქართველი უფრო რაინდული, მედიდური გზით მიემართება ზნეობრივი სიმაღლეებისკენ, ვიდრე წმინდა ქრისტიანული, შინაგანი ძიებითა და ვნებათა ჯვარცმით. ამიტომაა, რომ ჩვენთვის ყველაზე ახლობელი აღმოჩნდა წმინდა გიორგის ხატი — გიორგი რომ რაინდი კი არა, წმინდანია და რომ იგი შუბით კი არა, სულით იმარჯვებს ადამიანში ჩაბუდებული ვნებების, ავი ზრახვებისა და მისწრაფებების ურჩხულზე, ეს ძალიან ცოტას აღელვებს.

ერთმანეთს ვარწმუნებთ, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია, და ისე მოხერხებულად ვართ მის კალთას ამოფარებულნი, რომ ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის, ჩვენს ვნებებთან, ზრახვებთან ბრძოლის გარეშე, გოლგოთის შინაგანი გზის გავლის გარეშეც კარგად ვიქნებით, რადგან ჩვენი ცრურწმენის დეკორაციები საკმაოდ დამაკმაყოფილებლად იმიტირებენ ქრისტიანობას.

ფილოსოფოს ლეონტიევის თქმით, რუსი შეიძლება იყოს წმინდანი, მაგრამ პატიოსანი — არასოდეს. თუკი ეს ასეა, მაშინ ქართველი შეიძლება იყოს პატიოსანი, მაგრამ წმინდანი — არასოდეს. მართლაც, ჩვენში რაღაც სულ სხვა, უმთავრესად — არაქრისტიანული ეტალონებია. ის პატიოსანი ქართველები, რომლებსაც შევხვედრივარ, უფრო ჰუმანისტური ზნეობის წამომადგენლების — „კაცური კაცების“ შთაბეჭდილებას ახდენდნენ, რასაც არც თვითონ უარყოფდნენ. სიწმინდის ქრისტიანული გზა კი სულ სხვაა — ხილული სამყაროს შინაგანი უარყოფა, ლოცვა-ჭრეტით გათავისუფლება ვნებებისა და ავი ზრახვებისგან, ღვთის განუზომელ სიყვარულში უხილავ სამყაროს ნაწილად ქცევა უკვე აქ, დედამიწაზე.

### მოჩვენებითი კულტურა და თვითკმაყოფილება

ჩვენში კი უფრო ხშირად ამის საწინააღმდეგოს ამჩნევ — საკუთარი თავის ნარცისულ სიყვარულს, ეგოცენტრიზმს, სიბარიტობას. და ამგვარად, გრძნობების მონად ქცეული, დაბრმავებული ადამიანი ყოველ მოვლენას პირადი უპირატესობის დამამტკიცებელ ფაქტად აღიქვამს. მისი გულუბრყვილო წარმოდგენით, ყოველივე მის ინტერესებს, მის ხორციელ სიამოვნებას, მის განდიდებას უნდა ემსახურებოდეს. და სულ უფრო ღრმად ესობა მის სხეულში ვნებათა ბრჭყალები — სიამაყე, დიდების წყურვილი, შური, მტრობა, რისხვა, დაუნდობლობა, მუცელღორობა, აღვირახსნილი სექსუალობა და ა.შ. ყალიბდება საზოგადოება მტრობის, შურის, დაუნდობლობის, ცილისწამების, ყალიბდება მოჩვენებითი კულტურა და უაღრესი თვითკმაყოფილება.

საბჭოთა პერიოდში ყოველი ქართველი ანტიკომუნისტი იყო, თუმცა, ამგვარი განწყობაც პიროვნებისეული სიღრმითა და ჭეშმარიტი ინდივიდუალიზმით კი არ ყოფილა გამოწვეული, არამედ ჩვენი თვისებით — მუდამ ვილაცისა და რაღაცის წინააღმდეგი ვიყოთ, რათა ჩვენი განსაკუთრებულობა წარმოვაჩინოთ. საქართველოში ვერავითარი სახელმწიფო წყობა ვერ იარსებებს, გარდა ავტორიტარულისა.

რაც თავს დაატყდა საქართველოს, ეს უთუოდ ღვთის რისხვაა სამარცხვინოდ გატარებული ათეული წლების გამო (განსაკუთრებით მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი). და იმის ნაცვლად, რომ მუხლებზე დაცემულნი ახლად მოვნათლულიყავით, შეუმდგარიყავით ქრისტიანული განწმენდის გზაზე, ისევ ინყება საქეიფოდ, მოსკოვის ტელევიზიიდან, ეშმაკური თვალისჩაკვრით სიმღერა თამადებზე, ქართულ სუფრაზე, მწვადზე, მწვანილზე და სა ციეზე. საქართველოდან წასულებს რატომღაც სურთ, ქვეყნიერებას ჩაუნერგონ აზრი, რომ ასეთი მარტივები, ყარაჩოღელები და სულელები ვართ, რომ საქართველოში სამუდამოდ გაქრა ის, რაც მის არსს შეადგენდა — ბარათაშვილის სულიერი სამყაროსადმი მიპყრობილი მზერა, ვაჟა-ფშაველას ფილოსოფიური განცდა, გალაკტიონ ტაბიძის არისტოკრატული ესთეტიზმი.

ვერც ერთი ქართველი, რომელიც გრძნობს ნამდვილ ქართულ სულს ქართული ეკლესიების არქიტექტურაში, მათში შემონახულ დიად ფრესკებსა და გენიალურ გალობაში, ვერ დაუკავშირებს მათ იმ კულტურის ნაგავს, რომელიც კომუნიზმმა გამოკვება საქართველოში და რომელიც დღეს განსაკუთრებული დაჟინებით განაგრძობს სულიერებისა და კულტურის საბოლოო ნგრევის გზას.



რწმენა კი მაინც გიბრუნდება, როცა სადღაც მოსკოვში, სოფლიდ გაჭირვებას გამოქცეულ უბრალო ქართველს შეეჩეხები, ჯერ კიდევ შეურყ ნელი სულით, ნათელი სახითა სევდიანი თვალებით, ხედები, რომ მას ისევე, როგორც სლავში, ადამიანი გ ლიდან, სიწმინდიდან იწყება. ამ ორ ერმა ერთად ისე გაიარა უსამინლე მე-20 საუკუნე, რომ ძალიან ცოტა იც ერთმანეთის შესახებ. კარსმომდგარ საუკუნემ მათ უნდა დაუბრუნოს სულ ერი ხედვა, ღვთის ხედვა და მაშინ ორი ერთმორწმუნე ერი კიდევ მრავ ხავრთოს აღმოაჩენს.

**თამაზ ჩარკვიანი**

# ახალი თარგმანები



ეს ოთხსტრიქონიანი ლექსები მაჰმადიან მესხთა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებია. ისინი, ძირითადად, სასიმღეროდაა შეთხზული და ყოფით, დიდაქტიკურ, უმეტესად კი, სამიჯნურო თემატიკაზეა აწყობილი. მცირე ლირიკის ამგვარი ნიმუშები ფრიად გავრცელებულია აღმოსავლურ ხალხურ და კლასიკურ პოეზიაში, მსოფლიოს უმეტეს ხალხთა პოეტურ ფოლკლორში.

ეს ფოლკლორული მასალა შეკრებილი და ჩაწერილია ქალბატონების — ნაზირა ვაჩინაძისა და კლარა ბარათაშვილის მიერ. ლექსები თურქულ ენაზეა შეთხზული, ან, უფრო სწორად, თურქული ენის იმ დიალექტზე, რომელიც დღესდღეობით მაჰმადიან მესხთა სალაპარაკო ენაა.

მთარგმნელისაგან



* * *

ტაბაკია თუ გობია, —
ვაშლი თავს გადამხობია.
ბევრი ქვეყანა მივლია,
ჩემსას ვერცერთი სჯობია.

* * *

მტრედი გაფრინდა, რა ვუყო?
ბაღდადს ჩაფრინდა, რა ვუყო?
ახალციხის და აწყურის
დარდმა დამფლითა, რა ვუყო?

* * *

არცა ვარდი ყველგან ჰვირსა,
არც ბულბული მისთვის ტირსა.
ბედმა ერთურთს დაგვაცილა,
გადაგვყარა: ვინ — სად, ვინ —სად.

* * *

ყარიბო, ყველას მქენებო,
შე ხელ-მუხლ-დაუსვენებო,
ვისაც ბინა აქვს, შინ წავა,
შენ სადღა გაათენებო?

* * *

შორს, ზღვა რო ტალღებს აფოთებს,
ნავები ჰგვანან ნაფოტებს.
სამშობლოს მოშორებულსა
ძილშიც სამშობლო აბოდებს.

* * *

ბელთ სანთლით, სანთლის სახითა.
დავალთ ახით და ვახითა,
ჩვენს მიწას. ჩვენს ხალხს გაგვყარეს,
დაგვადგნენ იარაღითა.

* * *

უდედ-უმამოდ, ხანგრძელი
ეს ჟამი როგორ გავძელი?!
უცხო თემს ვწევარ სნეული.
არვინ მყავს გულის დამწველი.

* * *

ვტირი ჩემთვის, ჩემს ოთახში,
ეს ვარამი მომკლავს ახში,
ფოთოლივით ჩამოვცვივდი
ამ ცხოვრების ვერან ბაღში.

* * *

მთვარე ჩამოდგა ბინაში,
ვით ვარდისწყალი მინაში.
ქვეყანა მურაზს ეწია,
მელა ვარ ოხვრა-გმინვაში.

* * *

ჟამი მიჰქროდა აფრითა,
ყვავილითა და დაფნითა,
ჭეილი ჰკუით ვერ მივხვდი,
რო სიჭეილე გაფრინდა.

იხვო, ლამაზო თვალადა,
მცურავო ჭალა-ჩალადა,
შენი მეწყვილე რა უყავ,
რატომ დაცურავ ცალადა?

* * *

ჰეი, შე შავო ღრუბელო,
წვიმა-წყლის დასაგუბელო,
სატრფოს წერილი მიწვდინე,
კაში რო მიჰქრი უბელო.

* * *

ვაშლის ხეები ჩანანო,
ლამაზად მწკრივში დგანანო,
ეს აწყურელი ქალები
გიუმაჟ ჭეირნებს ჰგვანანო.

* * *

ოქროს ბეჭედში ლალი ვარ,
თვით ოქროდ მისათვალი ვარ,
ჩემ თავსაც ძვირად ვაფასებ,
გურჯისტანელი ქალი ვარ.

* * *

ქალავ, ტკბილად დასაცხობო,
ვაშლო, გობზე დასაწყობო, —
ნანდაური რო მეწვევა,
მისთვის ჭიბეს ჩასაწყობო!

* * *

თურაშაულსა ქებულსა,
ჩაწითლულ-ჩაშაქრებულსა, —
ჩავკბეჩ და, ძმას კი არ მივცემ,
ვარუქებ შეყვარებულსა.

# «გურჯისტანელი ქალი ვარ...»



# მაჰმადიან მესხთა პოეტური ფოლკლორი

* * *

პატრონმა გააშენა რა,
ბაღი შეძეძვა, შენარა,
ტყუილად ლიქნი მამაჩემს,
სიძედ სხვა უნდა, შენ — არა.

* * *

ბაღი მაქვს სავსე ლელვითა.
შემოვიარე ფეხითა,
სატრფო მოგდისო, მახარეს,
გავვარდი კისრისტეხითა..

* * *

ეგ ბროწეული მოიტა,
თუ გსურს, შეგმოსო მოვითა,
კარებში ჩრდილი დავლანდე,
მეგონა, სატრფო მოვიდა.

* * *

ყარამფილისა კონა ვარ,
ბულბული — ვარდის მონა ვარ,
სნეული ვწევარ. მომხედოს,
სატრფოს უთხარით ონავარს.

* * *

სიკვდილო, დარში. ავდარში,
რას დაძრწი ზაფხულ-ზამთარში,
ჭერ ჭეილი ვარ, ნუ მომკლავ,
ჭერ არ ჩამწერო დავთარში.

* * *

ფანჯარაში ამ დილითა,
დაგინახე მანდილითა,
გოგო, შენი სილამაზე
მომკლავს შენი წადილითა.

* * *

მიხაკს რად უნდა სურნელი,
თუკი არა ჰყავს მსურველი,
ამალამ სატრფოს მოველი,
მოვა, არ მივა, — სულ ველი.

* * *

ჩვენი სახლი — სახლივითა.
თქვენი — დუქან-დახლივითა.
ბიჭო, რა სულ უკან დამდევ
სალახანა ძაღლივითა.

* * *

წყალი ჩამოდის მღერითა,
არხში ინჩქრევა ჩქერითა,
თვალები ჩამომილამდა
მიჯნურის გზაზე ცქერითა.

* * *

გამოდის ბადრი მთვარე,
გულს მიკლავს დარდი მწარე.
ან ჩემ საყვარელს შემყარე,
ან მომკალ, ღმერთო, ბარემ.

* * *

ჰირიმე მთვარის, ბადრისა,
ცის თაღზე მონავარდისა.
საყვარლის ნელსურნელი მცემს,
მსგავსი აწყურულ ვარდისა.

* * *

ლექსის სათქმელად მოვედი,
ხილის საჭმელად მოვედი,
ხილიც საბაბად მოვიდე, —
შენთვის საცქერლად მოვედი.

* * *

გეტყვი ჩემი გულის ამბავს, —
სიყვარულის ქსელი ლამბავს.
ჩემ ნანდაურს ვენაცვალე,
მაღალსა და შავთვალწარბას.

* * *

ეს ფანჯარა — ანჯამითა.
ღვინოსა ვსვამ ამ ჯამითა.
ჩემ საყვარელს ვენაცვალე
ამ გულით და ამ ჯანითა.

* * *

როს ვიხილე შენი სახე,
ვარდს და მიხაკს დავასახე.
თორმეტ ჰედილას დაგიკლავ.
მარტო ხელზე ხელი მახე.

* * *

მივდიოდი ტყეშია.
ტყვია მომხვდა ხელშია.
სხვა ექიმი მე არ მინდა,
სატრფო მედგას გვერდშია.

* * *

ვისაც მახე დაუგია,
თავი თავად წაუგია,
ორი დღეა გოგო მიყვარს,
უკვე ყველას გაუგია.

* * *

მორზე დავჯექ, დავდე ბარგი,
დანა ვპოვე დანაკარგი.
რა ძალიან იპრანჭები,
სხვა გავიცან შენზე კარგი.

* * *

სადაფასხმული მკედი ვარ,
დარდისგან ანაყბედი ვარ,
გინდა მითხოვე, გინდ — არა,
მე მაინც შენი ბედი ვარ.

* * *

ყარამფილი თავთით მედო,
ჩემი გულის საიმედო,
გუშინ ღამე სად იყავი,
ეგ მითხარი, ჩემო მტრედო.

* * *

ორი წყარო — გვერდიგვერდსა,
ჩაველ, დავეწაფე ერთსა.
სატრფოს დედას ვენაცვალე, —
ხვალე, ხვალ-ზეგ — ჩემ სიდედრსა!

* * *

სულ სუმბული და სულ ია,
მთის წვერი დანისლულია.
გოგო, შენს მოგონებაზე
მითრთის გული და სულია.

* * *

ზღვა თუა ნაპირთ ბანაში.
კაცს — სევდა უდგა ძალაში.
ასევე, ლამაზ ცოლის ქმარს
თავი აქვს ხათაბალაში.

* * *

გულში რაც დარდი მეწება,
სულ შენგან ამეწეწება,
ამოვთქვა, — რა ვქნა, — ხალხსა
სწყინს,
არ ვთქვა და, — ჯანი მეწვება!

* * *

სხვა სატკივარი კი არა, —
ეგ ეშხი მესატკივარა;
თუკი მკურნალი არ იყავ,
რატომ გამიხსენ იარა.

* * *

ცრემლი და დარდი მეწია,
სევდა მკლავს გულის მწეწია,
გაველ. გავხედავ გორიდან,
იქნებ ჩემი ძმა მეწვია.

* * *

ეს ჩვენი ხევი გრძელია
ქარ-ყინვა იცის ძნელია.
აფერუმ ჩემ თავს — ჩერქეზ ცოლს
დღემდის რო გავუძელია!

თურქულიდან თარგმნა
ზეზვა მედულაშვილმა





# ედმუნდ კრისპინი



# სიკვდილი და დეიდა ფენსი



ჯორჯ გოტობელმა კარზე დააკაკუნა: კარი მაღალმა, მკვირცხლმა, დაახლოებით სამოცი წლის ქალმა გაუღო.

„გამარჯობათ, მისტერ გოტობედ! — ხმამაღლა მიესალმა ქალი, — მე პრეიდი გახლავართ, დეიდათქვენის კომპანიონი, მობრძანდით! ისე, ძალიან არეულები ვართ, სამი დღეა რაც ჩამოვედით და უნდა გვაპატიოთ“.

„რას ბრძანებთ, საბოლოოდ რაა.“ — ჩაიბურტყუნა ჯორჯმა.

„ხმამაღლა ილაპარაკეთ, — ლამის იღრიალა მის პრეიდიმ. — მეც და დეიდათქვენსაც ისეთი ცუდი სმენა გვაქვს, პირდაპირ უბედურებაა. დეიდათქვენი აპარატს ხმარობს, მე კი ისიც ვერ მშველის. აქეთ მობრძანდით, ქუდი შეგიძლიათ ამ სკამზე დადოთ.“

დეიდა ფენსი, რომელსაც ჯორჯ გოტობედი პირველად ხედავდა, თავისი დობილის სრულ ანტიპოდს წარმოადგენდა. ერთი ბეწო, აქოჩრილ ბელურასავით მიყუჟულიყო ვეებერთელა დივანის კუთხეში. დივანის გვერდით მომცრო რადიომიმღები იდგა, საიდანაც მუსიკის ჩუმი ხმა ისმოდა. თუ ყრუა, მუსიკას როგორღა უსმენს ეს კაი დედამიშვილიო, — გაიფიქრა ჯორჯმა და მხოლოდ მერეღა შეამჩნია ქალის ყურს უკან აპარატის ნიჟარა.

ნათესავის დანახვაზე დეიდა შესამჩნევად გამოცოცხლდა, დაიწყო გაუთავებელი მისალმებები, გამოკითხვები... ხმადაბალი დიალოგი მანამდე გაგრძელდა, ვიდრე მის პრეიდიმ ცოტა არ იყოს გაღიზიანებულმა არ გააწყვეტინა სიტყვა — ხმამაღლა ილაპარაკეთო — რის შემდეგაც, უკვე მართლა ყვირილზე გადავიდნენ.

**მაგრამ, ყველაზე უცნაური მაშინ დაიწყო, როცა მის პრეიდი სამზარეულოში გავიდა ჩაის ასადუღებლად. კარი შეიკეტა თუ არა, დეიდა ფენსის სახეზე თავაზიანი გამომეტყველება შეშფოთებამ და შიშმა შეცვალა.**

„ჯორჯ... მისტერ გოტობედ, — ჩქარ-ჩქარა აჩურჩულდა ქალი, — არ დამტოვოთ აქ მარტო. არ ვიცი რატომ აკეთებს ამას, — დეიდამ მრავლისმეტყველი მზერა მიაპყრო სამზარეულოს კარს, — მაგრამ საშინლად კი მეშინია. არ წახვიდეთ, ძალიან გთხოვთ! ღამეც დარჩით, გეხვეწებით!..“

უცებ გაკმინდა ხმა, რადგან კარი გაიღო და ოთახში მის პრეიდი დაბრუნდა. ღმერთო ჩემო, გაიფიქრა ჯორჯმა, მაშაყირებს, თუ ცოტას აჟრენს ეს საცოდავი?

ამაზე იტეხდა თავს, ჯაზის თანხლებით ჩაის წრუპავდა და ნელ-ნელა იმ დასკვნამდე მივიდა, დეიდის სიტყვების სერიოზულად აღქმა სისულელეაო. რა თქმა უნდა, ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა კომპანიონები მდიდარ მოხუც ქალებს ხოცავდნენ, მაგრამ დეიდა ფენსის, რამდენადაც ჯორჯს მოეხსენებოდა, გროში არ ებადა. თანაც... არა, ნამდვილად სისულელე იყო ეს ყველაფერი!

ზრდილობისთვის, ცოტა ხანს კიდევ იჯდა, მერე წამოდგა და მასპინძლებს დაემშვიდობა. ღამის გასათევად აღარ შეუპატიჟიათ, დეიდის მზერას კი თვითონვე გაურბოდა დიდი მონდომებით. დევნის მანია სჭირსო, დაასკვნა მერე გზაში, როცა ისევ უკან, სოფლისკენ მიაბიჯებდა. გულ წრფელად შეეცოდა მოხუცი.

მოგვიანებით, არაერთხელ უკითხავს საკუთარი თავისთვის, რამდენად მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული ამ დასკვნის სისწორეშიო.

ოქსფორდში იმავე საღამოს დაბრუნება აღარ ხერხდებოდა. ამიტომ სოფლის სასტუმროში იქირავა ნომერი. დილით აპირებდა გამგზავრებას. არადა, შინ მხოლოდ ორი დღის მერეღა დაბრუნდა.

„აი, ასე ჩავრჩი იქ, — უამბობდა ჯორჯი თავის უნივერსიტეტის კურატორს ჯერვას ფენს. — ღამით მათი სახლი გაძარცვეს, დეიდა ბალიშით დაახრჩვეს. ცხადია. მომიწია დარჩენა, ამოცნობაში მონაწილეობის მიღება. კიდევ კარგი, ახლა მაინც გამოვაღწიე“.

„ნუ მებოდიშებით, ძვირფასო ჯორჯ, — თქვა ჯერვას ფენმა, — ძალიან კარგად მესმის, რომ მთელი ეს ამბავი თქვენს საკურსო ნაშრომზე უფრო მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, ძალიან ვწუხვარ დეიდათქვენის...“

„მართალი გითხრათ, სერ, — სიტყვა გააწყვეტინა ჯორჯ გოტობედმა, — ვერ ვიტყოდი ძალიან შემძრა ამ ამბავმა-მეთქი. ერთი ეგაა, დანაშაულის გრძნობას ვერ ვიშორებ. დახმარებას მთხოვდნენ და ვერაფრით დავეხმარე. დეიდა იმ დღემდე თვალითაც არ მენახა. ან რა დეიდაა, კაცმა რომ თქვას?! ჩემი მამინაცვლის ცოლია. მეც, გესმით ალბათ...“

„შეგიძლიათ აღარ განაგრძოთ. ჯობია მითხრათ, მართლა მისი ერთადერთი ნათესავი ხართ?“

„დიახ, სერ“.

„მაშინ, ლოგიკური იქნება, თუ ვივარაუდებთ, რომ მის ანდერძში აუცილებლად იქნებით მოხსენიებული, ასე არ არის?“

„არა მგონია, სერ. იცით, სანამ მამინაცვალი ცოცხალი იყო, გაუთავებლად ჩხუბობდნენ. ჩემთვის ერთი სტრიქონიც არასოდეს მოუწერია. მხოლოდ ამ ორი დღის წინ მივიღე მისგან ღია ბარათი, მოდი, მინახულეო — მეპატიჟებოდა. რა მემკვიდრეობაზე შეიძლება ლაპარაკი?!“

„გასაგებია. ძალიან საინტერესო ამბავია. მოდით, ყველაფერი თავ-თავის ადგილზე დავალაგოთ. როგორც მე შევიტყვე, დეიდათქვენი ფენსი ორმოცი წლის წინ გაემგზავრა კენიაში და ფეხმოუცვლელად ცხოვრობდა იქ ამდენი წელი, სანამ ბოლოს, ერთი თვის წინ, უცებ ინგლისში არ დაბრუნდა. შემთხვევით, ხომ არ იცით, რატომ? რამე განსაკუთრებული მიზეზი ჰქონდა?“

„ჩემი აზრით, ფული გაუთავდა. იძულებული გახდა, უფრო ხელმომჭირნედ ეცხოვრა და რადგან ბუნებით ამაყი ქალი გახლდათ. ამის გაკეთება ინგლისში უფრო იოლი მოეჩვენა. აქ ხომ არავინ იცნობდა.“

„გასაგებია. რას იზამ, თუ არაფერი გააჩნდა, რა მემკვიდრეობაზეა ლაპარაკი...“

„როგორ? დაზღვევა? საკმაოდ სოლიდურ თანხაზე ჰქონდა სიცოცხლე დაზღვეული. ნახევარს მისი კომპანიონი მიიღებს. მის პრეიდი. ნახევარს კი — მე“. წამით შეყოყმანდა და მერე დაამატა: „მითხარით, სერ, თქვენი აზრით ვინ ჩაიდინა ეს მკვლელობა? მძარცველმა? თუ, იქნებ, მის პრეიდიმ?“

„არა მგონია, — სწრაფად მიუგო ფენმა. — დეიდათქვენის ფოტოსურათი თუ გაქვთ?“

ჯორჯმა თავი გაქნია:

„არა. მაგრამ...“

„მაშინ, დოუკინზის იმედიღა გვრჩება. ერთი ჩემი ყოფილი სტუდენტია. უკვე რამდენიმე წელია, ნაირობიში ცხოვრობს. დიდი გამოქექილი ვინმეა, ყველას იცნობს. მე მგონი, შეუძლია რაღაც-რაღაცები შეგვატყობინოს დეიდათქვენზე და მის პრეიდიზე.“

ფენი ფეხზე წამოდგა.

„ტელეგრაფი სწრაფად მუშაობს. მოდით, მოგვიანებით ერთხელაც შევხვდეთ, ასე, ორ საათში“.

**მართლაც, ორ საათში პასუხი მოვიდა: ფენსი ლებისი თითქმის მთლად ყრუა. პრეიდის შესანიშნავად ესმის. პატივისცემით დოუკინზი — წაიკითხა გაოცებულმა ჯორჯმა. „ეს რაღას ნიშნავს, სერ?“**

**ფენმა ჩაიცინა.**

**„საბოლოოდ დასარწმუნებლად ნაირობიში ფოტოსურათების გაგზავნა იქნება საჭირო. პოლიციაში უკვე დავრეკე. ისინი მიხედავენ ამ საქმეს. თუმცა, პირადად მე, საბოლოო შედეგში ეჭვი არ მეპარება.“**

„ჭერჭერობით, რაღაც არაფერი მესმის, სერ.“

„კარგი ერთი, ჯორჯ! ნუთუ აქამდე ვერ მიხვდით, რომ ქალი, ვისაც თქვენ მის პრეიდიდ თვლიდით, სინამდვილეში დეიდათქვენი იყო და, შესაბამისად, თქვენი ვითომ ნათესავი — მის პრეიდი.“

ჯერვას ფენმა გაოგნებულ ჯორჯს ცოტა დააცადა და მერე ისევ განაგრძო:

„მაინცდამაინც არც მოტივებში გარკვევაა ძნელი. აბა წარმოიდგინეთ, თქვენი დეიდა, ვისაც გროში არ შერჩა დაზღვევის თანხის გარდა, ინგლისში ბრუნდება მის პრეიდისთან ერთად. აქ მათ არავინ იცნობს, დეიდათქვენი როლს იცვლის და მერე კომპანიონს კლავს — რათა დაზღვევის თანხის ნახევარი ჩაიგდოს ხელში. თქვენ შესაძლო ეჭვების გასაქარწყლებლად მიგიწვიათ, ეჭვები კი ალბათ ნამდვილად გაჩნდებოდა, ეს წყვილი მთელ ინგლისში საერთოდ კაციშვილს რომ არ სცნობოდა, პირველ რიგში თქვენ, მის ერთადერთ ნათესავს. ამას გარდა, თვალის ასახვევად, ძარცვის ინსცენირებაც მოხდა.

ჩვენ, ალბათ, უკვე ვეღარასოდეს შევიტყობთ, როგორ დაიყოლია დეიდათქვენმა მის პრეიდი. თუმცა, თქვენი მონათხრობის მიხედვით, ცხონებული უნებისყოფო ქალი ჩანდა, ეტყობა, იოლად ექცეოდა სხვისი გავლენის ქვეშ. „არ ვიცი, რატომ აკეთებს ამასო,“ — საცოდავმა მაინც იეჭვა რაღაც.“

„კი, მაგრამ, სერ, როგორ მიხვდით ყველაფერს?“

„რადიო, ჯორჯ, — ეშმაკურად ჩაეღიმა ფენს. — რა თქმა უნდა, რადიო! გახსოვთ, თქვენ მითხარით, რადიოში წყნარი მუსიკა ჟღერდაო. თქვენ „დეიდას“ კი აპარატი ეკეთა! საუბრითაც ხმადაბლა საუბრობდით. თუკი მართლა ყრუ იყო, აპარატი თქვენს ხმას საკმაოდ უძლიერებდა ესე იგი, თქვენთვის მუსიკა ხმადაბლა კი ისმოდა, მაგრამ მისთვის, მთელი ამ ხნის განმავლობაში, **ძალიან ხმამაღლა უკრავდა. ახლა მითხარით, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ უნდა ესაუბრო მსგავს პირობებში ადამიანს ლამის ჩურჩულით? განა შეიძლება ჩუმად და მშვიდად ლაპარაკი იმ ოთახში, სადაც რადიო გაჰკივის? ამიტომ, ძალიან ბუნებრივია, ასეთი დასკვნის გამოტანა: ქალი, ვისაც თქვენ ელაპარაკეთ, სულაც არ იყო ყრუ! ამან მაფიქრებინა სწორედ, რაღაც ოინბაზობასთან გვაქვს საქმე-მეთქი. ხოლო კონკრეტულად — რაში გამოიხატებოდა ეს ოინბაზობა, არცთუ ისე რთული გამოსაცნობი აღმოჩნდა.**

ვშიშობ, თქვენს ნათესავს ახლა მკაცრი სასჯელი ელის. და, არ დაგიმალავთ, სავსებით სამართლიანადაც...“



სარედაქციო ჯგუფი
შადიმან შამანაძე (მთ. რედაქტორი)
თამაზ ვასაძე, ანდრო ბუაჩიძე, რეზო ბოგია,
ირმა არჩუაშვილი, ზვიად რატიანი, მალხაზ ხარბედია
თამაზ ჩხაიძე, მამუკა ალთუნაშვილი (კომპიუტერული მომსახურება)

# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## აცხადებს, რომ 1996-1997 სასწავლო წლისთვის მიღება იქნება ქვემოთ ჩამოთვლილ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე და მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

**ქართული სექტორი**

**მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი**, სპეციალობა: „მათემატიკა (მათემატიკა, მექანიკა, ასტრონომია, მათემატიკური ეკონომიკა)“: მათემატიკა (წ), ფიზიკა (ზ), ქართული ენა და ლიტერატურა (წ).

**გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი** — „გამოყენებითი მათემატიკა“, „ინფორმატიკა“: მათემატიკა (წ), ფიზიკა (ზ), ქართული ენა და ლიტერატურა (წ).

„გამოყენებითი ლინგვისტიკა“: ქართული ენა და ლიტერატურა (წ), მათემატიკა (ზ), უცხო ენა, გარდა რუსული ენისა (ზ).

**ფიზიკის ფაკულტეტი** — „ფიზიკა“, „რადიოფიზიკა და ელექტრონიკა“, „მიკროელექტრონიკა და ნახევრადგამტარული ხელსაწყოები“, ფიზიკური ინფორმატიკა“: ფიზიკა (ზ), მათემატიკა (წ), ქართული ენა და ლიტერატურა (წ).

**ქიმიის ფაკულტეტი** — „ქიმია“: ქიმია (ზ), მათემატიკა (ზ), ქართული ენა და ლიტერატურა (წ).

**ბიოლოგიისა და მედიცინის ფაკულტეტი** — „ბიოლოგია“. „ბიოსამედიცინო ეკოლოგიური გენეტიკა“: ბიოლოგია (ზ), ქიმია (ზ), ქართული ენა და ლიტერატურა (წ).

„მედიცინა“: მათემატიკა (წ), ბიოლოგია (ზ), ქართული ენა და ლიტერატურა (წ).

**გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი** — „გეოგრაფია“, „ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია“, „გეომორფოლოგია და გეოეკოლოგია“, ჰიდროლოგია და ჰიდროეკოლოგია“, „მეტეოროლოგია“: გეოგრაფია (ზ), საქართველოს ისტორია (ზ), ქართული ენა და ლიტერატურა (წ).

„გეოლოგია“, გეოგრაფია (ზ), მათემატიკა (ზ), ქართული ენა და ლიტერატურა (წ).

„სასარგებლო ნამარხების ძიების გეოფიზიკური მეთოდები“: ფიზიკა (ზ), მათემატიკა (ზ), ქართული ენა და ლიტერატურა (წ).

**ფსიქოლოგიის ფაკულტეტი** — „ფსიქოლოგია“: ქართული ენა და ლიტერატურა (წ), ბიოლოგია (ზ), უცხო ენა, გარდა რუსული ენისა (ზ).

**ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკულტეტი:** „ფილოსოფია“, „თეოლოგია“, „სოციოლოგია“: ქართული ენა და ლიტერატურა (წ), უცხო ენა (ზ), საქართველოს ისტორია (ზ).

**ისტორიის ფაკულტეტი** — „ისტორია“, „პოლიტოლოგია“: ქართული ენა და ლიტერატურა (წ), უცხო ენა (ზ), გეოგრაფია (ზ), საქართველოს ისტორია (ზ).

„დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია“: ქართული ენა და ლიტერატურა (წ), უცხო ენა, გარდა რუსული ენისა (ზ), გეოგრაფია (ზ), საქართველოს ისტორია (ზ).

„ხელოვნების ისტორია და თეორია“: ქართული ენა და ლიტერატურა (წ), ხელოვნების ისტორია (ზ), უცხო ენა (ზ), საქართველოს ისტორია (ზ).

**იურიდიული ფაკულტეტი** — „სამართლისმცოდნეობა“: ქართული ენა და ლიტერატურა (წ), უცხო ენა (ზ), საქართველოს ისტორია (ზ). სამართლისმცოდნეობა (ზ).

**საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი** — „საერთაშორისო სამართალი“: ქართული ენა და ლიტერატურა (წ), საქართველოს ისტორია (ზ), უცხო ენა, გარდა რუსული ენისა (ზ), სამართლისმცოდნეობა (ზ).

„საერთაშორისო ურთიერთობები“: ქართული ენა და ლიტერატურა (წ), საქართველოს ისტორია (ზ), უცხო ენა, გარდა რუსული ენისა (ზ), გეოგრაფია (წ).

**ფილოლოგიის ფაკულტეტი** — „ქართული ენა და ლიტერატურა“, „ქართული ენა და ლიტერატურა — დამატებით „კლასიკური ფილოლოგია“, „ქართული ენა და ლიტერატურა — დამატებით „ახალი ბერძნული ენა და ლიტერატურა“, „ქართული ენა და ლიტერატურა — დამატებით „კავკასიური ენები“, „ქართული ენა და ლიტერატურა — დამატებით „ლიტერატურული ურთიერთობანი და მხატვრული თარგმანი“: ქართული ენა და ლიტერატურა (წ), ქართული ენა და ლიტერატურა (ზ), საქართველოს ისტორია (ზ), უცხო ენა (ზ).

**ჟურნალისტიკის ფაკულტეტი** — „ჟურნალისტიკა“: ქართული ენა და ლიტერატურა (წ), ქართული ენა და ლიტერატურა (ზ), საქართველოს ისტორია (ზ), უცხო ენა (ზ).

„საერთაშორისო ჟურნალისტიკა“: ქართული ენა და ლიტერატურა (წ), ქართული ენა და ლიტერატურა (ზ), საქართველოს ისტორია (ზ), უცხო ენა, გარდა რუსული ენისა (ზ).

**დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი** — „ინგლისური ენა და ლიტერატურა“, „გერმანული ენა და ლიტერატურა“, „ფრანგული ენა და ლიტერატურა“, „ესპანური ენა და ლიტერატურა“: ქართული ენა და ლიტერატურა (წ), ქართული ენა და ლიტერატურა (ზ), საქართველოს ისტორია (ზ), შესაბამისი უცხო ენა (ზ).

**აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი** — „არაბული ენა და ლიტერატურა“, „ებრაული ენა და ლიტერატურა“, „სპარსული ენა და ლიტერატურა“, „თურქული ენა და ლიტერატურა“, „სომხური ენა და ლიტერატურა“, „ირანის ისტორია“, „თურქეთის ისტორია“, „არაბული ქვეყნების ისტორია“: ქართული ენა და ლიტერატურა (წ), ქართული ენა და ლიტერატურა (ზ), უცხო ენა (ზ), საქართველოს ისტორია (ზ).

**ეკონომიკის ფაკულტეტი** — „ფინანსები და საბანკო საქმე“, „პოლიტიკური ეკონომიკა და საბაზრო ეკონომიკის თეორია“, „სტატისტიკა“, „აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი“: მათემატიკა (წ), საქართველოს ისტორია (ზ). ქართული ენა და ლიტერატურა (წ).

„მაკროეკონომიკა“, „წარმოების ეკონომიკა და მართვა“, „შრომის ეკონომიკა“: მათემატიკა (წ). გეოგრაფია (ზ), ქართული ენა და ლიტერატურა (წ).

„საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“: მათემატიკა (წ), უცხო ენა, გარდა რუსული ენისა (ზ), ქართული ენა და ლიტერატურა (წ).

**კომერციის ფაკულტეტი** — „ვაჭრობის ეკონომიკა და მარკეტინგი“, „მატერიალური რესურსების მართვა და საბირჟო საქმიანობა“: მათემატიკა (წ), საქართველოს ისტორია (ზ), ქართული ენა და ლიტერატურა (წ).

„სამრეწველო პროდუქციის კომერსანტ-საქონელმცოდნე“: მათემატიკა (წ), გეოგრაფია (ზ), ქართული ენა და ლიტერატურა (წ).

„კვების პროდუქტების კომერსანტ-საქონელმცოდნე“: მათემატიკა (წ), ქიმია (ზ), ქართული ენა და ლიტერატურა (წ).

„სამრეწველო პროდუქციის ექსპერტიზა და სერთიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში“, „კვების პროდუქტების ექსპერტიზა და სერთიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში“: მათემატიკა (წ), უცხო ენა, გარდა რუსული ენისა (ზ), ქართული ენა და ლიტერატურა (წ).

**საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი** — „ეკონომიკური კიბერნეტიკა“, „ეკონომიკური ინფორმატიკა და მართვის ავტომატიზებული სისტემები“, „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“, „ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკა და მართვა“. „შრომის ორგანიზაცია და შრომითი რესურსების მართვა მრეწველობაში“: მათემატიკა (წ), ფიზიკა (ზ), ქართული ენა და ლიტერატურა (წ).

„საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა“: მათემატიკა (წ), უცხო ენა, გარდა რუსული ენისა, (ზ), ქართული ენა და ლიტერატურა (წ).

**რუსული სექტორი**

**გამოყენებითი მათემატიკის და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი** — „ინფორმატიკა“: მათემატიკა (წ), ფიზიკა (ზ), რუსული ენა და ლიტერატურა (წ).

**ფიზიკის ფაკულტეტი** — „ფიზიკა“, „რადიოფიზიკა და ელექტრონიკა“, „ფიზიკური ინფორმატიკა“: ფიზიკა (ზ), მათემატიკა (წ), რუსული ენა და ლიტერატურა (წ).

**ფილოლოგიის ფაკულტეტი** — „რუსული ენა და ლიტერატურა“: „რუსული ენა და ლიტერატურა — დამატებით „ახალი ბერძნული ენა და ლიტერატურა“, „რუსული ენა და ლიტერატურა“ — დამატებით „კავკასიური ენები“, „რუსული ენა და ლიტერატურა — დამატებით „ლიტერატურული ურთიერთობანი და მხატვრული თარგმანი“: რუსული ენა და ლიტერატურა (წ), რუსული ენა და ლიტერატურა (ზ), უცხო ენა (ზ), საქართველოს ისტორია (ზ).

„რუსული ენა და ლიტერატურა — ქართული ენა და ლიტერატურა“:

ა) არაქართულ სკოლადამთავრებულთათვის: რუსული ენა და ლიტერატურა (წ), რუსული ენა და ლიტერატურა (ზ), ქართული ენა (წერა — წაკითხულის შინაარსი), საქართველოს ისტორია (ზ).

ბ) ქართულ სკოლადამთავრებულთათვის: ქართული ენა და ლიტერატურა (წ), ქართული ენა და ლიტერატურა (ზ), რუსული ენა და ლიტერატურა (წ), საქართველოს ისტორია (ზ).

**ჟურნალისტიკის ფაკულტეტი** — „ჟურნალისტიკა“: რუსული ენა და ლიტერატურა (წ), რუსული ენა და ლიტერატურა (ზ), უცხო ენა (ზ), საქართველოს ისტორია (ზ).

**შენიშვნა:** 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდა ჩატარდება:

ა) ყველა ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ბილეთების (საკითხების) წესით. ე.ი. თითოეულ აბიტურიენტს ეძლევა წერით გამოცდაზე ინდივიდუალური ბილეთი, სადაც შეტანილი იქნება სამი საკითხი: ერთი, ამა თუ იმ ნაწარმოების, ან მისი ცალკეული ეპიზოდის შინაარსი: მეორე, რომელიმე ნაწარმოების, მისი ერთ-ერთი ნაწილის, ან მოტივის განხილვა. ან კიდევ პერსონაჟის დახასიათება და ა.შ.; მესამე, დაახლოებით 10-12 სტრიქონიანი მოცულობის ტექსტი, რომელშიც იქნება დაშვებული ენობრივი შეცდომები. აბიტურიენტმა უნდა გაასწოროს იგი. ქართულ ენაში საშუალო სკოლის პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის საფუძველზე.

ბ) საბუნებისმეტყველო და ეკონომიკურ ფაკულტეტებზე კი აბიტურიენტებს მიეცემათ სამი პროგრამული თემა (ორი — ნაწარმოების, ან მისი ნაწილის შინაარსი, ერთი — განხილვა, ან პერსონაჟის დახასიათება). აბიტურიენტი საწერად ირჩევს ერთ-ერთ მათგანს.

2. ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე შემსვლელთათვის ტარდება შემოქმედებითი კონკურსი. კონკურსზე დაიშვებიან ის აბიტურიენტები, რომელთაც აქვთ სულ ცოტა ხუთი პუბლიკაცია, ან ტელე-რადიო გადაცემა (პუბლიცისტური ხასიათის).

3. აბიტურიენტები, რომლებმაც დაამთავრეს არაქართული სკოლა და სურთ უნივერსიტეტში სწავლა განაგრძონ ქართულ სექტორზე:

ა) ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე (გარდა იურიდიული სპეციალობებისა) გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში აბარებენ ქართული სკოლის პროგრამით;

ბ) იურიდიულ ფაკულტეტზე, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე შემსვლელნი ჯერ მიიღებენ ქართულ ენაში (წერა — წაკითხულის შინაარსი) ჩათვლას, ხოლო შემდეგ აბარებენ წერით გამოცდას რუსულ ენასა და ლიტერატურაში, სადაც ისეთივე მოთხოვნები წაეყენებათ, როგორც ჰუმანიტარული პროფილის რუსულ განყოფილებებზე ჩამბარებლებს.

გ) ქართული სექტორის საბუნებისმეტყველო და ეკონომიკურ ფაკულტეტებზე შემსვლელი არაქართული სკოლადამთავრებული აბიტურიენტები აბარებენ წერით გამოცდას ქართულ ენაში (წაკითხულის შინაარსს).

4. ქართული სკოლადამთავრებული აბიტურიენტები, რომლებიც შედიან რუსულ სექტორზე, გამოცდას აბარებენ რუსულ ენასა და ლიტერატურაში, ეროვნული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის პროგრამით.

**ფასიანი სწავლება**

**დასწრებული სწავლების ფორმა**

დასწრებული სწავლების ფორმაზე მიღება იქნება ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ფაკულტეტის ყველა სპეციალობაზე.

დასახელებული სპეციალობების გარდა, დასწრებული სწავლების ფორმაზე მიღება იქნება, აგრეთვე, შემდეგ სპეციალობებზე:

„ეკოლოგია და გარემოს კონტროლი“, „ქიმიური ექსპერტიზა“ (ქიმიის ფაკულტეტი), სადაც ჩატარდება ტესტირებული გამოცდა დისციპლინებში: ქიმია, მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა.

„ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია“ (ფსიქოლოგიის ფაკულტეტი): ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (გარდა რუსული ენისა), ბიოლოგია.

„სასტუმროებისა და საერთაშორისო ტურიზმის მენეჯმენტი“ (კომერციის ფაკულტეტი): მათემატიკა, უცხო ენა (გარდა რუსული ენისა), ქართული ენა და ლიტერატურა.

**დაუსწრებელი სწავლების ფორმა**

**ისტორიის ფაკულტეტი**, სპეციალობა — ისტორია“.

**ფილოლოგიის ფაკულტეტი** — „ქართული ენა და ლიტერატურა“, „რუსული ენა და ლიტერატურა“.

**იურიდიული ფაკულტეტი** — „სამართლისმცოდნეობა“ (ქართული და რუსული სექტორი).

**ეკონომიკის ფაკულტეტი** — „ფინანსები და საბანკო საქმე“.

**კომერციის ფაკულტეტი** — ყველა სპეციალობა, რაც უფასო სწავლებაზეა.

**საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი** — ყველა სპეციალობა, რაც უფასო სწავლებაზეა.

ფასიანი სწავლების განყოფილებაზე შემსვლელი აბიტურიენტები ჩააბარებენ ერთ, ტესტირებულ გამოცდას იმავე საგნებში, რომლებიც ბარდება ამ სპეციალობებზე.

ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, შემოქმედებითი კონკურსის ნაცვლად, ჩატარდება დამატებითი ტესტირებული გამოცდა.

ფასიანი განყოფილების დასწრებული სწავლების სტუდენტებს ემსახურება სამხედრო კათედრა, ამიტომ ისინი თავისუფლდებიან სავალდებულო სამხედრო გაწვევისგან.

თსუ მიმღები კომისია

# მანონ ფონ გერკანი



„ვერ ვიტან, როცა ისე მიყურებენ, თითქოს მხოლოდ ლამაზი ყვავილი ვიყო"

ფოტო-მოდელობა ბევრი ახალგაზრდა გოგონას საოცნებო პროფესიაა. ალბათ, გაინტერესებთ, როგორია 23 წლის მოდელის, მანონ ფონ გერკანის რეჟიმი და ცხოვრების წესი:

მანონის ოცნებაა კლაუდია შიფერის, ლინდა ევანჯელისტას, კრისტი ტარლინგტონის, ნაომი კემპბელის და ნადია აუერმანის მსგავსი ტოპმოდელი გახდეს და მთელი ქვეყნიერების გარშემო იფრინოს, თავისი სახე ყველა დიდი მოდური მაღაზიის სტენდებზე იხილოს და ძალიან ბევრი ფული იშოვოს. რეალობა კი ასეთია: საქმე, რომელსაც იგი აკეთებს, მომქანცველი და მოსაბეზრებელია და დროის უაზროდ ფლანგვადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. მოდელები ყოველ დილას სხვადასხვა ქალაქში იღვიძებენ. ძალიან ბევრი ნუნუნებს და წუხს თავის სამშობლოზე, ისინი ხომ მოშორებულნი არიან ოჯახს, მეგობრებს. ეს გამოცდილება ჰამბურგელმა მოდელმა მანონ ფონ გერკანმაც შეიძინა. იგი მოდელად ნიუ-იორკში მუშაობს. მოდით თვალი გადავავლოთ მის ერთი კვირის ცხოვრებას:

კვირა: მაიამი ბიჩი, „რელაი პოტელი", დილის ოთხი საათი. მანონი ვერ იტანს დილით ადრე ადგომას, მაგრამ სამუშაო ასე ითხოვს: დღეს მაღაზიის კატალოგისთვის სურათების გადაღებაა დაგეგმილი. მანონი შხაპს იღებს, თმას იშრობს პაერზე, საუზმობს (ხილი და ბალახეულის ჩაი), ტაქსს იძახებს და სამუშაოდ მიდის. შემდეგი ნახევარი საათის განმავლობაში სტილისტი ანესრიგებს. იგი დღეს ერთადერთი მოდელია, ამიტომ 15-ჯერ უნდა გამოიცვალოს ტანსაცმელი, დრო ძალიან ცოტა აქვს და სულ დაძაბულია. მხოლოდ საღამოს 5 საათზე, 11 საათიანი მუშაობის შემდეგ თავისუფლდება. ხანდახან კი სამუშაო დღე უფრო ხანგრძლივია. „საშინელებაა იმ ფოტოგრაფებთან მუშაობა, რომელთაც თვითონ არ იციან, რა უნდათ. ეს არ გამოვიდა, ის არ ვარგა, ისევ ცუდია... ასე გრძელდება დაუსრულებლად, — ამბობს მანონი.

სასტუმროს ოთახში დაბრუნებული მსუბუქად ვახშმობს, შემდეგ დედას ურეკავს ჰამბურგში. დედამისი დიასახლისია, მამა არქიტექტორი. როგორც მანონი ამბობს, მისი მშობლები სულაც არ არიან აღფრთოვანებულნი ქალიშვილის პროფესიით.

ორშაბათი: მანონი მაიამიდან ნიუ-იორკში ბრუნდება. დღეს უფრო მსუბუქი სამუშაო ელის. კოსმეტიკის ფირმისთვის სარეკლამო რგოლზე მუშაობა ოთხი საათით ნაკლებ დროს მოითხოვს, ვიდრე სხვა სახის სამუშაოები. თავის თავზე ფიქრის დრო კი მანონს მაინც არა აქვს. საღამოს კვლავ აეროპორტისკენ მიიჩქარის, მაიამიში დასაბრუნებლად. თვითმფრინავშიღა ფიქრობს თავის ნიუ-იორკელ მეგობრებზე, რომლებიც ყოველ ორშაბათ საღამოს სოულ კლუბში დადიან საცეკვაოდ. მანონი კი კვლავ შორსაა მათგან. მანონს მეგობარი ჰყავს, რომელიც როგორც თვითონ ამბობს „ღმერთის წყალობით შესანიშნავი პიროვნებაა და სულ არ არის ეჭვიანი". სხვა მამაკაცებზე კი, აი, რა აზრისაა: „ვერ ვიტან, როცა ისე მიყურებენ, თითქოს მხოლოდ ლამაზი ყვავილი ვიყო და მეტი არაფერი. ნეტავ მაშინ რას იზამენ, მარცხი რომ განვიცადო და მოდელად ველარ ვიმუშაო?"

სამშაბათი: მანონი და ერთი მისი მეგობარი მაიამიში საოჯახო კატალოგისთვის მუშაობენ: შენობაში საათობით ტანსაცმლის ცვლა და ფოტოგრაფების წინაშე ტუჩებზე გადაფენილი ღიმილით პოზირება, გარეთაც კვლავ იგივე გრძელდება. საღამოს კი გადაქანცული მანონი კვლავ თვითმფრინავში ზის. ამჯერად კალიფორნიაში მიემგზავრება. ჩვეულებრივ, მისი რეჟიმი ასეთია: კატალოგები, მოდური მაღაზიები და რეკლამები. მხოლოდ გასულ შემოდგომას მოუნია პოდიუმზე მოდების ჩვენებამ. „სამწუხაროდ ჯერ პარიზში და მილანში არა, მაგრამ, ალბათ, ამასაც მოვესწრები", ამბობს იგი.



ოთხშაბათი — ხუთშაბათი: მანონი სხვა მოდელებს და ფოტოგრაფებს ხვდება. კვლავ მომქანცველი სამუშაო, შიგადაშიგ ორ-ორ საათიანი მგზავრობა. მანონი ძალიან გვიან ბრუნდება სასტუმროში. დაძაბულობის მოსახსნელად აბაზანას იღებს, ბოსტნეულის სალათით ვახშმობს და ცოტას კითხულობს. დილით ისევ სამუშაოდ მიდის. დღის ბოლოს ნიუ-იორკისკენ მიფრინავს. „ჩემი პროფესიის ყველაზე დიდი ღირსება ისაა, რომ ბევრი მოგზაურობა და ახალი ხალხის გაცნობა მიწევს". ცოტა ხანში კი, აი, რას ამბობს: „მომაბეზრებელია სულ აქეთ-იქით ფრენა და ამდენ უცხო ადამიანთან კონტაქტი. დიდი ნერვები უნდა".

შაბათი: ნიუ-იორკში ჩამოსულ მანონს ჩანთის ამოსალაგებელი დროც კი არა აქვს. მანონს და ოთხ სხვა გოგონას უკვე სამუშაოზე უხმობენ. ამჯერად დონა კარანის ჟურნალისთვის უნდა გადაიღონ სურათები. მუ-

სიკის ქვეშ მუშაობა ბევრა[…] უფრო იოლი და სახალისო[…] მანონმა 18-ჯერ გამოიცვალ[…] ტანსაცმელი. „ზოგიერთი მოდ[…] ლი ეხვეწება დიზაინერს, […] ჩამაცვით, ის ჩამაცვითო, მე […] არ შემიძლია. რასაც მეტყვია[…] იმას ვასრულებ. უარს ვერ ვა[…] ბობ ხოლმე".

კვირა: კვლავ ხანგრძლი[…] ფრენა. ლოს-ანჯელესში მანო[…] სატელევიზიო სარეკლამო რგ[…] ლზე სამუშაოდ უხმობს ჯინსებ[…] ერთ-ერთი ფირმა. აქ საბან[…] კოსტიუმში გამოწყობილ მანო[…] ერთმა მამაკაცმა უჩქმიტა. „არ[…] უშავს, არ არის პრობლემა", ამბობს მანონი.

შემდეგ კვირაში ათი მოდ[…] ბის ჩვენება აქვს დაგეგმილი. ა[…] შემდეგ ათი დღით ალიასკ[…] მიდის სარეკლამო კომპანიას[…] ერთად. ამ წუთას მისი პროფე[…] მხოლოდ და მხოლოდ მომაბ[…] რებლად გამოიყურება. ბო[…] ოთხი თვის მანძილზე, ფაქტ[…] რივად, არ შეუსვენია. 121 დღ[…] 97 სამუშაო დღე! რა საჭი[…] ამდენი სტრესი, თუკი როგ[…] მოდელი ხვალ შეიძლება აღა[…] ვის ახსოვდე? ვითომ ასეთი ს[…] ცნებო პროფესიაა?

მანონის მსგავსი მოდელ[…] შემოსავალი ასეთია:

სატელევიზიო რეკლამა 18 000 დოლარი დღეში (სა[…] შაო დღე იგულისხმება)

კატალოგზე მუშაობა დღეში 7500-დან 8500-მდე

რეკლამა გაზეთისთვის 1000 დოლარი დღეში

მოდების ჩვენება — 1[…] დოლარი საათში

თვითონ მანონი ამბ[…] „მოდელებისთვის ყველაზე […] საყრელი კოსმეტიკის ფირმა[…] ხელშეკრულების დადებაა. […] არის ყველაზე სტაბილური […] მოსავალი, თანაც წელიწ[…] მილიონებზეა ლაპარაკი. […] ლითად, ასეთი კონტრაქტი […] დადებული კლაუდია შიფ[…] „რევლონთან".

მოამ[…]

ნათია ფანჯიკი[…]




სასტუმრო
მეტეხი პალასი



ღამის კლუბი

როკ'ენ როლი „მეტეხში"
1 მარტს
21.00 – 3.00

როკ'ენ როლის საცეკვაო კონკურსი,
პრიზი საუკეთესო კოსტიუმისთვის
50-იანი წლების სტილში, მუსიკალური
პროგრამა ცოცხალი შესრულებით.
შესასვლელი ბილეთის ფასია 7 ლარი

რეზერვაციისთვის გთხოვთ დაგვირეკოთ
744 556 ან 985 817
დამატებითი ტელეფონია 180 ან 175
ბილეთების შეძენა შეგიძლიათ
სასტუმროს ტურიზმის ოფისში.

PALACE HOTEL
Moscow, Russia

MARCO POLO PRESNJA HOTEL
Moscow, Russia

NEVSKIJ PALACE HOTEL
St. Petersburg, Russia

RACHAT PALACE HOTEL
Almaty, Kazakhstan

METECHI PALACE HOTEL
Tbilisi, Republic of Georgia

MARCO POLO
HOTELS & RESORTS
AN AUSTRIAN TOUCH OF EXCELLENCE

კრივი

## როლანდ კვაჭაძე:
# „ეს შეჭველი წარმატებაა“

საქართველოს მოკრივეთა კრივნული ნაკრები ბულგარეთიდან დაბრუნდა. იქ მან მონაწილეობა მიიღო სტრანჯას ღიდ საერთაშორისო ტურნირში. ტურნირი წარმომადგენლობითი იყო და 18 ქვეყნის 250-ზე მეტ მოკრივეს მასპინძლობდა. მათ შორის იყვნენ მსოფლიო ჩემპიონები ტოდოროვი, პეტროვი, ხრისტოვი, ვასტაგი, დარაფთეი, ლეზინი, სავონი, დუვერპილი. ყველა ქვეყანამ თავისი პირველი ნაკრები ჩამოიყვანა, ამიტომ, ჩვენი სპორტსმენების სამი მედალი (ერთი ვერცხლი, ორი — ბრინჯაო) უთუოდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. ვერცხლის მედლის მფლობელმა ილია ტლაშაძემ (71 კგ. გორი) პირველ ბრძოლაში დაამარცხა სომეხი მოკრივე, მეორე ბრძოლაში უნგრელს სძლია. ფინალში სამწუხაროდ, დამარცხდა რუმინელ ვასტაგთან. ამ წონაში კოლუაშვილიც ასპარეზობდა, მაგრამ პირველივე ბრძოლაში უძლიერეს კუბელ დუვერპილს შეხვდა და დამარცხდა. დუვერპილს ვასტაგიც უცემია სამივე რაუნდში, მაგრამ მსაჯებს გამარჯვება რუმინელისთვის მიუციათ. ასეთი კაზუსები კრივისთვის დამახასიათებელია. ევროპაში ევროპელებს ეხმარებიან, ამერიკაში — ამერიკელებს.

ბრინჯაოს მედალი კობა ჯოგოლაძემ მოიპოვა. მან პირველ ბრძოლაში იუგოსლაველს მოუგო, მეორე ბრძოლაში კი ბულგარელ ტონჩევთან დამარცხდა. მსაჯებს კობასთვის ორი გაფრთხილება მიუციათ და წააგებდა, აბა, რას იზამდა.

გიორგი კანდელაკი კი ავად გამხდარა. ამის მიუხედავად, პირველი ბრძოლა უკრაინელთან მოიგო, მეორე კი ფრანგთან პირველი რაუნდის შემდეგ აღარ გააგრძელა.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ბატონმა როლანდ კვაჭაძემ გვითხრა: „თუ გავითვალისწინებთ ქართული კრივის ორი წლის უმოქმედობას და ბულგარეთის ტურნირის უძლიერეს შემადგენლობას ჩვენი სამი მედალი უეჭველი წარმატებაა. ბესიკ ვარძელაშვილი კი ამ ტურნირის აღმოჩენა იყო. მან პირველი ბრძოლა თურქს მოუგო, მეორე ბრძოლაში კი მსოფლიოს უძლიერეს მოკრივეს, კუბელ ჰექტორ ბინენტს შეხვდა. იგი 1992 წლის ოლიმპიური ჩემპიონი და 1993-95 წლების მსოფლიოს ჩემპიონია. ბესიკი ტოლს არ უდებდა კუბელს, მაგრამ მსაჯების წყალობით დამარცხდა“. ბინენტს ორჯერ ამოურტყია ვარძელაშვილისთვის მუხლი, მაგრამ გაფრთხილება არ მიუღია. გაფრთხილება რომ მიეცათ, ვარძელაშვილი იგებდაო, — სინანული გამოთქვა ბატონმა როლანდმა.

ტურნირს წინ უძღოდა ორკვირიანი შეკრება. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის თხოვნით ბულგარეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა ჩვენს ნაკრებს ყოველგვარი პირობა შეუქმნა. ქართველებმა შეკრება ბულგარელებთან, იტალიელებთან და ალჟირელებთან ერთად გაიარეს. საერთოდ კი, ჩვენი ნაკრები შეკრებითაც კმაყოფილია და ტურნირითაც. კრივის ფედერაცია მადლობას უხდის სპორტის დეპარტამენტსა და ოლიმპიურ კომიტეტს ყოველმხრივი დახმარებისთვის.

ზაზა ფაჩუაშვილი

ჩოგბურთი

# სამპრასმა პირველობა დაიბრუნა



მცირე შესვენების შემდეგ, რაც ავსტრალიის ღია პირველობაზე წარუმატებელი თამაშით იყო განპირობებული, ამერიკელმა პიტ სამპრასმა კვლავ დაიბრუნა მსოფლიოს პირველი ჩოგნის ტიტული. მან ამ პოსტზე ავსტრიელი თომას მუსტერი შეცვალა. ადგილები გაცვალეს რუსმა ევგენი კაფელნიკოვმა და შვედმა თომას ენკვისტმაც. შვედი ერთი საფეხურით დაწინაურდა და რუს ჩოგბურთელს დიდსულოვნად დაუთმო თავისი კუთვნილი მეშვიდე ადგილი.

ქალთა თანრიგში პირველობას კვლავ შტეფი გრაფი და მონიკა სელეში ინარჩუნებენ. ადგილები კი გაბრიელა საბატინიმ და მაგდალენა მალეევამ გაცვალეს. არგენტინელმა ჩოგბურთელმა მეექვსე საფეხურიდან მეშვიდეზე გადაინაცვლა. გაეცანით ჩოგბურთელთა პირველი ათეულების ახალი რეიტინგს:

ვაჟები:

1. პიტ სამპრასი (აშშ) — **4555**
2. თომას მუსტერი (ავსტრია) — **4474**
3. ანდრე აგასი (აშშ) — **4452**
4. ბორის ბეკერი (გერმანია) — **3970**
5. მაიკლ ჩანგი (აშშ) — **3537**
6. თომას ენკვისტი (შვედეთი) — **2529**
7. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — **2393**
8. ჯიმ კურიე (აშშ) — **2369**
9. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) — **2339**
10. უეინ ფერეირა (სარ) — **1968**

ქალები:

1. შტეფი გრაფი (გერმანია) — **312,64** და მონიკა სელეში (აშშ)
2. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — **250,59**
3. არანტა სანჩესი (ესპანეთი) — **217,06**
4. ივა მაიოლი (ხორვატია) — **165,52**
5. ანკე ჰუბერი (გერმანია) — **153,80**
6. მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) — **141,82**
7. გაბრიელა საბატინი (არგენტინა) — **135,52**
8. კიმიკო დატე (იაპონია) — **124,26**
9. მერი ჯო ფერნანდესი (აშშ) — **122,43**
10. ჩანდა რუბინი (აშშ) — **117,42**

ფორმულა-1

# ესტორილმა შევსება მიიღო



პორტუგალიის ქალაქ ესტორილში გრძელდება ფორმულა-1-ის კლასის გუნდების წინასაჩემპიონატო მზადება. „უილიამსის“, „მაკლარენის“ „ბენეტონის“, „ჯორდანის“ და „მინარდის“ გუნდებს „ლიჟიეს“, „ეროუზის“ და „ტირელის“ გუნდებიც შეუერთდნენ. გაიმართა სანვრთნელი შეჯიბრებები. „ჯორდანის“ ინგლისელმა პილოტმა მარტინ-ბრანდლიმ ერთ-ერთ წრეზე ბრწყინვალე შედეგი — 1.21,51 აჩვენა. მისი თანამემამულე „უილიამსიდან“ დეიმონ ჰილი, რომელმაც საერთო ჯამში ოცდაექვსი წრე გაიარა, ბრანდლის ოცდახუთი წრით ჩამორჩა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: მიკა ჰაკინენი („მაკლარენი“) — 1.22,27, ჟაკ ვილნევი („უილიამსი“) — 1.22,53, რუბენს ბარიკელო („ჯორდანი“) — 1.22,69, ოლივიე პანისი („ლიჟიე“) — 1.22,99, ჟან ალეზი („ბენეტონი“) — 1.23,35, გერჰარდ ბერგერი („ბენეტონი“) — 1.23,55.

კალათბურთი

## ესპანეთი

26-ე ტურის ცენტრალური შეხვედრა მადრიდში გაიმართა, სადაც „რეალმა“ გათამაშების ლიდერი „ბარსელონა“ მიიღო. კატალონიელთა გამარჯვების სულისჩამდგმელი, „ბარსას“ ლიტველი ლეგიონერი არტურას კარნიშოვასი გახდა, რომელმაც გუნდს 27 ქულა შესძინა. საბოლოოდ „ბარსელონამ“ მოიგო — **110:102** და თავის აქტივში 21-ე გამარჯვება ჩაიწერა. „ბარსელონას“ მთავარმა მეტოქემ „უნიკახამ“ ზედიზედ ორი დამარცხების შემდეგ, როგორც იქნა, გაიმარჯვა „კახა სან-ფერნანდოსთან“ შეხვედრაში — **94:80**.

„ესტუდიანტერი“ — „საკობეო“ 85:72
„ფორუმი“ — „კარესერა“ 82:81

ლიდერთა ჯგუფი:

| | თ. | მ. |
|---|---|---|
| ბარსელონა | 26 | 21 |
| უნიკახა | 26 | 20 |
| რეალი | 26 | 18 |

## საფრანგეთი

საფრანგეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში გათამაშების ლიდერმა „პო-ორტეზმა“ კვლავ გაიმარჯ... [illegible] ...ერად ლიდერმა ყოვ... [illegible] ...კართულების გარეშე დაამარცხა „ლევალუა“ ანგარიშით — 88:67. 22-ე ტური წარმატებით გადალახეს „პო-ორტეზის“ მთავარმა კონკურენტებმაც. „ლიმოჟმა“ სტუმრად დაამარცხა „რესინგი“ — 84:61, „ვილებანი“ — „მონპელიე“ 78:76, „ანტიბი“ — „შოლე“ 114:97.

ლიდერთა ჯგუფი:

| | თ | მ. |
|---|---|---|
| პო-ორტეზი | 22 | 20 |
| ლიმოჟი | 22 | 18 |
| ვილერბანი | 22 | 18 |
| ანტიბი | 22 | 16 |

საფეხბურთო ევროპა

### საბერძნეთი

საბერძნეთის ჩემპიონატში 21-ე ტურის მატჩები გაიმართა. გათამაშებას ერთპიროვნულად ლიდერობს ათენის „...ეკი“, რომელმაც მორიგ ტურში საკუთარ მინდორზე „ეთნიკოსი“ დაამარცხა — 3:1. თემურ ...ცხხიამ, რომელიც ბრწყინვალე ფორმაშია, ამ შეხვედრაში ორჯერ გამოიჩინა თავი (მან მეორე და მესამე გოლები გაიტანა).

ქვეყნის ჩემპიონმა „პანათინაიკოსმა“ სტუმრად დაამარცხა „...ანიონისი“ — 3:1. ამ შეხვედრაში ყველაფერი უკანასკნელ წუთებზე გაირკვა (89-ე და 90-ე, როცა „პანათინაიკოსის“ პოლონელმა ლეგიონერმა ვარჟიხამ ორჯერ აიღო მასპინძელთა კარი. გაეცანით სხვა შეხვედრათა შედეგებს:

...ნაიკოსი — აპოლონი 1:1
...იკოსი — პანაპაიკი 1:1
...კი — პანილიკოსი 1:0
...ამატა — ირაკლისი 1:0
...რისა — ედესაიკოსი 0:2
...ამპიაკოსი — არისი 4:0
...ტი — ოფი 0:2

ლიდერთა ჯგუფი:

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| ... | 21 | 53 |
| ...თინაიკოსი | 21 | 52 |
| ...იმპიაკოსი | 21 | 50 |
| ... | 21 | 39 |
| ...საიკოსი | 21 | 32 |

### თურქეთი

მორიგი ტურის მატჩები ლიდერებმა საკუთარ მინდორზე გამართეს და გაიმარჯვეს კიდეც. ტრაპიზონში „ტრაბზონსპორმა“ დაამარცხა „ქოჯაელისპორი“ ანგარიშით — 2:0, ხოლო „ფენერბაჰჩემ“ სტამბულში მინიმალური ანგარიშით — 1:0 სძლია „გაზიანტეპსპორს“.

სამსუნსპორი — ბეშიქთაში 0:1
ისტანბულსპორი — ბურსასპორი 1:1
გენჩლერბირლიგი — გალათასარაი 1:2
ვანსპორი — ესკიშეპირსპორი 3:0
კაიზერისპორი — ალთაი 1:1
კარშიაკა — ანკარაგიუჯიუ 0:0
დენიზლისპორი — ანტალიასპორი 3:1

ლიდერთა ჯგუფი:

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| ტრაბზონსპორი | 21 | 54 |
| ფენერბაჰჩე | 21 | 54 |
| ბეშიქთაში | 21 | 48 |
| გალათასარაი | 21 | 47 |
| ქოჯაელისპორი | 21 | 32 |

# ინგლისელები ბჭობენ, დრო კი მიდის

ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ტერი ვენეიბლზის ამასწინანდელმა განცხადებამ, რომ ევროპის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გუნდის დატოვებას აპირებს, მთლიანად ააფორიაქა ინგლისის საფეხბურთო სამყარო. ინგლისელებს უამრავი ბრწყინვალე ფეხბურთელი ჰყავთ, მაგრამ ძლიერი გუნდის შექმნა ვერაფრით მოახერხეს. არადა, შემოდგომაზე უკვე მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები იწყება.

მემკვიდრის ძებნაში მრავალი თვალსაზრისი წარმოიშვა, თუმცა, მწვრთნელის პოსტზე, ყველაზე სავარაუდო კანდიდატები, ალბათ, რობსონი და კიგანი იქნებიან. ნაკრების ფეხბურთელთა მნიშვნელოვან ნაწილს მიაჩნია, რომ ტერი ვენეიბლზმა გუნდის ასაღორძინებლად სწორი მიმართულებას მიაგნო და მის მიერ წამოწყებული საქმე რომ გაგრძელდეს, ნაკრების მწვრთნელად ვენეიბლზის თანამოაზრე რობსონი უნდა აეირჩიოთ.



ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი კი ფავორიტად „ნიუკასლ იუნაიტედის“ მწვრთნელს კევინ კიგანს ასახელებს და თავისი აზრის დასადასტურებლად რამდენიმე არგუმენტი მოჰყავს: — კიგანი იდეალური კანდიდატია. იგი ინგლისის ნაკრების კაპიტანი იყო. თამაშობდა ევროპაში და ქვეყანაში უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობს. თუმცა, ამჟამად კიგანი უარს აცხადებს ნაკრებთან მუშაობაზე, მაგრამ, საბოლოო ჯამში, უნდა გაიმარჯვოს აზრმა, რომ იგი ქვეყანას სჭირდება.

ტეილორმა, რომელიც გუნდიდან მას შემდეგ დაითხოვეს, რაც ინგლისის ნაკრებმა წარუმატებლად იასპარეზა 1994 წ. მსოფლიო პირველობის შესარჩევ ჯგუფში, ამასთანავე განაცხადა, რომ ახლახანს მიიღო წინადადება, გამხდარიყო ირანის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი, მაგრამ ტეილორი... წინადადება იმ მიზეზით უარყო, რომ სამშობლოში ცხოვრება მოსწონს.

გაიმარჯვებს თუ არა ტეილორის აზრი, ამას მოგვიანებით შევიტყობთ, მაგრამ 11 ნოემბრისთვის რომ ინგლისის გუნდი ჩამოყალიბების პროცესში იქნება, ...ეს უეჭველად უნდა გავითვალისწინოთ.




ყოველდღე უფასო განცხადებები მხოლოდ «კავკასიონის» მკითხველთათვის. დაგვირეკეთ და განცხადება მეორე დღის ნომერში გამოქვეყნდება. ტელ.: 29-48-05.

## კროსვორდი



თარაზულად: 1.შვილიშვილი; 3. წითელი ფერის ძვირფასი ქვა; 5. ქალაქი ინდოეთში; 11. მსოფლიოში ცნობილი გოგირდმჟავა მარილი; 13. ნადის ოხილი, ცელიანი ფეხსაცმელი; 15. მეტად მსხვილი თოკი; 16. ლაგაშის ღმერთი, შუმერული ეპოსის გმირი; 17. სახელმწიფო აფრიკაში; 18. მცირე ფასად ღირებული; 20. ვინმეზე გაწეული შრომა, ღვაწლი; 21. ჭაობის მცენარე; 23. არარაობა; 24. მოკლე ალეგორიული მოთხრობა ან ლექსი; 26. საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან; 29. ერთგვარი მინდვრის ყვავილი; 32. ფუია; 34. სიკვდილის წინა მდგომარეობა; 37. სოფელი ქართლში; 38. ფუჭი, უნაყოფო, უშედეგო; 39. დიდი ხე; 40. კალოზე ბზისა და ხორბლის შესახვეტი ხის იარაღი; 42. ხახის ლორწოვანი გარსის ანთება; 44. ძველეგვიპტური ღვთაება, ფარაონთა და ღმერთების მეფე; 45. აჭმოსფეროს მდგომარეობა განსაზღვრულ დროსა და ადგილზე; 47. მიაში სასიარული ქალამანი; 49. უსაქმოდ მოხეტიალე, მოხულიგნო ახალგაზრდა; 51. ტროპიკულ აფრიკაში გავრცელებული, დაბალი და ძალიან სქელი ტანის ხე; 54. თავთავიან კულტურათა მარცვლის ბუდე; 56. ხორციანი კორკოტი; 58. დიდი ზომის თევზი; 60. დაირა, დაფი; 61. მაგნიუმის სილიკატი, უსუნო და უგემო თეთრი ფხვნილი; 62. პატარა ბაყაყი; 63. ნადავლი; 64. ჭრელი, ფერადლაქებიანი ცხენი; 65. პატარა ხათავსი სახელდახელი ვაჭრობისთვის; 66. სამართლისმცოდნე; 67. სახელმწიფო აფრიკაში;

შვეულად: 2. თამბაქოს ხმელი ფოთლების ასხმულა; 4. საკლავის ნაწილი, მხარი უბეჭოდ; 6. ჭადრაკის ფიგურების ხელოვნურად შედგენილი განლაგება; 7. ორმოს სახურავი (ფიცრისა); 8. ღვთაებრივი ნიშვა, რომელმაც კრეტაზე გადამალული ყრმა ზევსი გამოკვება რძით; 9. უძველესი წარმართული ქართული ეპოსის გმირი; 10. ბურთის ფორმის ხავანი; 12. ზუთხის მეცლის ზედა ნაწილი; 13. ყურძნის წვენი შესანახად მოდუღებული; 14. ქალაქი თურქეთში; 15. ზნეობრივი მანკი; 19. რეგვენი, ბრიყვი; 22. გარყვნილი, ბილწი, ავხორცი; 25. დიდი სიცხე, პაპანაქება; 27. ჰერაკლეს პირველი სახელი; 28. დებულება, რომელსაც დამტკიცება არა სჭირდება; 29. ქრონიკული ნერვული დაავადება; 30. გეზად, გვერდულად გაკლებული; 31. წარმართული ქართული ღვთაება; 32. თითქმის წყლის ზედაპირამდე ამომავალი წყალქვეშა კლდე ზღვაში; 33. სიყვარულის ღმერთი, ფრთოსანი ბიჭუნა; 34.ლატინურს მეფის შვილი, ლავინიას დედა; 35. სოფელი ქართლში; 36. ძველად – ღამის დარაჯი; 41. ფეტვის ბურახი; 43. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 46. სქელი და მკვრივი ქსოვილი წმინდა მატყლისა; 48. თუშების, ფშაველებისა და ხევსურების ძველი წარმართული ღვთაება; 49. მერქნიანი მცენარე; 50. ერთგვარი ძვირფასი ქვა; 51. დიდი ბრძოლა; 52. ფცერი, ოფლის ერთ-ერთი მეთვლე; 53. კამერუნის საფეხბურთო გუნდი; 54. იგივე რაც ხარის; 55. განზრახვა, ჩანაფიქრი; 57. საქონლის ავადმყოფობა; 58. ერთწლოვანი პარკოსანი მცენარე; 59. ბალახოვანი მცენარე, მიიჩნევა ცხვრის კარგ საკვებად;

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. ეტნა 9. ეთიკა 10. ასისი 11. ჯალათი 12. ეპოპეა 13. პიპინია 15. სუდარა 19. მუმია 21. არნადი 22. ავანტიურა 23. პარაკლისი 25. ალბომი 26. იფანი 27. იადონი 29. პეტიცია 35. ოხუნჯი 36. ირონია 37. ოსპი 38. იანძი 39. ტომი.

შვეულად: 1. ატლასი 2. მაკაო 3. ბენინი 4. სილიკოუმი 5. ფარეში 6. ჰანოი 7. ასკერი 14. ბურვილი 15. ნამიბია 16. კასაცია 17. ედისონი 19. მარსი 20. აიათი 24. პაკისტანი 28. ტეხასი 30. ემიხია 31. იდილია 32. პრიზმა 33. უნცია 34. კონტი.

### ვყიდი

- 6 ოთახიანი ბინა საბურთალოს ცენტრში. ბინას აქვს დიდი სამზარეულო, ოთხი დამხმარე სათავსო, 2 ტუალეტი, დიდი აბაზანა, 2 აივანი, 2 სარდაფი და კაპიტალური ავტოფარეხი. ფასი შეთანხმებით. მისამართი: გამსახურდიას გამზ. 37, მე-2 სად. ბინა 19. ტელ.: 37-17-78.
- ერთოთახიანი ბინა გამსახურდიას გამზირზე, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული, აივნით და ტელეფონით. ფასი 15 000 ლარი. ტელ.: 39-14-25 (ნელი).
- წყნეთში ორსართულიანი კორპუსის I სართულზე ოთახნახევრიან იზოლირებულ ბინას სამზარეულოთი, აბაზანა-ტუალეტით, ავტოფარეხით, საბოსტნე ადგილით, ტელეფონით. ბინა არის ბელეტაჟზე. კუთხის, მიშენების პერსპექტივით. ტელ.: 29-56-55 ან 73-75-90. ფასი შეთანხმებით.
- ვაჟა-ფშაველას №6-ში ხუთსართულიანი სახლის მეხუთე სართულზე ექვს ოთახიან ბინას, ლოჯიით. ჭერის სიმაღლე 3,60, ფართობი 250 კვ.მ., ორი ტუალეტით, სამრეცხაოთი, საკუჭნაოთი, ტელეფონით და ავტოფარეხით. ტელეფონი: 22-54-96 (დოდო). ფასი შეთანხმებით.
- ვყიდი პრესტიჟულ ამერიკულ მანქანას „ფორდ-მერკური-მონარქი“. საწყისი ფასი 5000 ლარი. ტელ.: 34-72-36.

### სხვადასხვა

- ვყიდი 1990 წ. „06“ მარკის ავტომანქანა ჟიგულს. 03-ის ძრავით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-17-83. იკითხეთ ზურაბი.
- ვასწავლი ებრაულ ენას — ივრითი. ტელ.: 93-35-06.
- ვამზადებ ბავშვებს ინგლისურში სახლში მისვლით. ვაჟა-ფშაველას I ჩიხი, №5. ტელ.: 39-17-83.
- პროფესიონალი მუსიკოსი აგიწყობთ ფორტეპიანოს. ტელ.: 38-96-24 (იზა).

### ვცვლი

- 5 ოთახიან გარემონტებულ და 1,5 გასარემონტებელ (საერთო ფართი 80 მ2) ბინებს დიდუბის პანთეონთან ერთ სადარბაზოში მე-4 და მე-2 სართულებზე — ავტოფარეხით, მანქანის დასაყენებელი ადგილით, სარდაფით, ტელეფონებით — საკუთარ სახლზე ეზოთი, საბურთალოზე (შესაძლებელია საკუთარი სახლის ყიდვაც შეთანხმებიდან 1 თვეში ბინების გაყიდვის შემდეგ). ტელ.: 34-72-36.

## მომხმარებელთა, კომერსანტთა და მრეწველთა საყურადღებოდ გთავაზობთ

1) ხორის ცილებზე დამზადებული ირანული წარმოების „მშრალი ხორცი“. 1 პაკეტი –250გრ. ყუთში –40ც. ყუთის ღირებულება –14 ლ. დიდი პარტია ფასი შეთანხმებით.

2) ხარეცხის საპონი ირანული წარმოების 72 პროცენტიანი. 1ც –250გრ. ყუთში –72ც. ყუთის ღირებულება –26ლ 64თ. დიდი პარტია ფასი შეთანხმებით.

3) ჰალვა მიწის თხილის. ირანული წარმოების. ბრიკეტებით. 1ც –100გრ. ყუთში 80 ც. ყუთის ღირებულება –32ლ. დიდი პარტია ფასი შეთანხმებით.

4) ტუალეტის ქაღალდი. რუსეთის. ხიკტივკარის ქარხანა. ყუთში –100ც. ყუთის ღირებულება –50ლ. დიდი პარტია ფასი შეთანხმებით.

ცნობებისათვის დარეკეთ: 93-68-04. 66-52-71.

## არასახელმწიფო საერო სასწავლებელი «მომავლის სკოლა»

მომავლის სკოლა

სკოლის და უფროსი ასაკის მსმენელებს იწვევს სკოლასთან არსებულ, როგორც სასაუბრო, ასევე საქმიანი ურთიერთობებისათვის საჭირო

### ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე

კურსებს გაუძღვებიან სკოლის პედაგოგები, რომლებსაც ამერიკული კორპორაცია A.C.E.-ს პროგრამით ინგლისურ ენაზე სასწავლო პროცესის წარმართვის გამოცდილება გააჩნიათ.

ანგარიშსწორების ფორმა, როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო

აჩ „მომავლის სკოლის“ ოფისის მისამართი: ქ.თბილისი, ბარნოვის ქ. №69. შესასვლელი ეზოდან.

ტელეფონი: 23-31-99.

დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი ვასილ მაღლაფერიძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა ვეშაპიძე
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია
პასუხისმგებელი რედაქტორი ზაზა ტალახაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.